

78 /
1973/3



სახვითა სამართალი

საპარტეზლოს კვ. ხანგრაღური კომიზგავის გამომცემლობა

1973 2



ქართველი
წიგნწერეთა
კავშირთა

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი — აპრილი
1928 წელი

გამოცემის XX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

| | |
|---|----|
| მ. ჩინჭველაშვილი — ვ. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ | 3 |
| ა. კობახიძე — ასაღებ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი | 10 |
| მ. კახაძე — სამოქალაქო სამართალში კონკურსის არსის შესახებ | 17 |
| რ. ცინცაძე — სამეურნეო ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების სტიმულირება | 25 |
| ა. ყორღანია — დანაშაულის ჩადენის ხერხის მნიშვნელობა სხეულის დაზიანების საქმეთა კვალიფიკაციისათვის | 32 |
| ა. ხოშტარია — მოკავშირე რესპუბლიკების სსკ მუხლების შედარებითი ანალიზის მნიშვნელობა ცილისწამებისათვის სასჯელის ეფექტური ზომების დასადგენად | 40 |
| ა. ალანია — სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი ხერხის გამოყენება კრიმინოლოგიაში | 47 |
| მ. ქოსაშვილი — წინასწარ გამოძიების სტადიაში პირის დაზარალებულად ცნობის საკითხისათვის | 53 |
| ნ. კველიშვილი — კერძო განჩინების გაგებისათვის | 58 |
| ლ. სურგულაძე — საქართველოს სსრ 1922 წლის სსკ (ზოგადი ნაწილი) ძირითადი თავისებურებანი | 62 |
| ოფიციალური მასალა | 69 |

მართული სამართლის ისტორიიდან

| | |
|--|----|
| მ. კეკელია — „მთხრობელი“ ბალს ზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალში | 70 |
| რ. გვეტაძე — ვახტანგ შანიძე | 75 |
| მ. კვესელავა — დამოკლეს მახვილი | 77 |

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

| | |
|--|----|
| გ. გამსახურდია — მონოგრაფია საქართველოს მილიციის ისტორიაზე | 81 |
| ინფორმაცია | 83 |
| მოკლე ცნობები | 93 |
| მმაჩის ორგანოების პრაქტიკა | 94 |
| ბიბლიოლოგი | 96 |

კ. მარქსის ს.ხ. ნაქ. სსრ
ს. ხომალაძე



СОДЕРЖАНИЕ

| | |
|--|----|
| М. Джинчелашвили — В. И. Ленин о союзе рабочего класса и крестьянства | 10 |
| А. Кобахидзе — Права и обязанности граждан, проживающих в домах подлежащих сносу | 17 |
| М. Кахадзе — О сущности конкурса в гражданском праве | 25 |
| Р. Цинцадзе — Стимулирование выполнения хозяйственного договора | 32 |
| Г. Жордания — Значение способа совершения преступления для квалификации телесных повреждений | 46 |
| А. Хоштария — Значение сравнительного анализа статей УК союзных республик для определения эффективности мер наказания за клевету | 47 |
| Ю. Алания — Использование некоторых способов статистического анализа в криминологии | 53 |
| М. Косашвили — К вопросу признания лица потерпевшим в стадии предварительного следствия | 58 |
| Н. Кевлишвили — К понятию частного определения | 62 |
| Л. Сургуладзе — Некоторые особенности общей части Уголовного кодекса Грузинской ССР 1928 года | 69 |
| Официальный материал | 69 |

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

| | |
|---|----|
| М. Кекелиа — «Мтхროбели» в обычном праве Верхней Сванетии | 70 |
| Р. Гветадзе — Вахтанг Шанидзе | 75 |
| М. Квеселава — Дамоклов меч | 77 |

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

| | |
|---|----|
| Г. Гамсахурдиа — Монография об истории Грузинской милиции | 81 |
| Информация | 83 |
| Краткие заметки | 93 |
| Практика Загса | 94 |
| Некролог | 96 |

სარედაქციო კოლეგია

შგვ. № 1418
ტირაჟი 18.100
შე 01906

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩხია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 20/IV-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/V-73 წ., ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 საარტიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კბკვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ

მ. ჯინჯვალაშვილი

მეცნიერული კომუნის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერულად დაასაბუთეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის გარდუვალობა. მათ დაასაბუთეს, რომ კაპიტალიზმის მოსპობასა და კომუნისტური საზოგადოების აშენებაში გადაწყვეტი როლი ეკუთვნის ყველაზე რევოლუციურ კლასს — პროლეტარიატს, პროლეტარიატის დიქტატურას, ახალი ტიპის სახელმწიფოს. ამავე დროს მარქსმა და ენგელსმა გამოიტანეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომ სოციალიზმისათვის მუშათა კლასის ბრძოლა აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს გლეხთა მასების რევოლუციურ მოძრაობას და ვადაიქცეს საერთო ბრძოლად ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. თავის ცნობილ შრომაში „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ კ. მარქსი მიუთითებდა, რომ გლეხთა ინტერესები არათუ ეგუება ბურჟუაზიის ინტერესებს, არამედ ეწინააღმდეგება მას, „ამიტომ გლეხობა თავის ბუნებრივ მოკავშირეს და ბელადს ჰპოვებს ძალბაძის პროლეტარიატში, რომლის ამოცანაა დაამხდოს ბურჟუაზიული წესწყობილება“¹. მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია დაეხმაროს გლეხობას მის ბრძოლაში მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, მუშებისათვის გლეხობის მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს პროლეტარიატის გამარჯვება.

ცნობილია, რომ ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგი პერიოდი მუშათა მოძრაობის ისტორიაში ლენინამდე არის მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისთვის ბატონობის პერიოდი. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა შერყვნეს მარქსიზმი, ისინი ეწეოდნენ მარქსიზმის რევიზიას.

მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა მიჩქმალეს და მიივიწყეს მარქსისა და ენგელსის მიითებანი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. დასავლეთ ევროპის რევოლუციონისტები, რუსი მენშევიკები და ესერები, არ ღალატობდნენ რა მეორე ინტერნაციონალის პარტიებს, ყოველმხრივ ცდილობდნენ მშრომელი გლეხობა დაეტოვებინათ ბურჟუაზიის რეჟერვად და ამით დაესუსტებინათ მუშათა რევოლუციური მოძრაობა, ხელი შეეშალათ პროლეტარიატის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს და სოციალიზმის სხვა მტრებს, რომლებიც ილაშქრებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივი კავშირის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა, რომელიც გახდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ორგანიზატორი და ბელადი, შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული რევოლუციური თეორია ახალი ისტორიული ეპოქის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის შესაბამისად, შექმნა მწყობრი მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. დამუშავა რა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საკითხი პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის პირობებში, ვ. ი. ლენინი გვახსენებდა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებს მუშათა კლასი, პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი და სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

თავის პირველ ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინმა მოგვცა კაპიტალიზმის პირობებში საზოგადოებრივი ურთიერთობის, კერძოდ, აგრარული ურთიერთობის ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი, და ამ საფუძველზე შეიმუშავა მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, დაასაბუთა დემოკრატიულ გადატრიალებაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის, ჰეგემონიის იდეა, დაამტკიცა, რომ, თუ ეს ჰეგემონია არა, შეუძლებელია ხალხის გადამწყვეტი გამარჯვება თვითმპყრობელობაზე, შეუძლებელია დემოკრატიული რევოლუციის სწრაფი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში.

ვ. ი. ლენინმა თავის განთქმულ ნაშრომში — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ — მკაცრად გააკრიტიკა საერთოდ ნაროდნიკობის პოლიტიკური პლატფორმა და ტაქტიკა და, კერძოდ, მათი მცდარი შეხედულებები.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 376, თბ., 1950 წ.



ბანი გლახობის საკითხში. ნაროდნიკები უგულვებელყოფდნენ პროლეტარიატის როლს კაპიტალისტური წყობილების დამხრბისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. მათ გლახობა მიაჩნდათ მთავარ ძალად სოციალიზმის აშენებაში. დასაბუთა რა ნაროდნიკების შეხედულებათა სიყალბე და მავნეობა, ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოების მოწინავე რევოლუციური ძალა მუშათა კლასია, რომელიც თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდის როგორც მთელი მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის ხელმძღვანელი. მუშათა კლასის უახლოესი ამოცანაა თვითმპყრობელობის დამხრბა კაპიტალისტური წყობილების მოსპობის გზაზე, ამ მხნის მიღწევაში მუშათა კლასის მოკავშირე იქნება გლახობა.

ვ. ი. ლენინმა არა მარტო შექმნა მოძღვრება მუშათა კლასისა და გლახობის კავშირის შესახებ, არამედ აგრეთვე დასახა ამ საკითხის პრაქტიკული განხორციელების გზები. დიდმა ბელადმა შეიმუშავა სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო მოთხოვნა მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციისა და მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა მენშევიკების აგრარული პროგრამის ანტირევოლუციური არსი. მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამა ტოვებდა მიწაზე კერძო საკუთრებას. ბოლშევიკების აგრარული პროგრამა კი სწორად უპასუხებდა რუსეთში კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, მეფის რუსეთში გლახობა კლასობრივ ჩაგვრას განიცდიდა როგორც მემამულეებისაგან, ისე ბურჟუაზიისაგან. ლენინისა და ბოლშევიკების აგრარული პროგრამის ასეთმა მოთხოვნამ გააძლიერა გლახთა მასების რევოლუციური განწყობილება და მათი ლტოლვა მუშათა კლასთან კავშირისაკენ.

ვ. ი. ლენინის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან, მენშევიკების გამცემლური ტაქტიკისაგან განსხვავებით, რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში შემდგომ განავითარა მარქსისტული იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ცხადჰყო, რომ რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობაა მუშათა კლასისა და გლახობის კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებით. აქედან გამომდინარე რევოლუციის პირველ ეტაპზე (1905-1917 წ. თებერვლი) პარტიის ძირითადი სტრატეგიული ღონისძიება იყო: მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მთელ გლახობასთან ერთად, ცარიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის!

იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებანი, მისი მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები მარქსიზმის ისტორიაში პირველად ვ. ი. ლენინმა დაამუშავა წიგნში — „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათისა, მისი სრული გამარჯვებით უწინარეს ყოვლისა დაინტერესებული არიან პროლეტარიატი და ხალხის ფართო მასები. პროლეტარიატს შეუძლია ვახდეს და იგი კიდევ უნდა ვახდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხელმძღვანელი. მაგრამ პროლეტარიატი რომ ნამდვილად გამხდარიყო რევოლუციის ბელადი, ვ. ი. ლენინს ამისათვის საჭიროდ მიაჩნდა ის, რომ მას ჯერ ერთი, ჰყოლოდა რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებით დაინტერესებული მოკავშირე გლეხობის სახით; მეორეც, პროლეტარიატს უნდა მოეხდინა იზოლირება ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობდა თვითონ ყოფილიყო რევოლუციის ჰეგემონი და რევოლუცია დამთავრებინა ცარიზმთან გარიგებით ხალხის ხარჯზე.

ჩვენს ქვეყანაში მომწიფებულმა რევოლუციამ მთელი სიმწვავეთ დააქუნა საკითხი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ფორმის შესახებ. ჯერ კიდევ პარიზის კომუნის გამოცდილებიდან მარქსი და ენგელსი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის საჭიროა არა მარტო ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამხვრევა, არამედ მისი პროლეტარიატის დიქტატურით შეცვლა. დიქტატურა კი მუშათა კლასს ესაჭიროება ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დასაძლევად და კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ვ. ი. ლენინმა ახლებურად გადაწყვიტა რევოლუციის ძირითადი საკითხი — სახელმწიფო ხელისუფლების საკითხი. მან დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უნდა შეიქმნას არა ბურჟუაზიის დიქტატურა, როგორც ეს წინანდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებში იყო, არამედ პროლეტარიატისა და გლახობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა, რომლის პოლიტიკური ორგანო იქნებოდა დროებითი რევოლუციური მთავრობა. გამოდიოდა რა მუშებისა და გლახობის საერთო ინტერესებიდან, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობის ამოცანაა რევოლუციის მონა-



პოვარის დაცვა, კონტრრევოლუციის წინააღმდეგობის დათრგუნვა და რსდმპ პროგრამა — შინაომების (დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, რვასათიანი სამუშაო დღის შემოღება, მემამულური მიწების კონფისკაცია) განხორციელება. ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა მონაწილეობა რევოლუციურ მთავრობაში.

დაეყრდნო რა მარქსის ცნობილ დებულებას განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ, გლესთა რევოლუციური მოძრაობის პროლეტარულ რევოლუციასთან შეხამების აუცილებლობის შესახებ, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორია. სტატიაში — „სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლესთა მოძრაობისადმი“ — ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერების დაკვლად, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“².

ვ. ი. ლენინმა გაანადგურა რუსი მენშევიკებისა და მეორე ინტერნაციონალის რეფორმისტთა თეორიები, რომლებიც უარყოფდნენ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის როლს, გამოდიოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა გამოაშკარავა, რომ მენშევიკები და მეორე ინტერნაციონალის სხვა ოპორტუნისტები არ იბრძოდნენ მუშათა კლასისა და გლეხების ინტერესებისათვის, რომ ისინი წარმოდგენდნენ ბურჟუაზიულ აგენტურას მუშათა მოძრაობაში. სოციალისტურ რევოლუციის ლენინური თეორია გადაჭრით უკუაგებდა „პერმანენტული რევოლუციის“ ტროცკისტულ თეორიას, რომელიც უარყოფდა პროლეტარიატის ჰეგემონიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, უარყოფდა გლეხობის რევოლუციურ როლს, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დიქტატურას.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკების პარტიის ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის შეხებით 1905-1907 წლების რევოლუციიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე პერიოდში გლესობა განთავისუფლდა ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, ჩამოსცილდა კადეტებს, იგი შემობრუნდა პროლეტარიატისაკენ, ბოლშევიკებისაკენ. „ამ პერიოდის ისტორია, — წერდა ი. ბ. სტალინი, — არის ისტორია კადეტების (ლიბერალური ბურჟუაზია) და ბოლშევიკების (პროლეტარიატი) ბრძოლისა გლესობის მისამხრობად. ამ ბრძოლის ბედი სათათბიროს პერიოდმა გადაწყვიტა, ვინაიდან ოთხი სათათბიროს პერიოდი საგნობრივი გაკვეთილი იყო გლესობისათვის, ხოლო ამ გაკვეთილმა თვალნათლივ დაანახა გლესებს, რომ ისინი კადეტებისაგან ვერ მიიღებენ ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, რომ მეფე საესებით მემამულეთა მხარეზეა, ხოლო კადეტები მხარს უჭერენ მეფეს, რომ ერთადერთი ძალა, რომლის დახმარებაზე იმედის დამყარება შეიძლება, — ეს არიან ქალაქის მუშები, პროლეტარიატი... სათათბიროს პერიოდის თვალსაჩინო გაკვეთილების გარეშე პროლეტარიატის ჰეგემონია შეუძლებელი იქნებოდა“³.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც იცავდა მუშათა კლასის ჰეგემონიის იდეას, რუსეთის პროლეტარიატმა მთელ გლესობასთან მჭიდრო კავშირში 1917 წლის თებერვალში განხორციელა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, დაამხო თვითმპყრობე-ლური მონარქია. მშრომელმა მასებმა ბოლო მოუდეს რომანოვთა დინასტიას, რომელიც 300 წლის მანძილზე მუშებისა და გლეხების სისხლით რწყავდა ჩვენს ქვეყანას. შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოები, რომლებიც წარმოდგენდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოებს. მაგრამ მენშევიკებისა და ესერების დახმარებით ძალაუფლება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელში აღმოჩნდა. მუშებმა და გლეხებმა ვერ მიიღეს ვერც პური და ვერც მიწა, ვერც ჯავი და ვერც თავისუფლება. კომუნისტური პარტიის წინაშე დადგა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ამოცანა. საქირო იყო პროლეტარიატისა და გლესობის ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალისტური რევოლუციის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა წამოაყენეს ახალი სტრატეგიული ლოზუნგი: პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის განხორციელება კაპიტალიზმის წინააღმდეგ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში პროლეტარიატის ძალაუფლებისათვის! ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ საშუალო გლესი

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 286.
³ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 145-146.



ორმაგია თავისი ბუნებით: იგი როგორც მშრომელი, მიიღტვის პროლეტარიატისაკენ, როგორც კერძო მესაკუთრე — ბურჟუაზიისაკენ, ამიტომ მერყეობს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამით იყო გამოწვეული საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის აუცილებლობა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა მის ჩამოშორებას რევოლუციისაკენ. პირიქით, პარტია ყოველ ღონისძიებას ატარებდა, რათა საშუალო გლეხი ჩაება რევოლუციაში.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თვისებში მოგვცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლისათვის პარტიის ბრძოლის გენიალური გეგმა და განსაზღვრა ხელისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმა. მან ასეთ ფორმად წამოაყენა მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა საბჭოების რესპუბლიკა, რომელიც უნდა დამყარებულიყო მთელს ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო მარქსისტულ მეცნიერებაში ლენინის გენიალური აღმოჩენა ახალ პირობებში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმების შესახებ, რამაც უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში ამ ეტაპზე განსაკუთრებული ადგილი უკავია პარტიის შექცევა ყრილობას (1917 წ.), რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ძალით გაუგვა ხაზი ლენინურ დებულებას პროლეტარიატსა და უღარიბესი გლეხობის კავშირის, როგორც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობის შესახებ. ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მომზადებისაკენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იყო ის გადამწყვეტი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება — მუშებმა და გლეხებმა ხელი აიღეს პოლიტიკური ძალაუფლება. ოქტომბრის რევოლუციამ ერთხელ კიდევ ცხადყო ვ. ი. ლენინის დებულების სისწორე იმის შესახებ, რომ ისტორიის შემოქმედი, რევოლუციურ გარდაქმნათა გადამწყვეტი ძალა ხალხი, მშრომელი მასები. გამოდიოდა რა ამ ერთადერთი სწორი მარქსისტულ-ლენინური ობიექტივად, კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს. ეს კავშირი რომ არ ყოფილიყო, მუშაქმედი იქნებოდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება. ამავე დროს ეს რევოლუცია იყო მობრუნების პუნქტი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განვითარებაში. მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობის ძალიდან იგი გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ძალად, გახდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი.

ოქტომბრის შემდეგ დაისახა ახალი მიზანი — სოციალისტური საზოგადოების შექმნა და განმტკიცება. ეს კი წარმოუდგენელი იყო, თუ არ განმტკიცდებოდა მუშებისა და გლეხობის კავშირი. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა პირველმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ღონისძიებებმა. კომუნისტურმა პარტიამ გლეხობის სასარგებლოდ გადაწყვიტა აგრარული საკითხი. საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ. მიწა გადაიქცა საერთო სახელმწიფოებრივ საკუთრებად.

საბჭოთა მთავრობის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით ჩამოყალიბდა ღარიბთა კომიტეტები, რომლებიც გადაიქცნენ პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენ პუნქტებად სოფლად. ღარიბთა კომიტეტებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საშუალო გლეხობის პროლეტარიატის მხარეზე გადაყვანისათვის. საშუალო გლეხობის ღტოლვას მუშათა კლასისაკენ ხელს უწყობდა აგრეთვე წითელი არმიის წარმატებანი სამოქალაქო ომის ფრონტებზე. პარტიამ დაიწყო განხორციელება გლეხთა საკითხში ლენინის მესამე სტრატეგიული ღონისძიება: ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით და საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის დამყარებით წინ — სოციალისტური მშენებლობისათვის! საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში პარტიის შემობრუნების პუნქტი იყო VIII ყრილობა (1919 წ.), რომელმაც საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი. მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ, ვ. ი. ლენინმა გენიალურად დაასაბუთა საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების გადასინჯვის აუცილებლობა; პარტიის მერვე ყრილობისათვის საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა და მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. ის სოფლის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს შეადგენდა. ამიტომ იმ პერიოდში საშუალო გლეხობის მოქმედებაზე ბევრად იყო დამოკიდებული სამოქალაქო ომის შედეგები და სოციალისტური მშენებლობის წარმატება. „ჩვენ შევედით სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტადიაში, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — როცა საქირთა კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშაოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მითითებები,

რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ საშუალო გლეხის მიმართ **ლავდამი მბრძენი კავშირის ნიადაგში**⁴. ამრიგად, პარტიის პოლიტიკა საშუალო გლეხობისადმი იმაში მდგომარეობდა, რომ მუშათა კლასი დაყრდნობოდა ღარიბ გლეხობას, მტკიცე კავშირი ჰქონოდა საშუალო გლეხობასთან და ეწარმოებინათ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ, თანდათანობით ჩაება საშუალო გლეხობა სოციალისტურ მშენებლობაში. პარტია ამ ღონისძიებით ხელმძღვანელობდა სოციალისტური მშენებლობის თავისი პროგრამის განხორციელების დროს მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებამდე.

პარტიის VIII ყრილობაზე ლენინის მოხსენებამ და ყრილობის გადაწყვეტილებებმა საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში დიდი როლი შეასრულეს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. პარტიის ბრძნული პოლიტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლითაც დაინტერესებული იყო როგორც მუშათა კლასი, ისე გლეხობა. ამ კავშირმა უზრუნველყო უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი ახალ სამეურნეო საფუძველზე განამტკიცა. სამოქალაქო ომის დროს შექმნილი და განმტკიცებული მუშათა და გლეხთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლის საფუძველი იყო ის, რომ გლეხი საბჭოთა ხელისუფლებისაგან იღებდა მიწას და დაცული იყო შემამულებებისა და კულაკებისაგან, ხოლო მუშები გლეხობისაგან იღებდნენ სურსათს სასურსათო გაწერით, ახლა საკმარისი არ აღმოჩნდა.

საჭირო იყო ახალი გზებისა და საშუალებების გამოხსნა, რაც სტიმულს მისცემდა სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. პარტიის X ყრილობამ (1921 წ. მარტი) განიხილა სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე („ნეპი“) გადასვლის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ. ეს იყო ერთადერთი სწორი სამეურნეო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის იმ პერიოდში. ამ პოლიტიკის დედაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ მუშათა კლასს უნდა ეშენებინა სოციალიზმი აუცილებლად მშრომელ გლეხობასთან ერთად, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა.

სასურსათო გადასახადის შემოღებით გლეხობას შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი ნებისამებრ მოეხმარა მთელი თავისი პროდუქცია სასურსათო გადასახადის შესრულების შემდეგ. საქონელბრუნვის ერთგვარი თავისუფლების მინიჭება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მეურნეობრივად დაინტერესებს გლეხებს, ასწევს მათ შრომის ნაყოფიერებას და სოფლის მეურნეობის აღმშენებლობას გამოიწვევს. ამ საფუძველზე გაუმჯობესდება ქალაქის მომარაგება და სწრაფი ნაბიჯით წავა წინ სახელმწიფო მრეწველობის აღდგენაც, მართალია ვაჭრობის თავისუფლება თაღლითურად გამოიწვევს კაპიტალიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს საფრთხეს არ უქმნის საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან მის ხელშია სახალხო მეურნეობის მბრძანებელი პოზიციები: მიწა, მრეწველობა, ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობა, ბანკები.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გენიალური გეგმა. ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წვრილ, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნის ღონისძიებების განხორციელებას. ლენინის კოლექტივიზაციული გეგმა სოფლად სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განვითარების, მუშათა კლასისა და გლეხობის ურდველი კავშირის შემდგომი განმტკიცების საფუძველი გახდა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გლეხობის ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში უნდა მოხდეს კოლექტივიზაციის საშუალებით. კოლექტივიზაციაში ოკონინი ხედავდა გლეხის პირადი ინტერესების შეერთებას მთელი საზოგადოების საერთო ინტერესებთან, მხოლოდ კოლექტივიზაციის მეშვეობით გასაღებისა და მოხმარების დარგში, ხოლო შემდეგ კი წარმოების დარგში შეეძლო გლეხობას პრაქტიკულად ესწავლა სოციალიზმის აშენება.

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის საპროგრამო მითითებებით, კომუნისტურმა პარტიამ განხორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მის ბაზაზე, ლენინურ კოლექტივიზაციულ გეგმაზე დაყრდნობით უზრუნველყო წვრილმეცაუთრულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა მსხილ კოლექტივიზაციულ მეურნეობაზე, სოციალიზმის გზაზე. საბოლოოდ მოისპო სოფლად კაპიტალიზმის უკანასკნელი დასაყრდენი — კულაკობა. ეს იყო უდრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობი-

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 155.

საკენ. ლენინური კოლბერაციული გეგმის განხორციელების მსვლელობაში პარტიამ მოაწყო ქალაქის ყოველმხრივი დახმარება სოფლისადმი. მან სოფლად გაგზავნა მუშათა კლასის 25 ათასი საუკეთესო წარმომადგენელი, აგრეთვე პოლიტიკური მუშაკები კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის, სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო მზარდი მასშტაბებით აწვდიდა და აწვდის სოფელს უახლოეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. დღეს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს ორ მილიონზე მეტი ტრაქტორი, ასეულ ათასობით მარცვალსადები კომბაინი, სატვირთო ავტომობილი და ბევრი სხვა მანქანა. პარტიის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად სოფლად განხორციელდა ღრმა კულტურული რევოლუცია, შეიქმნა სოფლის ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები; ყოველივე ამან განამტკიცა ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა და გლეხთა შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი.

მუშათა კლასისა და გლეხობის ლენინური კავშირი იყო ის გადამწყვეტი ძალა, რამაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრება და სოციალისტური საზოგადოების აშენება. სოციალიზმის აშენებით შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა, მოისპო ექსპლოატორული კლასები, სსრ კავშირში დარჩა ორი მეგობრული კლასი — მუშათა კლასი და გლეხობა და მათი წიაღიდან წარმოშობილი მშრომელი ინტელიგენცია. ამის საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა საუკუნეობრივი დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის, საბოლოოდ ამოიფხვრა გლეხობის ტრადიციული უნდობლობა ქალაქისადმი. ქალაქსა და სოფელს შორის დამყარდა თვისობრივად ახალი ურთიერთობა — მჭიდრო თანამშრომლობისა და ფართო ურთიერთდახმარების ურთიერთობა. ყოველივე ამან კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა ხალხების მეგობრობა, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ფაშისტურ გერმანიასზე ჩვენი ქვეყნის გამარჯვებამ დაადასტურა, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ურდვევ კავშირს და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ყველაზე მტკიცე და ურყვევო სახელმწიფოა მსოფლიოში.

„სამამულო ომში ისტორიულმა გამარჯვებამ, — ნათქვამია სკკპ ცკ-ის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, — მკაფიოდ გვიჩვენა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიადი სასიცოცხლო ძალა და ურდვევობა“.

მუშათა კლასისა და გლეხობის ურდვევმა კავშირმა შესაძლებელი გახადა სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება ჩიგნს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის შესვლა კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი, რასაც ჩვენ მივალწიეთ, ცხადყოფს, რომ ვეყრდნობით ყველაზე სასწაულებრივ ძალას მსოფლიოში — მუშათა და გლეხთა ძალას. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განუხრდელ განვითარებას, მათ თანამშრომლობასა და მეგობრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე. ჩვენი პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურდვევი კავშირის შემდგომ განმტკიცებას გადამწყვეტი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში კომუნისმის მშენებლობისათვის“. კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრუნავს ამ კავშირის, როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური საფუძვლის, შემდგომი განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებსაც ატარებს პარტია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი, ემსახურებიან ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებას კოლმეურნე გლეხობასთან, ხალხთა მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი თვისობრივად იღებს ახალ შინაარსს, იძენს ახალ მიზანს, — კერძოდ კომუნისმის აშენებას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულია ამ კლასების სულ უფრო და უფრო დაახლოება და შემდგომ მათ შორის კლასობრივ განსხვავებათა დაძლევა. სოციალისტურ საზოგადოებაში ორი კლასის — მუშათა კლასისა და გლეხთა კლასის არსებობა განპირობებულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმით — საყოველთაო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოლბერაციული საკუთრების არსებობით; სრული კომუნისმი გულისხმობს უკლასო საზოგადოების აშენებას, საკუთრების მხოლოდ ერთ ფორმას — საყოველთაო-სახალ-

ხო საკუთრებას. მაშასადამე, საკომმუნისტრო საკუთრების ისტორიული პერსპექტივა მდგომარეობს მის ამაღლებაში საყოველთაო-სახალხო საკუთრების დონემდე; ყოველივე ეს კი სპობს იმ ბაზას, რომელიც კლასობრივ განსხვავებას ქმნის.

კომუნისტების დროს, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, მუშებსა და გლეხებს შორის გაქრება კლასობრივი განსხვავება და ისინი გადაიქცევიან მიწისა და ფაბრიკის მშრომლებად. „როდესაც საზოგადოებაში კლასები აღარ იქნებიან, — წერს ვ. ი. ლენინი, — მაშინ საზოგადოებაში მხოლოდ მწარმოებელი მუშაკები დარჩებიან, მუშები და გლეხები აღარ იქნებიან“.⁵

მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კლასობრივი ზღვარის წაშლა წარმართება არა ავტომატურად, არამედ ამ კლასებს შორის არსებული კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებით და გაფართოებით საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარებისა და ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფის საფუძველზე. მუშათა კლასსა და კომმუნისტურ გლეხობას შორის განსხვავებათა დაძლევა, არსებითი განსხვავების მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ურთულეს პროცესს წარმოადგენს. ამ პროცესის მთავარი ნიშანი ის არის, რომ კომუნისტების მშენებლობაში ხელმძღვანელ როლს ინარჩუნებს მუშათა კლასი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ექვსჯერ გაიზარდა და ახლა დაახლოებით 65 მილიონ კაცს შეადგენს; ძირფესვიანად შეიცვალა მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დონე. 1939 წელთან შედარებით იმ მუშათა რიცხვი, რომლებსაც სრული საშუალო განათლება — სპეციალური ან ზოგადი, — ჰქონდათ, 30-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. კომმუნისტურ გლეხობა, რომლის ერთ მესამედზე მეტს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება, მუშათა კლასის დახმარებით თანდათანობით ეუფლება სოციალისტური მეურნეობის გაძლიერების თანამედროვე ინდუსტრიულ მეთოდებს. ჩვენი საზოგადოების ორგანული შემადგენელი ნაწილია მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ახალი, სოციალისტური ინტელიგენცია. თავის გამოსვლაში სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ „კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე კიდევ უფრო დრმა აზრი ენიჭება ჩვენი ქვეყნის კომმუნისტურ გლეხობასთან და მშრომელ ინტელიგენციასთან მუშათა კლასის კავშირს. ამ დიადი კავშირის შემადღებულ ძალად რჩება მუშათა კლასი, რომელიც ასრულებდა და კვლავაც შეასრულებს მთავარ როლს კომუნისტების მშენებლობაში. სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს საბჭოთა საზოგადოების შემდგომი იდეურ-პოლიტიკური და სოციალური კონსოლიდაცია, ქვეყნის ერებისა და ეროვნებების დაახლოება“.

ამრიგად, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრების სისწორე, ძალა და ცხოველყოფილობა დადასტურებულია ჩვენი ქვეყნის სამი რევოლუციის გამოცდილებით, სოციალიზმისა და კომუნისტების მშენებლობის პრაქტიკით. იგი საფუძვლად დაედო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიების პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამ ქვეყნებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების გზით ხორციელდება დიდი სოციალური და ეკონომიური ცვლილებები, სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

ლენინის უკვდავი იდეებით შეიარაღებული კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები დაუღალავად იბრძვიან მუშათა და გლეხთა კავშირის შექმნისა და განმტკიცებისათვის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა (1969 წ.) აღნიშნა, რომ „მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება მონოპოლიტებისა და მათი ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია“.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დაუმრეტელი წყარო, კომუნისტების გამარჯვების მთავარი ძალა არის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის ძმური კავშირი, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, დიდი საბჭოთა ხალხის, შემოქმედი ხალხის საგმირო საქმეები. ახლა, როგორც არასდროს, უფრო შთამაგონებლად გაისმის ვ. ი. ლენინის სიტყვები: „მუშათა და გლეხთა კავშირი — აი რა მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ. აი რაშია მისი ძალა. აი რა არის ჩვენი წარმატებებისა და ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარი“.⁶

⁵ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 306.

⁶ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 290.

ასაღებ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი

ბ. კობახიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ფართო მასშტაბის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების რეკონსტრუქცია ხშირად საჭიროს ხდის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობათა აღებას. იმის გამო, რომ ექსპლოატაციაში მყოფი შენობის დანგრევა თავისთავად მატერიალური ფასეულობის ხელყოფა და ამას შედეგად მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები, კანონმდებელი მკაცრად აწესრიგებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით სახლის დანგრევის წესს და ამ სახლებში მცხოვრებ პირთა უფლება-მოვალეობებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზოგჯერ სამრეწველო თუ არქიტექტურული აუცილებლობა მოითხოვს საკმაოდ დიდი, კაპიტალურად სრულყოფილი ნაგებობის დანგრევას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ სახლებში მცხოვრებ პირთა უფლება-მოვალეობის ზუსტად განსაზღვრას.

ასაღებ სახლებში მცხოვრებ პირთა უფლება და მოვალეობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ ვის ეკუთვნის დასანგრევი შენობა, ვისი საჭიროებისათვის გამოიყო მიწის ნაკვეთი და ვინ არიან ამ სახლებში მცხოვრები პირები.

ყველა შემთხვევაში აუცილებელია, რომ სახლის აღება სათანადოდ დასაბუთდეს. ამას განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 8 იანვრის № 4 დადგენილებამ, რომლითაც აღმასკომებს დაეკისრათ პერსონალური პასუხისმგებლობა სახლების დაუსაბუთებელი აღებისათვის.

ეს განსაკუთრებით ითქმის საცხოვრებლად ვარგის შენობებზე. ასეთი სახლის აღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით, ქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად და სათანადო ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით.

იმ სახლების დანგრევა, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, რეგულირდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 და 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილებებით. მათი აღებისათვის საჭიროა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს დადგენილება ან საოლქო და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება. მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიიღონ სახლის ღირებულება, ან, თავიანთი სურვილით, სამაგიერო ბინები, ანდა მოითხოვონ სახლის გადატანა თუ ამავე დასახლებულ პუნქტში დაშვებულია მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. იმ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი კი, რომლებიც ასაღებ სახლებ-

ში ცხოვრობენ როგორც დამქირავებლები, მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

მესაკუთრეები იშვიათად თანხმდებიან ფულად ანაზღაურებაზე, ასევე იშვიათია სახლის გადატანის შემთხვევები. ვინაიდან პრაქტიკაში ყველა სახლის დანგრევისას ძირითადად ამ სახლებში მცხოვრები პირების საბინაო უფლებების განხორციელებასთან გვაქვს საქმე, ჩვენც ამ უფლებებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი აწესებს ზოგად წესს, თუ რა შედეგი მოჰყვება სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო სახლის აღებას. საკითხის დაზუსტება მოითხოვს გაირკვეს ვის ეკუთვნის ბინა სახლის აღებისას, ვის ევალება ბინის მიცემა, სად უნდა მდებარეობდეს და როგორი უნდა იყოს მისაცემი ბინა.

ვის ეკუთვნის ბინა სახლის აღებისას?

მოქალაქეს, რომელსაც პირადი საკუთრების სახლს უნგრევენ, ბინის მიღების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, როცა ის ცხოვრობს ამ სახლში, ანდა იმავე დასახლებულ პუნქტში და უზრუნველყოფილი არ არის ბინით. თუ ის ამ დასახლებულ პუნქტში არ ცხოვრობს, ანდა ცხოვრობს, მაგრამ უზრუნველყოფილია ბინით, მიიღებს მხოლოდ ფულად კომპენსაციას, რასაც განსაზღვრავს სპეციალურად გამოყოფილი კომისია. ეს არ ეხება იმ მესაკუთრეებს, რომლებიც დროებით არიან გასული და უნარჩუნდებთ ფართზე უფლება. მათ შეუძლიათ დასანგრევი სახლის საკომპენსაციოდ მოითხოვონ ბინის მიღება.

როცა სახლი რამდენიმე მესაკუთრეს ეკუთვნის, თითოეულ მათგანს შეუძლია მოითხოვოს ბინა, სულ ერთია, რა სახის კომპენსაციას იღებს სხვა თანამესაკუთრე. მესაკუთრეს უფლება აქვს შენობის ღირებულების ანაზღაურებისა თუ ბინის მიღების მიუხედავად გამოიყენოს ამ შენობის დაშლით მიღებული მასალები და მოითხოვოს მის სარგებლობაში არსებულ ნაკვეთზე გაშენებული ნარგავების ღირებულების ანაზღაურება დადგენილი ნორმების მიხედვით.

მოქალაქე, რომელმაც თვითნებურად ააშენა სახლი, არ ითვლება მის მესაკუთრედ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 მარტის № 110 დადგენილებით „თვითნებურად აშენებულ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი სახლის წიგნების გაცემის შესახებ“ ხაზი გაესვა იმას, რომ თვითნებურად აშენებული სახლების მფლობელებზე დროებითი სახლის წიგნების გაცემა არ ანიჭებს მათ ამ სახლებზე საკუთრების უფლებას. ამიტომ ასეთი სახლების აღებისას მათ მფლობელებს არ აუნაზღაურდებათ სახლისა და ნარგავების ღირებულება. მაგრამ თუ თვითნებური სახლის მფლობელები გაწერილი არიან ასაღებ სახლებში, მიიღებენ ბინებს დადგენილი წესის მიხედვით, ოღონდ არა როგორც მესაკუთრეები, არამედ დამქირავებელთა თანაბრად.

დამქირავებელს, რომელიც სხვისი პირადი საკუთრების სახლში ცხოვრობს, სახლის დანგრევისას ბინის მიღების უფლება აქვს, თუ ერთი წელიწადი მაინც არის გასული მისი ამ ბინაში გაწერიდან გამოსახლების შესახებ საკითხის დაყენებამდე. ეს ვადა არ ეხებათ იმ პირებს, რომლებიც ბინაში ჩაეწერნენ როგორც დამქირავებლის ოჯახის წევრები.

დამქირავებლები, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერატიულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ბი-

ნებში ცხოვრობენ, სახლის აღების შემთხვევაში ბინით უზრუნველყოფილი უნდა იქნან, რამდენ ხანსაც არ უნდა იყვნენ ჩაწერილი ამ ბინებში.

ასაღებ სახლში მცხოვრებ პირებს თუ ცალ-ცალკე აქვთ დადებული ბინის ქირავნობის ხელშეკრულება ოთახის ნაწილზე ან მომიჯნავე ოთახზე, თითოეულ მათგანს უნდა მიეცეს იზოლირებული ბინა.

დამქირავებელთა თანაბრად ბინას მიიღებს ასაღები სახლის მესაკუთრის ოჯახის ყოფილი წევრი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობს, სულ ერთია რა სახის კომპენსაციას აირჩევს მესაკუთრე — ფულად ანაზღაურებას თუ ბინის მიღებას.

დამქირავებელი, რომელიც დროებით არ ცხოვრობს მის მიერ დაქირავებულ ბინაში, მაგრამ კანონის თანახმად არ კარგავს ბინაზე უფლებას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 300-ე მუხლი) სახლის აღების შემთხვევაში დაკმაყოფილებულ უნდა იქნას ბინით.

ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ საუწყებო ბინებში და რომელთა გამოსახლება ბინის მიუცემლად შეიძლება, აგრეთვე სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებში მცხოვრები მოქალაქენი, სახლის აღებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებიან ბინებით. ასევე ითქმის საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ იმ პირებზე, რომლებიც ჩამოთვლილი არიან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის მეორე ნაწილში (პენსიონერები, ინვალიდები, ომში დაღუპულთა და არმიის რიგებში მყოფ პირთა ოჯახის წევრები).

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით ასაღები ხდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი სახლი. ამ სახლებში მცხოვრები პირები მიიღებენ ბინებს მიუხედავად იმისა დაუბრუნდებათ თუ არა მათ საპაიე შენატანები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კოოპერატივს დასანგრევი სახლის ნაცვლად საკუთრებაში გადაეცემა სხვა სახლი.

ვინ უნდა მისცეს ამ პირებს ბინები?

ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში მცხოვრებ პირებს ბინით ის ორგანიზაცია აკმაყოფილებს, რომელსაც გამოეყო მიწის ნაკვეთი, რომელზეც ასაღები სახლი მდებარეობს.

განსხვავებული წესია დადგენილი იმ სახლის აღებისას, რომელიც მოქალაქის პირადი საკუთრებაა. ასეთ სახლში მცხოვრებ პირებს ბინით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი აკმაყოფილებს, ხოლო როცა მიწის ნაკვეთი გამოეყოფა სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელსაც ეძლევა კაპიტალური დაბანდების სახსრები საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად, — თვით ეს ორგანიზაცია.

თავისებურებით ხასიათდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით ასაღებ სახლებში მცხოვრებ პირთა ბინით დაკმაყოფილების წესი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის № 943 დადგენილებით „კოოპერატიული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“, დაწესებულია, რომ კოოპერატივებს მიწის ნაკვეთები უნდა გამოეყოთ მასობრივი საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს იმ ორგანიზაციასთან ახლოს, რომელთანაც მოწყობილია კოოპერატივი, უპირატესად შენობათა და ნაგებობათა აულებლად. ამასთან, დაწესდა, რომ კოოპერატივისათვის, მისი,

თანხმობით, ისეთი მიწის ნაკვეთის გამოყოფის დროს, რომელზეც აგებულია სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა ასაღები შენობა-ნაგებობანი, ასეთი ობიექტების ღირებულება ჩამოიწერება მათი ბალანსიდან, ხოლო პირადი საკუთრების სახლების აღებისას ხარჯების გაღება კოოპერატივებს კი არ დაეკისრებოდა, არამედ — მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს.

მამასადამე, საკავშირო მასშტაბით დადგენილი წესით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის დროს ასაღებ სახლებში მცხოვრებ პირებს ყველა შემთხვევაში ბინით აკმაყოფილებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი. ამასთან, როცა პირადი მესაკუთრე ბინას კი არ ითხოვს, არამედ სახლის ღირებულებას, როგორც სახლის, ისე მოქალაქის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაშენებული ნარგავების ღირებულებას იხდის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოს სსრ-ში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 16 მარტს 1965 წ. 8 იანვრის № 7 დადგენილების დამატებით მიიღო № 159 დადგენილება, რომლითაც დააწესა, რომ გამონაკლისის სახით, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაეკმაყოფილებინათ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გამოეყოთ მათთვის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც გაშენებულია მოქალაქეთა პირადი საკუთრების დასანგრევი სახლები თუ ეს კოოპერატივები კისრულობენ სახლების აღებისას ხარჯებს, აგრეთვე ამ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა დაბინავებას.

ამის საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 18 ივნისის ცვლილება შეიტანა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში და დააწესა, რომ კოოპერატივის წევრებად შეიძლებოდა მიეღოთ იმ შენობათა მესაკუთრეები, რომლებიც აიღეს კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო, თუ მესაკუთრეები სურვილს გამოთქვამდნენ ბინის მიღებაზე; აგრეთვე დამჭირავებლები, რომლებიც ამ სახლებში ცხოვრობდნენ არანაკლებ ერთი წლისა.

გარდა იმისა, რომ ეს წესი ფართოდ გავრცელდა, მან მიიღო განვრცობითი ხასიათი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კოოპერატიული ბინების ღირებულება.

ალბათ ამას, აგრეთვე საკავშირო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საჭიროებას მოჰყვა ის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 ივლისის № 346 დადგენილებით, რომელმაც დაამტკიცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ახალი სანიმუშო წესდება, გაუქმდა ძველი წესდება (ყველა ცვლილებით) და ამავე დროს წესდებიდან ამოღებულ იქნა 1965 წლის 18 ივნისის № 384 დადგენილებით შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვით კოოპერატივის წევრებად იღებდნენ დასანგრევ შენობათა მესაკუთრეებსა და მათში მცხოვრებ დამჭირავებლებს.

ამრიგად, ერთი მხრივ წესდება აღარ ითვალისწინებს ასაღებ სახლებში მცხოვრებ პირთა კოოპერატივის წევრებად მიღებას, მეორე მხრივ კი, ძალაში დარჩა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილება, რომლითაც აღმასკომებს ნება ეძლევათ კოოპერატივებს გამოუყონ მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებია



მოთავსებული იმ პირობით, როცა კოოპერატივები თვითონ კისრულობენ ამ სახლებში მცხოვრებ პირთა ბინით დაკმაყოფილებას.

საჭიროა ეს შეუსაბამობა გასწორდეს. სხვანაირად, კოოპერატივის მიერ მესაკუთრის კოოპერატიული ბინით დაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ ის პაის შეუტანლად მიიღონ წევრად.

საერთოდ, გამართლებულია თუ არა საქართველოს სსრ-ში არსებული პრაქტიკა და საჭიროა თუ არა მისი შემდგომი გაგრძელება?

მართალია, უმჯობესია, კოოპერატივის მიწის ნაკვეთი თავისუფალ ადგილზე გამოეყოს და საჭირო არ იყოს მის ხარჯზე შენობა-ნაგებობათა აღება, მაგრამ, როცა სხვადასხვა მიზეზით ეს აუცილებელია და, ამასთან, კოოპერატივიც სურვილს გამოთქვამს გაიღოს ხარჯები ამისათვის, მას გამონაკლისის სახით უნდა დაერთოს ამის ნება, მაგრამ ეს არ უნდა გადაიქცეს საერთო წესად. ამასთან, ეს წესი ზუსტად უნდა იქნას რეგლამენტირებული და ასახული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საინჟინერო წესდებაში.

ამასთან ერთად ხაზი უნდა გავსვას კოოპერატიული ბინათმშენებლობის მკვლარ პრაქტიკას, რომელიც გამართლებას ვერ პოულობს. საქმე ის არის, რომ კანონით მესაკუთრეს უფლება აქვს მიიღოს თავისი სახლის ღირებულება და შემდეგ შევიდეს კოოპერატივის წევრად საპაიე შესატანის გადახდით, ანდა უარი თქვას ფულად კომპენსაციაზე და მოითხოვოს სამაგიერო ბინა. პრაქტიკაში კი, როცა მესაკუთრეს კოოპერატივის წევრად იღებენ, მას ყველა შემთხვევაში აძლევენ პაიზე საკუთრების უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივიდან გასვლისას შეუძლია მიიღოს ეს პაი, ან გადასცეს ის მასთან მცხოვრებ პირებს და სხვ. ამასთან ბევრჯერ მესაკუთრე ასეთ უფლებას იძენს უმინიშნელო ღირებულების სახლის (სახლის ნაწილის) დანგრევისას, რაც საბოლოოდ ძვირად უჯდება კოოპერატივს.

ამიტომ საჭიროა მესაკუთრე მხოლოდ მაშინ იქნას მიღებული კოოპერატივის წევრად პაიზე საკუთრების უფლებით, როცა მიიღებს თავისი სახლის ღირებულებას და შემდეგ შეიტანს მას პაის სახით, როგორც ეს საკავშირო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, ხოლო თუ ის ღირებულების მიღებაზე უარს აცხადებს და მის ნაცვლად ბინას მოითხოვს, კოოპერატივის წევრად უნდა იქნას მიღებული პაის შეტანის გარეშე, მაგრამ მას ბინის საპაიე ღირებულებაზე საკუთრების უფლება არ უნდა მიენიჭოს და კოოპერატივიდან გასვლისას პაი არ უნდა დაუბრუნდეს, ისევე როგორც ეს დამჭირავებლების მიმართ ხდება. ეს თავიდან აგვაცილებს პაის უკანონო დათმობისა და კოოპერატიული ბინების ე. წ. „ყიდვა-გაყიდვის“ შემთხვევებს, რაც კანონით აკრძალულია.

სად უნდა მდებარეობდეს მისაცემი ბინა?

პრაქტიკაში ხშირად ეს საკითხი დავას იწვევს. კანონით ბინა უნდა მდებარეობდეს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, სადაც ასაღები სახლია. ქ. თბილისის დასახლებული პუნქტის ფარგლებში შედის მთელი ქალაქის დასახლებული ტერიტორია და სავალდებულო არ არის, რომ ბინა მდებარეობდეს იმავე რაიონში, მით უმეტეს იმ უბანში, სადაც ასაღები სახლია. ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა რაისაბჭოს აღმასკომის სარჩელი ლ. ი. ყ-ს მიმართ მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე 31 კვ. მეტრი ოროთახიანი ბინიდან მისი გამოსახლებისა და გლდანის მასივში 36 კვ. მეტრის ოროთახიანი ბინაში შესახლების შესახებ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ იქნას გათვალისწინებული გამოსასახლებე-

ლი პირის საბინაო პირობები. ის დამჭირავებელი, რომელსაც საცხოვრებლად საე-
 სებით ვარგისი კაპიტალური ბინიდან ასახლებენ, არ შეიძლება გავათანაბროთ
 ბარაკებში, სარდაფებში და დანგრევის პირას მყოფი ბინებიდან გამოსასახლე-
 ბელ პირებთან. მისაცემი ბინის ადგილის შერჩევის დროს გამონაკლისის სახით
 მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე გამოსასახლებელი პირის ჯანმ-
 რთელობის მდგომარეობა და ზოგიერთი სხვა გარემოება. ვიმეორებთ, ეს კანონით
 დაცული აუცილებლობა კი არ არის, არამედ გამონაკლისის სახით გასათვა-
 ლისწინებელი გარემოება.

გარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს
 № 651 დადგენილების (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 8 ოქტო-
 მბრის № 569 დადგენილება) პირველი მუხლის შესაბამისად თუ მოქალაქე, რო-
 მელმაც მიიღო სახლის კომპენსაცია, სურვილს გამოთქვამს შევიდეს კოოპერა-
 ტივში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი უზრუნველყოფს მოცე-
 მულ ადგილზე დასაარსებელ კოოპერატივში მის რიგგარეშე შესვლის შესაძ-
 ლებლობას. ე. ი. კანონით გათვალისწინებული უპირატესი უფლება ადგილზე
 ასაშენებელ სახლში ბინის მიღებაზე აქვს სახლის მესაკუთრეს მხოლოდ იმ შემ-
 თხვევაში, როცა მის სახლს იღებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი და მან
 სახლის ღირებულების მიღების შემდეგ სურვილი გამოთქვა შევიდეს კოოპერა-
 ტივში. სხვა შემთხვევაში, როცა მან სახლის ღირებულების ნაცვლად მოითხო-
 ვა ბინის მიცემა, სავალდებულო არ არის ადგილზე ასაშენებელ სახლში მიეცეს
 ბინა. მიუხედავად ამისა ჩვენს რესპუბლიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის მი-
 ხედვით, როცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს ევალება პირადი საკუთრე-
 ბის სახლის აღება, მესაკუთრეს ენიჭება უპირატესი უფლება, ადგილზე მიიღოს
 ბინა, ხოლო ამ სახლების დამჭირავებლები ასეთი უფლებით არ სარგებლობენ.

იგივე ითქმის თვითნებურად აშენებული, უეგემო და უპროექტო სახლე-
 ბის მფლობელებზე. მათ, მიუხედავად იმისა თუ ვინ აძლევს ბინებს, უფლება
 არა აქვთ პრეტენზია განაცხადონ ბინის ადგილმდებარეობაზე, თუ ეს ბინა ამა-
 ვე დასახლებული პუნქტის ფარგლებშია.

როგორი უნდა იყოს მისაცემი ბინა?

კანონის თანახმად მისაცემი ბინა უნდა იყოს კაპიტალური, ამასთან მოცე-
 მული დასახლებული პუნქტის პირობების შესაფერისად კეთილმოწყობილი.

მისაცემი ბინის კეთილმოწყობა დამოკიდებული არ არის იმაზე, თუ რო-
 გორი ბინა ეჭირა ასაღებ სახლში მცხოვრებ პირს, კეთილმოწყობილი თუ
 კეთილმოწყობელი. ბინის კეთილმოწყობაზე წარმოშობილი დავისას დასკვ-
 ნას იძლევიან ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის კომუნალური ორგანოები, ხო-
 ლო საცხოვრებლად ვარგისიანობაზე სანიტარული ორგანოები.

სახლის აღებისას მასში მცხოვრებ პირებს ბინა უნდა მიეცეთ იმ ზომით,
 რაც მოცემულ დასახლებულ პუნქტში არის დაწესებული ბინების განაწილების
 დროს, ე. ი. არა ნაკლები საშუალო და არაუმეტეს სანიტარული ნორმისა. ქ.
 თბილისში მისაცემი ბინის ფართობი არ შეიძლება იყოს 8 კვ. მეტრზე ნაკლები
 და 12 კვ. მეტრზე მეტი თითოეულ სულზე. როცა პირადი საკუთრების სახლს
 უნგრევენ მოქალაქეს, მისთვის მისაცემი საცხოვრებელი ფართობი არ უნდა
 იყოს 12 კვ. მეტრზე ნაკლები ოჯახის თითოეულ წევრზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 16
 ოქტომბერს გააუქმა სასამართლო ორგანოების დადგენილებები, რომელთა მი-
 ხედვით ა. და ს. ა-ები გამოასახლეს და შეასახლეს სამოთახიან ბინაში (რომლის



ფართობი შეადგენდა 48 კვ. მეტრს), იმის გამო, რომ მოპასუხეები ცხოვრობდნენ პირადი საკუთრების სახლში, მათი ოჯახი შედგებოდა 5 სულისაგან და კანონით მათ ეკუთვნოდათ საცხოვრებელი ფართობი არანაკლები 60 კვ. მეტრისა.

იმ პირებს, რომლებსაც დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება აქვთ (მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფები და სხვ.) და ფაქტიურად უჭირავთ ეს ფართობი დამატებითი ოთახის სახით, უფლება აქვთ მოითხოვონ ასეთივე დამატებითი ოთახის მიცემა. სხვა შემთხვევაში დამატებითი ფართობის მიცემა სავალდებულო არ არის.

თუ მოქალაქეს უჭირავს ცალკე ბინა ან ერთ ოთახზე მეტი, მას შესაბამისად უნდა მიეცეს ცალკე ბინა და იმდენივე ოთახისაგან შემდგარი სადგომი. თუ პირს უჭირავს ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, მას ბინა მიეცემა სანიტარული ნორმის შესაბამისად (12 კვ. მეტრი სულზე), მაგრამ თუ დასანგრევ სახლში ერთ ოთახზე მეტი უჭირავს და ზედმეტი ფართობი ცალკე ოთახს წარმოადგენს, რომელიც სანიტარულ ნორმას აღემატება, იმდენივე ოთახი აღარ მიეცემა, ოღონდ იმ პირობით, თუ არ დაირღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის მოთხოვნა, სახელდობრ, თუ ამ ზედმეტი ოთახის ჩამორთმევით სხვადასხვა სქესის პირები, გარდა მეუღლეებისა, არ გახდებიან იძულებული იცხოვრონ ერთ ოთახში, ხოლო მეუღლეები სხვადასხვა ოთახში.

ყველა შემთხვევაში მოქალაქე, რომელმაც თავისი სახლის კომპენსაცია მიიღო, მოვალეა გათვალისწინებულ ვადაში დაანგრიოს თავისი სახლი, გამოიყენოს მასალა და გაანთავისუფლოს ტერიტორია, ხოლო როცა სამაგიერო ბინას აღებულობს, დროულად გადასახლდეს მისთვის განკუთვნილ ბინაში. იმ პირებმა, ვინც საგარანტიო ხელშეკრულება გააფორმა ასაშენებელ სახლში ბინების მიღების შესახებ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უნდა გაანთავისუფლონ მათ მიერ დაკავებული სადგომი და ტერიტორია.

არის შემთხვევები, როცა დასანგრევ სახლში მცხოვრები პირი აპიანურებს სამაგიერო ბინის მიღებას თუ შესაბამის მხარესთან ხელშეკრულების დადებას, რითაც გარდა იმისა, რომ აფერხებს მშენებლობის ორგანიზაციას, თვითონაც მნიშვნელოვნად ზარალდება. მოქ. ა. ს. თ-ს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივმა უპროექტოდ აშენებული სახლის ნაცვლად 5 სულზე შესთავაზა ადგილზე ასაშენებელ სახლში სამოთახიანი ბინა, რაზედაც მან კეტეგორიული უარი განაცხადა და მოითხოვა ოთხოთახიანი ბინა. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ის გასახლებული იქნა ვარკეთილის მასივში მდებარე სამოთახიან ბინაში. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას წინაღმდეგობის გაწევის დროს მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, რისთვისაც მიესაჯა წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა.

თავის მხრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთაც ევალებათ ასაღებ სახლებში მცხოვრებ პირთა ბინებით უზრუნველყოფა, მოვალე არიან მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ ამ პირების მიმართ, არ დაუშვან კანონით დაცული უფლებების დარღვევისა და მათ მიმართ უკანონო მოქმედების შემთხვევები.

ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბინაო მშენებლობის ტემპის დაჩქარებას და მოქალაქეთა ბინებით უზრუნველყოფას.



არქიტექტორების ა. ა. და ვ. ა. ვესნიანების პროექტით, ხოლო მოქანდაკეა ს. ს. ალიოშინი. III ინტერნაციონალის უკვდავსაყოფად არქიტექტორმა ვ. ე. ტატლინმა შექმნა კოშკურა ძეგლის პროექტი, ეს იყო მაღლივი ნაგებობის პირველი პროექტი.

1918 წლის 12 აპრილს გამოიცა დეკრეტი „რესპუბლიკის ძეგლების შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ ვ. ლენინი, ვ. ლუნაჩარსკი, ი. სტალინი. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ძეგლების აღსანიშნავი ძეგლების შექმნის მიზნით მოეწყო ფართო კონკურსი.

მოსკოვის არქიტექტურულმა საზოგადოებამ 1923-26 წლებში გამოაცხადა კონკურსები, მათ შორის კონკურსი ვ. ლენინის მუდმივი მავზოლეუმის საუკეთესო პროექტის შექმნისათვის. საკონკურსო კომისიამ, რომელსაც ვ. ლუნაჩარსკი მეთაურობდა საუკეთესოდ მიიჩნია ა. ვ. შჩუსევის პროექტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ვ. ი. ლენინის მუდმივი მავზოლეუმი — საბჭოთა არქიტექტურის თვალსაჩინო ნაწარმოები.

საბჭოთა არქიტექტორებთან ერთად კონკურსებში მონაწილეობდნენ უცხოელი არქიტექტორებიც. შევიცარიელი არქიტექტორის, თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთი მამამთავრის ლე კორბიუზიეს პროექტით მოსკოვში შექმნილი ცენტროკავშირის, ანუამდ სტატისტიკური სამმართველოს შენობა არის საბჭოთა ტიპის ადმინისტრაციულ ნაგებობათა ისტორიაში ჩაწერილი ახალი ფურცელი.

ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ისეთი შესანიშნავი კომპლექსი, როგორცაა ბერლინში ტრებტოვ-პარკში ფაშინიშის წინააღმდეგ ომში დაღუპულ ჯარისკაცთა უკვდავსაყოფად შექმნილი ძეგლი, რომლის მოქანდაკეა ე. ვუჩეტიჩი, არქიტექტორი კი ი. ბელოპოლსკი.

სოციალისტურ საზოგადოებაში კონკურსები გამოიყენება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა თუ ხელოვნების აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის. სოციალისტურმა ორგანიზაციებმა კონკურსის საშუალებით სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტისას მცირე მატერიალური დანახარჯებით დიდ შედეგებს მიღწიეს. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ სამოქალაქო სამართლის მოქმედმა კოდექსებმა პირველად საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ისტორიაში კონკურსის შედეგად აღმოცენებული ურთიერთობა ცნო ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძვლად.

საკონკურსო სამართლებრივმა ურთიერთობამ კანონმდებლობაში სრულყოფილი ასახვა ვერ ჰპოვა. კოდექსები ახდენენ საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ იმ ძირითადი საკითხების კოდიფიკაციას, რომელიც საერთოა ამ ურთიერთობისათვის. შეუძლებელიც იყო კოდექსებში სრულყოფილად ასახულიყო იმ სხვადასხვა დარგთა თავისებურებანი, რომლებიც ხვდებიან საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების ფარგლებში. საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმათა სრულყოფის მიზნით სასურველია გამოიცეს ტიპობრივი წესები ძირითადი სახის კონკურსების შესახებ, რომლებიც შეაფასებდნენ კოდექსის ძირითად დებულებებს.

* იურიდიული თვალსაზრისით კონკურსის გამოცხადება წარმოადგენს ჯილდოს საჯაროდ აღთქმის ნაირსახეობას. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის (უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ) სამოქალაქო სამართლის კოდექსები კონკურსს

აიგივებენ კიდეც „ჯილდოს საჯაროდ აღთქმასთან“ ანდა დაჯილდოებასთან. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ასათაურებს რა შესაბამის თავს „კონკურსის“ სახელწოდებით გამოდის ჯილდოს საჯაროდ აღთქმის ცნებიდან.

ჯილდოს საჯაროდ აღთქმის იურიდიული ბუნების შესახებ საბჭოთა ცივილისტთა შორის დღესაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ი. ბ. ნოვიცკი განიხილავს რა ჯილდოს საჯაროდ აღთქმის, როგორც ვალდებულების აღმოცენების საფუძველს ასკვნის, რომ ჯილდოს საჯაროდ აღთქმა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საჯარო გამოწვევა, ხელშეკრულების დასადებად მიცემული წინადადება, რომელიც მიმართული იქნება არა ცალკე განსაზღვრული პირისადმი ანდა წინასწარ განსაზღვრული რამდენიმე პირისადმი, არამედ ეს იქნება სახელშეკრულებო წინადადება პირთა განსაზღვრული წრისადმი — ეგრეთწოდებული საჯარო ოფერტა.³

ჯილდოს საჯაროდ აღთქმა რაიმე სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებაზე არ წარმოადგენს ოფერტას. როგორც ვიცით ხელშეკრულება არის წინასწარ განსაზღვრულ პირთან ან განსაზღვრულ პირებთან შეთანხმების შედეგი, ხოლო რაც შეეხება კონკურსში მონაწილე მხარის თანხმობას იგი გამოიხატება საკონკურსო სამუშაოთა ჩაბარებაში, რაც თავის მხრივ საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის მომდევნო სტადიაა და ამდენად ეს მოქმედება აქცეპტს კი არ წარმოადგენს, არამედ საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

ხელშეკრულების დადების დროს წარმოშობილ მოქმედებათა ერთობლიობა არ შეიძლება გავაიგივოთ საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობ ბიურიდიულ აქტთან. იმდენად რამდენადაც ეს ურთიერთობები სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ სფეროებს მოიცავენ. პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ, წინადადების მიმცემ მხარეს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს, კონკურსის გამოცხადებისას კი კონკურსის მომწყობს ეკისრება გარკვეული ვალდებულებანი, კერძოდ: საერთო წესის მიხედვით ჯილდოს საჯაროდ გამოცხადებულს არა აქვს მისი გაუქმების უფლება. მეორეც, კონკურსის მომწყობი ვალდებულია თუ კი მან გამოცხადებული წესი ან ნამუშევართა შედარებითი შეფასების ვადა დაარღვია აუნაზღაუროს ზარალი იმ პირს, რომელმაც კონკურსზე დასმულ ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული სამუშაო ჩაატარა.

ზოგიერთი ავტორი, კერძოდ, ვ. სმიროვი კონკურსის თავისებურებად თვლის, იმას, რომ „კონკურსის გამოცხადება წარმოადგენს ცალმხრივ გადადებითი პირობით დადებულ გარიგებას“⁴. ეს დებულება არასწორად უნდა მივიჩნიოთ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60-ე მუხლის თანახმად, „გარიგება ითვლება გადადებითი პირობით დადებულად თუ მხარეებმა გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დაუკავშირეს გარემოებას, რომლის შესახებაც არ არის ცნობილი შეიქმნება იგი თუ არა“. აქედან გამომდინარე პირობით დადებულ გარიგებაში გარიგების მონაწილეები სდებენ რა გარიგებას გარკვეული პირობით ოცნან, რომ თუ არ დადგება გარკვეული პირობა გარიგება დაკარგავს თავის მნიშვნელობას. კონკურს-

³ И. Новицкий, Л. Луниц. Общее учение об обязательстве, М., 1950, стр. 186.

⁴ В. Н. Смирнов. Конкурс в советском гражданском праве, Л., 1964, стр. 22.

სის დროს მისი მომწყობი იმედოვნებს, რომ საკონკურსო სამუშაოები გარკვეულ ვადაში იქნება წარმოდგენილი. კონკურსის ინტერესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დადგეს გარკვეული პირობა (წარმოდგენილ იქნეს საკონკურსო ნამუშევრები). ე. ი. პირველ შემთხვევაში (პირობით დადებულ გარიგების დროს) გარიგების მოქმედება დაკავშირებულია გარკვეულ გარემოებასთან, მეორე შემთხვევაში გარიგება იდება იმიტომ, რომ დადგეს გარკვეული პირობა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯილდოს საჯაროდ აღთქმიდან ვალდებულების აღმოცენება დაკავშირებულია გარკვეული პირობის დადგომასთან.

საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ავტორთა ერთი ნაწილი, კერძოდ — თ. ს. იოფე, ა. ბ. ძეგორაიტიის თვლიან, რომ საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა არა კონკურსის გამოცხადების მომენტიდან, არამედ კონკურსზე ნამუშევართა წარდგენის მომენტიდან, ხოლო რაც შეეხება ამ ურთიერთობის პირველ საფეხურს, თვით კონკურსის გამოცხადების ფაქტს, ამ საფეხურზე ჩნდება კონკურსის მომწყობის ერთგვარი სამართლებრივი შეზღუდვა.⁵

აღსანიშნავია, რომ ამავე თვალსაზრისს იზიარებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1951 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე პარაგრაფი, რომლის თანახმადაც „ჯილდოს დაპირება რაიმე მოქმედების შესრულებისათვის შემზღუდველია მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.“⁶

ავტორთა მეორე ნაწილი — ვ. ნ. სმიროვი, ვ. ა. რახმილოვიჩი, ვ. გ. ვერდნიკოვი, ა. ი. კაბალკინი, თ. ა. კრასავჩიკოვი და სხვ. თვლიან, რომ საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება თვით კონკურსის გამოცხადების მომენტიდან.⁷

ბოლო თვალსაზრისი უფრო მისაღებად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 452-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ საგანგებო ჯილდოს (პრემიის) საჯარო აღთქმა რაიმე სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის (კონკურსის გამოცხადება) ვალდებულს ხდის ამ ორგანიზაციას გადაუხადოს აღთქმული პრემია იმ პირს, რომლის ნამუშევარიც ცნობილ იქნა პრემიის ღირსად კონკურსის პირობების შესაბამისად“. ამ მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ვალდებულება აღმოცენდება ცალმხრივი ნების გამოქვეყნების საფუძველზე, კერძოდ, ჯილდოს საჯაროდ აღთქმის საფუძველზე. ე. ი. წინადადება კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი უკვე კონკურსის გამოცხადების მომენტიდანვე კონკურსის გამოცხადებელს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს.

⁵ О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, Л., 1965, стр. 360.

А. Б. Дзегорайтис. Понятие конкурса в советском гражданском праве, «Правоведение», 1968, № 6, стр. 58.

⁶ Гражданский и гражданско-процессуальный кодексы и закон о семье Чехословацкой Республики, под ред. А. В. Дозорцева, М., 1952, стр. 138.

⁷ В. Н. Смирнов. Конкурс в советском гражданском праве, Л., 1964, стр. 13; В. Г. Венедиктов, А. Ю. Кабалкин. Новые гражданские кодексы союзных республик М., 1965, стр. 116; О. А. Красавчиков. Советское гражданское право, т. II, М., 1969, стр. 360.

სახელდობრ, საერთო წესის მიხედვით კონკურსის გამომცხადებელს უფლება არა აქვს გააუქმოს იგი, კონკურსის გამომცხადებელი ასევე ვალდებულია, თუ მან გამოცხადების წესი დაარღვია აუნაზღაუროს ზარალი იმ პირს, რომელმაც კონკურსზე დასმული ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული სამუშაო ჩაატარა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 453-ე და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების თანახმად კონკურსის პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ნამუშევართა წარსადგენად დადგენილი ვადის პირველ ნახევარში. რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კომენტარები ინტერპრეტაციას უკეთებს რა ამ მუხლს მიუთითებს, რომ პირი, რომელიც ასრულებს კონკურსის ამოცანას, ზღბა მისი მონაწილე და იძენს კონკრეტულ უფლებამოსილებას კონკურსზე ნამუშევართა წარდგენის მომენტიდან, თუ მანამდე შეუდგა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას და ამასთან დაკავშირებით გასწია კიდევ შესაბამისი ხარჯები, მას არ შეუძლია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს რაიმე მოთხოვნები.⁸

ასეთი განმარტება არასწორედ უნდა მივიჩნიოთ. 453-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ კონკურსის პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ნამუშევართა წარსადგენად დადგენილი ვადის პირველ ნახევარში. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვადის მეორე ნახევარში კონკურსის პირობების შეცვლისას, პირს რომელიც შეუდგა კონკურსის პირობებიდან გამომდინარე მოქმედების შესრულებას უფლება აქვს მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მან მოანდომა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ამოცანის გადაწყვეტას.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის, კერძოდ ლატვიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 461-ე მუხლის თანახმად კონკურსის პირობების შეცვლა შეიძლება ნამუშევართა წარსადგენად დადგენილი ვადის მთელი დროის განმავლობაში. ამ მუხლის ასეთი სახით ჩამოყალიბება არასწორია. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი პირი იმის შიშით, რომ კონკურსის პირობები ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს კარგავს კონკურსში მონაწილეობის მიღების ინტერესს, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტურ საზოგადოებაში კონკურსის შედეგად აღმოცენებულ სამართლებრივ ურთიერთობაში მასობრიობის დანერგვის პრინციპს.

ზოგიერთი ავტორის, კერძოდ ვ. ა. რახმილოვიჩისა და ვ. ნ. სპირნოვის აზრით, კონკურსის გამოცხადების უფლება აქვთ როგორც იურიდიულ პირებს, ასევე ფიზიკურ პირებსაც. ვ. რახმილოვიჩის აზრით მოქალაქეს იმ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს კონკურსის გამოცხადების უფლება თუ იგი არ არღვევს რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5 და 105-ზე მუხლებს.⁹ ავტორთა მეორე ნაწილი (ო. ს. იოფე, ი. ა. გრინგოლცი, ო. ა. კრასავჩიკოვი) თვლის, რომ კონკურსის გამოცხადების უფლება აქვთ მხოლოდ იურიდიულ პი-

⁸ Комментарий к ГК РСФСР под ред. Е. А. Флейшиц и О. С. Иоффе, М., 1976, стр. 663—664.

⁹ В. Рахмилович. Обязательства, возникшие вследствие объявления конкурса «Советская юстиция», № 14, 1965, стр. 19; В. Н. Смирнов. Конкурс в советском гражданском праве, Л., 1964, стр. 35.

რებს, სწავლის დებულება მართებულია. ჯერ ერთი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 452-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლების თანახმად კონკურსის გამოცხადების უფლება აქვთ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამდენად აღნიშნული მუხლი ცალკეულ მოქალაქეებს არ ანიჭებს კონკურსის გამოცხადების უფლებას. ამას გარდა თუ გავითვალისწინებთ კონკურსის ორგანიზაციის სპეციფიკას, რაც გამოიხატება კონკურსის გამოცხადებაში, კონკურსის მოწყობისათვის საჭირო თანხების გაღებაში, სპეციალისტებისა და უიურის მოწვევაში, კონკურსის ჩატარების წესების დაცვაში და ა. შ. კონკურსის მოწყობის შესაძლებლობა ცალკეული მოქალაქეებისათვის ხელმიუწვდომია.

კონკურსის გამოცხადების თაობაზე ცნობები ვრცელდება რადიოს, ტელევიზიის, პრესის საშუალებით და სხვ. ამდენად კონკურსის გამოცხადება, როგორც ცალმხრივი გარიგება მიმართულია არა რომელიმე წინასწარ განსაზღვრული პირისადმი, არამედ პირთა მრავალმხრივი წრისადმი, (მხედველობაში გვაქვს ღია კონკურსები) რაც საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ამდენად, კონკურსის გამოცხადება ნებელობითი, მართლზომიერი იურიდიული მნიშვნელობის მქონე აქტია, ძირითადი ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც მიმართულია გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომისაკენ, სწორედ მასზეა დამოკიდებული საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების მთელი შემდგომი პროცესი დაწყებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა კონკრეტიზაციით, დამთავრებული კონკურსის შედეგის მიღწევით.

საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის შემდეგ საფეხურს წარმოადგენს კონკურსზე ნამუშევართა წარდგენა. ამ საფეხურზე სამართლებრივი ურთიერთობის ორივე მხარე განსაზღვრულია, სუბიექტები ცნობილია, მხარეთა უფლებამოვალეობანი კონკრეტულადაა გამოკვეთილი. კონკურსის გამოცხადებასა და კონკურსზე ნამუშევართა წარდგენას შორის კავშირი იურიდიულ მნიშვნელობას იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი თავისი შინაარსით შეესაბამება როგორც კანონის მოთხოვნებს, ასევე კონკურსის გამოცხადების პირობებსაც.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას, რომ კონკურსის მომწყობის მოქმედებას, რაც გამოიხატება კონკურსზე ნამუშევართა წარდგენაში, აქვს ორგვარი მნიშვნელობა. ერთის მხრივ ის გამოხატავს ავტორის თანხმობას გახედეს აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და ამდენად ცნოს კონკურსით გათვალისწინებული პირობები, მეორეს მხრივ ეს მოქმედება შეიცავს თანხმობას კონკურსზე გამარჯვების შემთხვევაში. გამარჯვებული ნამუშევარი გამოყენებულ იქნეს კონკურსის მომწყობი იურიდიული პირის ინტერესების შესაბამისად.

კონკურსზე ნამუშევართა წარდგენის პროცესი დამთავრებულად ჩაითვლება კონკურსის პირობებით გათვალისწინებული წესის ზუსტად დაცვის შემთხვევაში, რაც უზრუნველყოფს კონკურსის მომწყობის მიერ ნამუშევართა ჩაბარების ფაქტის აღქმას და მისთვის ქმნის ახალ იურიდიულ შედეგს, კერძოდ,

¹⁰ О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, Л., 1965, стр. 358; Научно-практический комментарий к ГК РСФСР под ред. проф. Е. А. Флейшиц, М., 1965, стр. 512; Советское гражданское право, под ред. О. А. Красавчикова, М., 1969, стр. 359.

წარმოშობს კონკურსის მომწყობის ვალდებულებას შეაფასოს წარმოდგენილი ნამუშევრები. თუ კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია ზუსტად დაიცვას კონკურსის პირობები, კონკურსის მომწყობი ვალდებულია კვალიფიციურად და ობიექტურად შეაფასოს წარმოდგენილი ნამუშევარი, ამას იგი ახერხებს ისეთი კრიტერიუმების გამოყენებით როგორცაა სიახლე, ეკონომიური ეფექტურობა, დანერგვის პერსპექტიულობა და ა. შ. კონკურსის მომწყობის გადაწყვეტილებაზე, როგორც იურიდიულ ფაქტზე, ბევრადაა დამოკიდებული კონკურსში მონაწილე პირთა უფლებებისა და ვალდებულებების შეცვლა, რააც მოპყვება ამ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობის ცვლილება. აღნიშნულ საფეხურზე წყდება საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვეს, ხოლო რაც შეეხება გამარჯვებულებს ისინი მოიპოვებენ ჯილდოს მიღების უფლებას.

ავტორთა ერთი ნაწილი კონკურსის მომწყობის გადაწყვეტილებას განიხილავს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მაგრამ ამ დებულებას არავითარ ინტერპრეტაციას არ უკეთებს.¹¹

ა. ბ. ძეგორაიტიის შემაფასებელი გადაწყვეტილების გამოტანას მიიჩნევს დამხმარე ცალმხრივ გარიგებად, იმდენად რამდენადაც მას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ გააჩნია.¹²

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 452-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კონკურსის გამოცხადება შეუძლია არა ნებისმიერ, არამედ მხოლოდ ისეთ იურიდიულ პირს, რომელსაც ეს უფლებები მინიჭებული აქვს წესდებით (დებულებით) ან სსრ კავშირის ანდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით. შესაბამისად, კონკურსის შედეგების შეფასების უფლება აქვს კონკურსის გამომცხადებელ იურიდიულ პირს.

იურიდიული პირი ამ მიზნით ქმნის სპეციალურ კომისიას (ჟიურის) ან შეფასებას ახდენს თვით იურიდიული პირის ადმინისტრაცია, გამოაქვს რა ამის შესახებ სპეციალური გადაწყვეტილება. როგორც ადმინისტრაციული აქტის შესახებ ზოგადი თეორიიდანაა ცნობილი ადმინისტრაციულ აქტს აქვს იურიდიული ძალა იმ შემთხვევაში, თუ ის გამოცემულია კანონის საფუძველზე და კანონის შესასრულებლად.

როგორც ცნობილია ადმინისტრაციული აქტები ორ ჯგუფად იყოფა: აქტები, რომლებიც ხორციელდება მეორე მხარის ნებისაგან დამოუკიდებლად და აქტები რომელთა ნამდვილობის პირობას ანდა რომელთა შესრულებასაც წარმოადგენს ადრესატის თანხმობის გამოხატულება მოცემული საკითხის ცალმხრივ გადაწყვეტაზე,¹³ ჟიურის ან ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა კონკურსის შედეგების შესახებ უნდა მივაკუთვნოთ ადმინისტრაციულ-

¹¹ Научно-практический комментарий к ГК РСФСР, под ред. Е. А. Флейшиц, М., 1966, стр. 516; В. Н. Смирнов. Конкурс в советском гражданском праве, Л., 1964, стр. 25.

¹² А. Б. Дзегорайтис. Конкурс в советском гражданском праве, Кандидатская диссертация, Л., 1969, стр. 31—32.

¹³ Ежи Старосьяк. Правовые формы административной деятельности, М., 1959, стр. 213—214.

ლი აქტების ისეთ ტიპს როგორცაა აქტები, რომლებიც ხორციელდებიან მეორე მხარის ნებისაგან დამოუკიდებლად.

ამდენად კონკურსის მომწყობის მოქმედება გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. მისი საშუალებით კონკურსის მომწყობი ახორციელებს თავის უფლებას კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევართაგან აირჩიოს საუკეთესო. კონკურსში მონაწილე იმ პირთათვის რომელთა ნამუშევრებიც არ იქნენ ცნობილი პრემიის ღირსად, უფლებები და ვალდებულებები წყდება ნამუშევართა უკან დაბრუნების მომენტიდან, ხოლო რაც შეეხება გამარჯვებულებს ისინი მოიპოვებენ ჯილდოს მიღების უფლებას.

საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის შემაჯამებელ საფეხურს წარმოადგენს აღთქმული ჯილდოს (პრემიის) გაცემა ანდა კონკურსში მონაწილე იმ პირთათვის, რომელთა ნამუშევრებიც არ იქნენ ცნობილი პრემიის ღირსად, ნამუშევართა უკან დაბრუნება (ნამუშევრები უკან არ უბრუნდებათ ორ შემთხვევაში, თუ კონკურსის პირობებში ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული და თუ კონკურსის თავისებურებებიდან გამომდინარე ნამუშევართა უკან დაბრუნება შეუძლებელია. მაგალითად მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსის (დროს). აღნიშნული მოქმედებით კონკურსის მომწყობი ახორციელებს თავის საბოლოო ვალდებულებას, რომლის შემდეგაც წყდება საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა თავისი განვითარების პროცესში გაივლის 4 ძირითად საფეხურს, რომელთაგანაც ორი — კონკურსის გამოცხადება და კონკურსზე ნამუშევართა წარდგენა საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად ღერძს წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება ბოლო ორ ელემენტს — შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და აღთქმული ჯილდოს (პრემიის) გადაცემას — საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის დამხმარე შემაჯამებელი ელემენტებია, წარმოიშვებიან პირველი ორი ელემენტის საფუძველზე და კონკურსის მიზნის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენენ.

სამეურნეო ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების სწიშრიკება

რ. ცინცაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სამეურნეო ხელშეკრულება, როგორც ყოველი ვალდებულება, ჯეროვნად და დაწესებულ ვადაში, კანონის, დაგეგმვის აქტის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად უნდა შესრულდეს.¹ იგი უნდა შესრულდეს განსაზღვრულ ადგილზე, დადგენილ ვადაში, ხარისხოვნად, კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით. ვალდებულების რეალური შესრულება მიიღწევა სწორედ იმ მოქმედებათა შესრულებითა და სწორედ იმ ნივთების გადაცემით, რომლებიც დათქმულია ხელშეკრულებაში.

ლიტერატურაში გავრცელებული ამ აზრის საწინააღმდეგოდ, ზოგმა ავტორმა რეალური შესრულების პრინციპი მიიჩნია ხელშეკრულების ძირითად პრინციპად.² ასეთ მოსაზრებას საფუძვლად ის დაედო, რომ გეგმური მეურნეობის და განსაკუთრებით სამეურნეო რეფორმის პირობებში ფულად კომპენსაციას არ ძალუძს მთლიანად აღმოფხვრას ის უარყოფითი შედეგი, რაც ხელშეკრულების შეუსრულებლობას მოსდევს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე მეორე მხარის სამეურნეო ინტერესების თვალსაზრისით.

სწორია ის მოსაზრება, რომ ფულად კომპენსაციას არ ძალუძს მთლიანად აღმოფხვრას ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. მიუხედავად ამისა, ძნელია დავეთანხმოთ ამაზე დაფუძნებულ დასკვნას, რომ რეალური შესრულების პრინციპი ამ გარემოების წყალობით გადაიქცევა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპად.

უდავოა, რომ ვალდებულების ნატურით შეუსრულებლობის შემთხვევაში გეგმით გათვალისწინებული სამუშაო ვერ სრულდება, გარკვეული პროდუქცია ვერ იქმნება ან არასათანადოდ ნაწილდება და სხვ., რაც უფრო საგრძნობი ხდება სამეურნეო რეფორმის პირობებში. მაგრამ ჯეროვანი შესრულება მოიცავს ვალდებულების სუბიექტებს, საგანს, ხარისხს, შესრულების ადგილს, ვადას, წესს. ე. ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ნიშნავს მისი ყველა პირობის მკაცრ და პუნქტუალურ დაცვას, ხოლო თუ ეს ასეა, ამ პირობებში, როგორც შემადგენელი ნაწილი, უნდა შევიდეს ხელშეკრულების ნატურით შესრულების პირობაც. ეს თავის წინააღმდეგ საფუძველს იძლევა ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების პრინციპი კვლავ მივიჩნიოთ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპად.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა

¹ იხ. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ 33-ე მუხლი; საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 165-ე მუხლი, რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 168-ე მუხლი, უკრაინის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი და სხვ.

² იხ. მაგ. **Р. О. Халфина**, *Хозяйственный договор в условиях экономической реформы*, М., 1970, стр. 41.

ენიჭება სახალხო მეურნეობრივი დისციპლინის განმტკიცებას. ეს იმიტომ, რომ სამეურნეო რეფორმის პრინციპის თანმიმდევრული გატარება წარმოუდგენელი ზღბა, თუ დისციპლინა უმკაცრესად არ იქნა დაცული. ამიტომ სამეურნეო ანგარიშის პრინციპი გულისხმობს გამონაკლისის გარეშე მეურნეობრივი ურთიერთობის ყველა სუბიექტის მიერ დისციპლინის განუხრელ დაცვას, ხოლო თუ ეს არ განხორციელდება, დამახინჯდება თვით სამეურნეო ანგარიშის იდეა.³

ხელშეკრულების ჭეშოროვანი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მხარეთა მატერიალურ სტიმულირებას, ისე პასუხისმგებლობის დაკისრებას ხელშეკრულების შეუსრულებლობისა თუ არასათანადოდ შესრულებისათვის.

მხარეთა მატერიალურმა სტიმულირებამ, როგორც სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების მქონე გარემოებამ, თავისი ასახვა ჰპოვა მოქმედ ნორმატიულ აქტებში. ასე მაგალითად, შიდა წყლის ტრანსპორტზე, თუ თვის შემდგომ დეკადებში ან ხუთდღიურებში მოხდება არასრული დატვირთვის შევსება, ჯარიმა, რომელიც დაწესებულია გადაზიდვის გემის შეუსრულებლობისათვის, მცირდება 50 პროცენტით.⁴

საზღვაო ტრანსპორტზე, მცირე კაბოტაჟით გადაზიდვის დროს, გრაფიკით გათვალისწინებული ტონაჟის მიუწოდებლობის თვის განმავლობაში შევსება იწვევს გადაზიდვის გრაფიკის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმის 1/3-ით შემცირებას.⁵

რკინიგზის ტრანსპორტზე, ტვირთის გამგზავნის ან გადამზიდვის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმ არასრული დატვირთვის ან გადაზიდვის საშუალებათა მიუწოდებლობის შევსება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის ცალკეულ დღებში, ათავისუფლებს ბრალეულ პირს ჯარიმის გადახდისაგან, რომელიც დაწესებულია გადაზიდვის გემის შეუსრულებლობისათვის.⁶

ეს ნორმები მიზნად ისახავენ ხელშეკრულების მხარეებზე ზემოქმედებას იმ მიზნით, რომ მათ შეასრულონ ვალდებულების მინიმალური მოთხოვნები.

ამასთან ერთად, სამოქალაქო სამართალი იცნობს ნორმებსაც, რომლებიც სტიმულს იძლევიან ვალდებულების გაუმჯობესებელი შესრულებისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩანს სატრანსპორტო კანონმდებლობიდან. აქ წახალისების საფუძველია დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებში ავტომატქანებისა და ავტომატარებლების მოცდენის დროის შემცირება ზღვრულ ნორმებთან შედარებით,⁷ გამგზავნის ან მიმღების მიერ საზღვაო გემის ვადამდე დატვირთვა ან გადმოტვირთვა,⁸ სამდინარო გემის ვადამდე გადმოტვირთვა.⁹ ან-

³ იხ. **В. М. Манохин**, Государственная дисциплина в народном хозяйстве. Изд-во Ю/Л. М., 1970, стр. 16.

⁴ იხ. **УВВТ**, стр. 181.

⁵ იხ. Положение об ответственности органов транспорта и клиентуры за невыполнение государственного плана перевозок по внутренним водным путям и по морским путям в малом каботаже, п. 10.

⁶ იხ. **УЖД** Союза ССР, ст. 145, пп. «г», «е», ст. 146, пп. «г», «д».

⁷ იხ. Положение о взаимной материальной ответственности автотранспортных организаций и клиентуры за выполнение плана перевозок и сохранность перевозимых грузов, утвержденное Министерством автомобильного транспорта и шоссейных дорог СССР 4-го мая 1955 г., п. 10.

⁸ იხ. Кодекс торгового мореплавания Союза ССР, ст. 114.

⁹ იხ. **УВВТ** Союза ССР, ст. 86.

ლოგიური მდგომარეობა გვაქვს კაპიტალური მშენებლობის სფეროში¹⁰ და სხვ. წახალისების ღონისძიებებთან ერთად, ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების სტიმულირების კიდევ უფრო ეფექტური საშუალებაა ხელშეკრულების შეუსრულებლობაში ბრალის მქონე მხარისათვის სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრება.

ლიტერატურაში პასუხისმგებლობის კატეგორია განიხილება აქტიურ და რეტროსპექტულ ასპექტებში.¹¹

პასუხისმგებლობა აქტიურ ასპექტში — ეს არის პირის მიერ თავისი მოვალეობის შეგნება საზოგადოების, კლასის, ცალკეული კოლექტივის, სხვა პირთა წინაშე, პასუხისმგებლობა რეტროსპექტულ ასპექტში კი — პასუხისმგებლობა ისეთი ქმედობისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება გარკვეულ სოციალურ ნორმებს.

სოციალისტურ საზოგადოებაში ორივე სახის პასუხისმგებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. რაც უფრო მაღალია პასუხისმგებლობის დონე აქტიურ ასპექტში, მით უფრო უკეთესად ხდება საზოგადოებრივი ქცევის ნორმების დაცვა, მით უფრო იშვიათია პასუხისმგებლობა რეტროსპექტულ გაგებით.

რეტროსპექტული პასუხისმგებლობა წარმოადგენს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას სამართალდამრღვევსა და ხალხს, კლასს, ორგანიზაციას, სახელმწიფოს შორის. მისი საფუძველია გარკვეული სოციალური წარმონაქმნის (საზოგადოების, კლასის, სახელმწიფოს და ა. შ.) მიერ დამრღვევის იძულება დაიცვას ამ წარმონაქმნის ინტერესების შესაბამისი სოციალური ნორმები და მეორეს მხრივ, დამრღვევის მორჩილება ასეთი ზემოქმედებისადმი, მისი განცდა.¹²

იმ პასუხისმგებლობასთან ერთად, რომელიც პირს ეკისრება საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე, სოციალური ნორმების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა იურიდიული პასუხისმგებლობა. იგი წარმოადგენს სოციალური, რეტროსპექტული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახეს.¹³

უმეტესად იურიდიული (სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, დისციპლინარული და ნაწილობრივ სამოქალაქო სამართლის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული მოღვაწეობის — საქმის გამოვლენის, გარჩევისა და გადაწყვეტის გარეშე, წარმოუდგენელია. თუმცა, ზოგჯერ სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია წარმოებს სახელმწიფო აპარატის სპეციალური მოღვაწეობის გარეშეც. ეს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთ-

¹⁰ იხ. Положение о премировании работников за ввод в действие производственных мощностей и объектов строительства, утвержденное Постановлением Государственного комитета Совета Министров СССР по вопросам труда и зарплаты, Государственного комитета по делам строительства СССР и Президиума Всесоюзного Центрального Совета Профессиональных Советов от 1 июня 1964 г., № 270.

¹¹ იხ. А. П. Черманин. Проблема ответственности в современной буржуазной этике, «Вопросы философии», 1965, № 2, стр. 76—77, 86—87; И. А. Галаган. Административная ответственность в СССР. Воронеж, 1970, стр. 11—12.

¹² იხ. И. С. Самошенко, М. Х. Фарушкин, Ответственность по советскому законодательству, Ю/Л, М., 1971, стр. 6—11.

¹³ იხ. იქვე, გვ. 41.



ვნება სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობას და ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე.

იურიდიული პასუხისმგებლობა ყოველთვის დაკავშირებულია სახელმწიფო იძულებასთან, მაგრამ მხოლოდ ისეთ სახელმწიფო იძულებასთან, რომელიც მიმართულია საბჭოთა სამართლის მოთხოვნების შესასრულებლად.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასეთი იძულების ერთ-ერთი ფორმაა და დაკავშირებულია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დამრღვევის მიმართ სამოქალაქოსამართლებრივი სანქციის გამოყენებასთან, რომელსაც თან ახლავს დამრღვევისათვის არასასურველი ქონებრივი შედეგები.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება ის არის, რომ სახელმწიფოებო ურთიერთობების დროს, კონტრაგენტს ზოგჯერ შეუძლია გამოიყენოს სამართალდარღვევის მიმართ კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი სანქცია სასამართლო ან სხვა სახელმწიფო ორგანოების დახმარების გარეშე.¹⁴

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში, ძალზე დიდია. ეს იმით არის გაპირობებული, რომ ასეთი პასუხისმგებლობა ხელს უწყობს სამოქალაქო სამართლის ნორმების მკაცრ დაცვას, საგემო დაგალებების ჯეროვან შესრულებას, უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფოს, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

ლიტერატურაში გავრცელება ჰპოვა შემდეგმა წესმა: მოვალის პასუხისმგებლობას, თუ კი იგი ვალდებულებიდან წარმოიშობა, უწოდონ სახელმწიფოებო პასუხისმგებლობა, ხოლო პასუხისმგებლობას, რომელიც არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან (პასუხისმგებლობა საგემო ვალდებულებათა დარღვევისათვის, ზიანის მიყენებისათვის და ა. შ.) — ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობა.¹⁵

სახელმწიფოებო პასუხისმგებლობისა და იმ პასუხისმგებლობის გაიგივება, რომელიც დგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შედეგად, არაა მოკლებული არა მარტო ტერმინოლოგიურ, არამედ არსებით საფუძვლებსაც. ამაზე საგსებით სწორედ მიუთითებენ ვ. გ. ვერდნიკოვი და ა. ი. კაბალკინი, რომლებიც თვლიან, რომ ხელშეკრულების მხარეებს აქვთ გარკვეული შესაძლებლობა თავიანთი შეთანხმებით განსაზღვრონ ვალდებულების შინაარსი, გაითვალისწინონ მისი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმები, სიდიდე და პირობები.¹⁶

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ხელშეკრულების საფუძვლზე, ისე მის გარეშე, წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა პირი არ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს ვალდებულებას.

¹⁴ იხ. **О. С. Иоффе**. Ответственность по советскому гражданскому праву, Изд-во ЛГУ, 1955, стр. 10.

¹⁵ იხ. Советское гражданское право (под ред. О. А. Красавчикова), т. I, изд-во «Высшая школа», М., 1968, стр. 481; Гражданское право (под ред. П. Е. Орловского и С. М. Корнеева), т. 1. Ю/л, М., 1969, стр. 517; ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება ი. ს. სამოშჩენკოსა და მ. ხ. ფორუქშინის მითითებული შრომიდან გვ. 59-60 და სვ.

¹⁶ იხ. **В. Т. Вердников, А. Ю. Кабалкин**. Гражданско-правовые формы товарно-денежных отношений, Ю/л, М., 1970, стр. 100.

სამოქალაქო სამართალი იცნობს ბრალის ორი ფორმას — განზრახვას და გაუფრთხილებლობას, ხოლო გაუფრთხილებელ ბრალს თავის მხრივ ჰყოფს უხემ და უბრალო გაუფრთხილებლობად. ამის მიუხედავად ლიტერატურაში მაინც გავრცელებულია შეხედულება, რომ სამართალდამრღვევის ბრალის ფორმა გავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობის მოცულობაზე.¹⁷

მართალია, სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობა განსხვავდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაში ბრალის ფორმები არ თამაშობენ ისეთსავე როლს როგორც სისხლის სამართალში, მაგრამ ზემოაღნიშნული შეხედულება მაინც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ამაზე უკვე გამოითქვა აზრი ლიტერატურაში. კერძოდ გ. კ. მატვეევი ფიქრობს, რომ ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ სამოქალაქო სამართალი არ შეიცავს ისეთ საერთო ნორმას, სადაც მითითებულია ბრალის ხარისხის გათვალისწინების აუცილებლობა, მაგრამ იგი იცნობს ბევრ ასეთ კერძო შემთხვევას.¹⁸ ეს ყველაზე უფრო თანამიმდევრულად გამოხატულია ე. წ. შერეული პასუხისმგებლობის ინსტიტუტში, ვალდებულებით სამართალში (მაგ. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 220, 223 მუხლები), დელიტური სამართლის სფეროში (მაგ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471 მუხლი) და ა. შ. იგივე გამომდინარეობს მთელი რიგი ნორმატიული აქტებიდან.

სსრ კავშირის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად, ტვირთის დაზიანების ან დაღუპვის შედეგად დამდგარი ზარალი არ ნაწილდება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ვემს, ფრახტსა და ტვირთს შორის მათი ღირებულების შესაბამისად, თუ კი იგი განზრახ სწორი დასახელებით არ ჩაბარდა. ტვირთის გამგზავნისათვის, რომელმაც განზრახ დაარღვია ტვირთის გადასაზიდად ჩაბარების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით დგება ნაკლებად ხელსაყრელი შედეგები, ე. ი. მისი პასუხისმგებლობა იზრდება.

სსრ კავშირის რკინიგზათა წესდების 151-ე მუხლით რკინიგზა პასუხისმგებელია ტვირთის გადაზიდვის დროს დამდგარი ზარალისათვის, თუ ის თავისი საჭიროებებისათვის გამოიყენებს გადასაზიდად მიღებულ ტვირთს. დამნაშავე პირები პასუხისმგებაში მიეცევიან დადგენილი წესით, ხოლო რკინიგზა ანაზღაურებს ტვირთის ღირებულებას ორმაგად. როგორც ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, განზრახ ჩადენილი სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ცალკეულ დამნაშავე პირების ინდივიდუალურ, დისციპლინარულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად, დაწესებულია რკინიგზის გაზრდილი მატერიალური პასუხისმგებლობა.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სავტომობილო ტრანსპორტ-

¹⁷ იხ. **О. С. Иоффе**, Значение вины в советском гражданском праве («Ученые записки Ленинградского университета, 1951, № 129, стр. 125—150); მისივე, Ответственность по советскому гражданскому праву, стр. 141—144; **В. С. Антимонов**, Основания договорной ответственности социалистических организаций, стр. 59, 135 — 139; **И. Б. Новицкий**, **Л. А. Луиц**, Общее учение об обязательстве, стр. 376; **М. И. Брагинский**, Общее учение о хозяйственных договорах, Минск, 1967, стр. 248; **О. Э. Лейст**, Санкции в советском праве, стр. 70 и др.

¹⁸ იხ. **Г. К. Матвеев**, Основания гражданско-правовой ответственности, М., 1970, стр. 242—247.

ზე. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების 132-ე მუხლის თანახმად,¹⁹ თუ ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია თავისი საჭიროებისათვის გამოიყენებს გადასაზიდად მიღებულ ტვირთს, დამნაშავე პირები პასუხისმგებლობაში მიეცემა დადგენილი წესით, ხოლო ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები აანაზღაურებენ ტვირთის ღირებულებას ორმაგად.

სხვა შემთხვევაში, როგორც ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, ისე რკინიგზა, მოვალენი არიან ჩვეულებრივ აანაზღაურონ მხოლოდ „პოზიტიური ზარალი“.

შეიძლება კიდევ რამდენიმე მაგალითის მოტანა, როგორც შრომის კანონთა კოდექსიდან, ისე სხვა ნორმატიული მასალებიდან. მივუთითებთ მხოლოდ ერთ აქტზე, კერძოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებაზე — „დავალებებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ დადგენილებით, არბიტრაჟის ორგანოებს მიენიჭათ უფლება, რომ მხარეს, რომელიც უხეშად (განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით) დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს, გადაახდევინონ პირგასამტეხლო, ჯარიმა, საურავი 50 პროცენტამდე გაზრდილი ოდენობით, და ეს ზედმეტად გადახდილი თანხა ჩარიცხონ საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში.²⁰

როგორც ვხედავთ, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ნორმები ხშირად ანსხვავებენ განზრახვით და გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანს. ამდენად, როგორც სასამართლოს და არბიტრაჟის, ისე სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანაა უფრო ფართოდ გამოიყენონ ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისათვის სტიმულის მომცემი ეს გარემოება.

ბოლოს, როცა ვეხებით პასუხისმგებლობას, როგორც სამეურნეო ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებისათვის სტიმულის მომცემ გარემოებას, არ შეიძლება არ მივუქციოთ ყურადღება ზოგიერთი ორგანიზაციის ე. წ. „შეზღუდული პასუხისმგებლობის“ მიზანშეუწონლობას.

მართალია, საბჭოთა სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპი რაც იმაში გამოიხატება, რომ ვალდებულების დამრღვევმა მხარემ მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს როგორც კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება (ე. წ. პოზიტიური ზარალი), ისე არმიღებული შემოსავალი.²¹ მაგრამ ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპმა თანამიმდევრული ასახვა ვერ ჰპოვა როგორც ნორმატიულ აქტებში, ისე არბიტრაჟის პრაქტიკაში. გამონაკლისის სახით დაშვებული შეზღუდული პასუხისმგებლობა ფაქტიურად წესად იქცა. იგი ვრცელდება სატრანსპორტო, საამშენებლო, საპროექტო, ელექტრომომარაგებელ საწარმოებზე; სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაზე. შეზღუდული პასუხისმგებლობის დროს ხდება მხოლოდ ქონების დადებითი ზა-

¹⁹ იხ. აგრეთვე რსფსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების 135-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის წესდებების შესაბამისი მუხლები.

²⁰ იხ. СН СССР, 1967 г., № 26, стп. 186.

²¹ იხ. „საფუძვლები“ 36-ე მუხლი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

რალის ანაზღაურება და არ ნაზღაურდება ზარალი არმიღებული შემოსავლის სახით, ზოგჯერ თვით პოზიტიური ზარალის ნაწილიც კი.²²

ამან ავტორთა ნაწილის უარყოფითი შეფასება დაამსახურა. კერძოდ, ე. ა. ფლემიცი, ა. ლ. მაკოვსკი წინადადებას იძლეოდნენ შემცირებულიყო იმ შემთხვევათა წრე, როცა კანონით დაშვებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის დაკისრება;²³ მ. ი. ბრაგინსკი, ვ. ს. მავრიშჩევი, აგრეთვე ი. ს. სამოშჩენკო, მ. ხ. ფარუქმინი საჭიროდ მიიჩნევენ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილეებისათვის მეტი თანასწორობის დაცვას;²⁴ გ. კ. მატვევი მიუთითებს, რომ აქ (შეზღუდული პასუხისმგებლობის შემთხვევებში) პრაქტიკულად ვერ ხორციელდება ბრალის პრინციპის მიხედვით პასუხისმგებლობა;²⁵ ნ. ა. აბრამოვის აზრით, აუცილებელია განსაკუთრებული პირგასამტეხლოს შეცვლა ჩათვლით პირგასამტეხლოთი (ე. წ. ზარალის სრული ანაზღაურება);²⁶ ა. ი. პინდინგი დაუშვებლად მიიჩნევს შეზღუდული პასუხისმგებლობის გამოყენებას ბრალის ისეთი ფორმის დროს, როგორცაა განზრახვა²⁷ და ა. შ.

ვეფიქრობთ, რომ ამ ავტორთა მოსაზრებები მოკლებული არ არის დამაჯერებლობას. იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების ერთი მხარე ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციათაგანია, ირღვევა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — სამართალურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა. ამასთან, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ შეესაბამება ეკონომიური რეფორმის არსს და არ უწყობს ხელს სამეურნეო ორგანიზაციათა ნორმალურ საქმიანობას, ვინაიდან ბადებს „პრივილეგირებული ორგანიზაციების“ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას თავისი ვალდებულებებისადმი. ეს კი მეტად შორს დგას სამეურნეო ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისათვის სტიმულის ცემისაგან.

²² ასე მაგალითად, რკინიგზა ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში მოვალეა ანაზღაუროს მხოლოდ მისი ღირებულება იმ ხარჯების ანაზღაურების გარეშე, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთის რკინიგზაზე მიტანასთან, დატვირთვისთან და სხვ. (სსრკ რკინიგზათა წესდების 151 მუხლი), ანალოგიური მდგომარეობაა საავტომობილო ტრანსპორტზეც (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 377-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები).

²³ О повышенной и ограниченной ответственности социалистических организаций за нарушение обязательств по советскому гражданскому праву, «Ученые записки ВНИИСЗ», 1966, стр. 53—64.

²⁴ М. И. Брагинский, В. С. Маврицев, О некоторых путях усиления экономической эффективности имущественных санкций в хозяйственных договорах (საუწყებო-თაშორისო ეკონომიურ-სამართლებრივი სამეცნიერო კონფერენციის — «Проблемы ответственности хозяйственных органов в новых условиях планирования и экономического стимулирования промышленного производства», Донецк, 1967, стр. 64; И. С. Самощенко, М. Х. Фарушкин, მითითებული ნაშრომი, გვ. 164.

²⁵ Г. К. Матвеев, Основания гражданскоправовой ответственности, стр. 305.

²⁶ Н. А. Абрамов, Полная и ограниченная ответственность хозяйственных организаций «Советское государство и право», 1969, № 8, стр. 68.

²⁷ А. И. Пиндинг, Возмещение убытков, причиненных промышленным предприятием неисполнением договорных обязательств (автореферат на соискание ученой степени кандидата юридических наук), М., 1968, стр. 14.

დანაშაულის ჩადენის ხერხის მნიშვნელობა სხეულის დაზიანების საქმეთა კვალიფიკაციისათვის

ი. შორღანიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ბევრი მუხლი ითვალისწინებს პირის დასჯადობას ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფისათვის.

ერთ წერილში შეუძლებელია ყველა იმ საკითხის ამომწურავი გამოკვლევა, რომლებიც წამოიჭრება სხეულის დაზიანების საქმეთა გამოძიებისა და განხილვის პროცესში. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის საქმეებზე დანაშაულის ჩადენის ხერხს, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშანს, დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსის და მიმართულების განსაზღვრისათვის.

საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონი აწესებს, რომ, როდენ მძიმეც არ უნდა იყოს პირის მოქმედებით გამოწვეული შედეგი, იგი პასუხს არ აგებს ამ შედეგისათვის, თუ არ დადგინდა, რომ პირი მოქმედებდა ბრალეულად, ე. ი. განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

სხეულის დაზიანების საქმეთა სწორი კვალიფიკაციისათვის უფრო მნიშვნელოვანია დანაშაულის სუბიექტური მხარე, ვიდრე იმ ვნების მოცულობა, რაც გამოიწვია დამნაშავის მოქმედებამ. პრაქტიკა მოწმობს, რომ სხეულის დაზიანებათა კვალიფიკაციაში დაშვებული შეცდომები უმთავრესად გამოწვეულია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური და ობიექტური მხარის ზერეულ გამოკვლევით. ამ კატეგორიის ზოგიერთ საქმეზე კვალიფიკაციის განსაზღვრისას არ ითვალისწინებენ ობიექტურ გარემოებებს, დანაშაულის ჩადენის ხერხს, დამნაშავის მიერ გამოყენებულ იარაღს და დანაშაულის ჩადენის საშუალებას.

ხშირად დამნაშავის მოქმედება კვალიფიცირდება ფაქტიურად დამდგარი შედეგის მიხედვით. ამასთან მხედველობაში არ არის მიღებული დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსი და მიმართულება, მაშინაც კი, როცა განზრახვის მოცულობა გარკვეულია.

ასე მაგალითად, ხშირად იმ პირის მოქმედებას, რომელიც ეცადა მიეყენებინა დაზარალებულისათვის სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიიღწია და ფაქტიურად დადგა სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება, აკვალიფიცირებენ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, მაშინ როდესაც საზეზე გვაქვს სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების მცდელობა. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლები, დანაშაულის შემადგენლობის აუ-

ცილებელ ელემენტებად თვლიან გარკვეული სიმძიმის დაზიანების დადგომას, მაგრამ დამნაშავის მოქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის საკმარისი არ არის მარტოდენ ფაქტიურად დამდგარი ზიანის მოცულობის განსაზღვრა. ამასთან ერთად აუცილებელია ყოველმხრივ გაანალიზდეს დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე, განისაზღვროს კონკრეტულად რა სახის ზიანის მიყენებას ცდილობდა დამნაშავე.

სხეულის დაზიანების მიყენებისას დამნაშავე შეიძლება მოქმედებდეს როგორც განსაზღვრული ისე განუსაზღვრელი განზრახვით. (ზოგიერთი პირდაპირ განზრახვას ყოფს: დაკონკრეტებულ და დაუკონკრეტებელ განზრახვად). პირდაპირი განზრახვის ასეთ დიფერენციაციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის ხელს უწყობს ამ კატეგორიის საქმეებზე დანაშაულებრივ ქმედობის სწორად განსაზღვრას. პირდაპირი განსაზღვრული განზრახვის ცნება გულისხმობს დამდგარ შედეგისადმი დამნაშავის ისეთ ფსიქიკურ დამოკიდებულებას, როცა ის ითვალისწინებს არა მარტო იმას, რომ დაზარალებულის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს, არამედ იმ ზიანის მოცულობასაც, რომელიც უნდა დადგეს მისი მოქმედებით. კერძოდ, მას შეგნებული აქვს რომ მისი ქმედობით დადგება სხეულის გარკვეული კატეგორიის და სიმძიმის დაზიანება (მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი კატეგორიის დაზიანება).

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ სხეულის დაზიანებათა მიყენების დროს დამნაშავე უმეტესად მოქმედებს განუსაზღვრელი განზრახვით. მას შეგნებული აქვს, რომ თავის მოქმედებით დაზარალებულის ჯანმრთელობას აყენებს ვნებას, მაგრამ რიგი ობიექტური გარემოებების გამო ვერ საზღვრავს იმ ზიანის მოცულობას, რომელიც შესაძლოა დადგეს მისი მოქმედებით. იგი ერთნაირად უშვებს დაზარალებულის ჯანმრთელობას მიადგეს ყველა სახის დაზიანება.

იმის გადასაწყვეტად სახეზე არის თუ არა სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების მცდელობა, დიდი მნიშვნელობა აქვს დადგინდეს განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი განზრახვით მოქმედებდა დამნაშავე. თუ დადგინდა, რომ მისი განზრახვა განუსაზღვრელი ხასიათისა იყო, მაშინ არ შეიძლება ლაპარაკი რაიმე გარკვეული სიმძიმის სხეულის დაზიანების მცდელობაზე, რადგან დამნაშავის განზრახვის შინაარსის თავისებურებების გამო მას შეერაცხება ფაქტიურად დამდგარი ის ზიანი, რომელსაც მოიცავდა მისი განზრახვა.

მაგალითად, პირი, რომელიც განუსაზღვრელი განზრახვით მოქმედებს და მეორეს ჯოხს ურტყამს თავის არეში, ითვალისწინებს, რომ ამით იგი ვნებას აყენებს დაზარალებულის ჯანმრთელობას. მაგრამ როგორც უკვე ზემოთ ითქვა განუსაზღვრელი განზრახვის დახასიათებისას, მას ყოველთვის არ შეუძლია განსაზღვროს თუ სახელდობრ რა სიმძიმის სხეულის დაზიანება დადგება მისი მოქმედებით. ის ერთნაირად ითვალისწინებს, როგორც მძიმე, ისე ნაკლებად მძიმე და მსუბუქი კატეგორიის დაზიანების დადგომას და სურს ან უშვებს რომელიმე ამ დაზიანების მიყენებას. ამიტომ ის პასუხს ავებს ფაქტიურად დამდგარი შედეგისათვის. თუ დამნაშავე მოქმედებს განუსაზღვრელი განზრახვით და მის მოქმედებას მოჰყვა დაზარალებულისათვის მსუბუქი კატეგორიის დაზიანება, არ არის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ მას განზრახული ჰქონდა ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დაზიანების მიყენება. დანაშაულის ჩადენის იარაღი და ხერხი, აგრეთვე დაზიანების ხარისხი და ხასიათი არ იძლევა საშუალებას ასეთი დასკვნებისათვის.

სულ სხვაა როცა დგინდება, რომ დამნაშავე მოქმედებდა განსაზღვრული განზრახვით დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებია კონკრეტული სიმძიმის ზიანი. ეს ის შემთხვევებია, როცა დამნაშავე ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედებით დადგება განსაზღვრული სიმძიმის სხეულის დაზიანება. მაგალითად, პირი რომელიც ფენძიმე ქალს მუცლის არეში ურტყამს ფეხს, ითვალისწინებს მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს სწორედ ასეთი შედეგი.

განსაზღვრული განზრახვის არსებობისას დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს არა ფაქტიურად დამდგარი შედეგისათვის (მაგალითად სხეულის მსუბუქი კატეგორიის დაზიანების მიყენებისათვის) როგორც ამას ადგილი აქვს განუსაზღვრელი განზრახვის დროს, არამედ განზრახვის შინაარსის და მიმართულების მიხედვით სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების მცდელობისათვის.

როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია პირდაპირი განზრახვის დაყოფა განსაზღვრულ და განუსაზღვრელ განზრახვად. მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის არ არის ადვილი დადგინდეს, თუ როდის არის განზრახვა განსაზღვრული და როდის განუსაზღვრელი.

ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, პირდაპირი განზრახვა განსაზღვრული ხასიათისაა მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავემ დაზარალებულს მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება სახის წარუხოცელი დამახინჯების გზით. სხვა მოსაზრებათა მიხედვით პირდაპირი განზრახვა განსაზღვრულია უფრო ხშირად ვიდრე სახის წარუხოცელი დამახინჯების მიყენების შემთხვევაში.

სახის წარუხოცელი დამახინჯების მიყენებისას დამნაშავეს განზრახვა მართლაც რომ ატარებს განსაზღვრულ ხასიათს, მას სურვილი აქვს დაზარალებულის ჯანმრთელობას მიაყენოს გარკვეული მოცულობის ზიანი. დანაშაულის ჩადენის ხერხი, დამნაშავეს მიერ გამოყენებული იარაღი და საშუალებები, ამ დროს ატარებენ ისეთ ხასიათს, რომ ძნელი არ არის გაკეთდეს დასკვნა, თუ რა სიმძიმის დაზიანების მიყენება ჰქონდა განზრახული დამნაშავეს. მაგრამ თუ კი ამა თუ იმ მიზეზის გამო პირმა ვერ შეძლო სახის წარუხოცელი დაზიანების მიყენება და ფაქტიურად დადგა იმაზე ნაკლები სიმძიმის დაზიანება ვიდრე ეს შედიოდა დამნაშავეს განზრახვაში, მაშინ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს არა ფაქტიურად დამდგარი შედეგისათვის, არამედ სახის წარუხოცელი დამახინჯების მეთოდებისათვის.

ისმის საკითხი: პრაქტიკულად როგორ უნდა დადგინდეს თუ რა სიმძიმის დაზიანების მიყენებას მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა? რა უნდა იყოს დამნაშავეს განზრახვის ნამდვილი შინაარსის და მიმართულების განსაზღვრელი კრიტერიუმი? როგორ განვსაზღვროთ დამნაშავეს სურდა დაზარალებულისათვის მიყენებია მსუბუქი, ნაკლებად მძიმე თუ მძიმე კატეგორიის დაზიანება? ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა გაძნელებულია ისეთ შემთხვევებში, როცა დამნაშავეს განზრახვა არ არის კონკრეტული და ამ განზრახვის ნამდვილი შინაარსი და მიმართულება შეუძლებელია დადგინდეს ისეთი სუბიექტური ფაქტორების ანალიზით, როგორიც არის მოტივი, მიზანი, დამნაშავეს და დაზარალებულთა ურთიერთობა, რაც წინ უსწრებდა დანაშაულს და სხვა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ძალიან ცოტას იძლევა ბრალდებულის დაკითხვა. იშვიათია შემთხვევები, როცა დამნაშავე გულწრფელად აღიარებს, რომ მართალია მისი მოქმედებით სხეულის მსუბუქი კატეგორიის დაზიანება დადგა, მაგრამ მას განზრახული ჰქონდა სხეულის

მძიმე კატეგორიის დაზიანების მიყენება. როგორც წესი, დამნაშავე პირები აცხადებენ, რომ ისინი მისიწრაფოდენ დაზარალებულისათვის მიეყენებიათ სწორედ ის ზიანი, რაც ფაქტიურად არის დამდგარი. ამით ჩვენ სრულიადაც არ უგულვებელყოფთ ბრალდებულის ჩვენების დამამტკიცებელ მნიშვნელობას ამ კატეგორიის საქმეებზე. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ, დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსის და მიმართულების განსაზღვრისას არ შეიძლება გამოვლიოდეთ მხოლოდ დამნაშავის ჩვენებიდან. მისი განზრახვის ნამდვილი შინაარსი უნდა დადგინდეს მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ფაქტორების გათვალისწინებით. მხოლოდ მათი ერთობლიობაში განხილვა მოგვცემს საშუალებას გვაკეთოთ დასკვნა, თუ რისკენ მიისწრაფოდა სინამდვილეში დამნაშავე და რა შედეგის დადგომა სურდა მას.

ამ მხრივ სერიოზული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის № 4 დადგენილებას — „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. პლენუმმა, იმ გარემოებათა შორის, რომელზეც დაყრდნობით უნდა გაკეთდეს დასკვნები ამ კატეგორიის საქმეებზე, დაასახელა დანაშაულის ჩადენის ხერხი. „მოცემულ კატეგორიის საქმეებზე დამნაშავის განზრახვის შინაარსის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს — ნათქვამია დადგენილებაში — სასამართლოები უნდა გამოდიოდნენ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოებების ერთობლიობიდან, გაითვალისწინონ კერძოდ, დამნაშავისა და დაზარალებულის ქცევა, რომელიც წინ უსწრებდა დანაშაულს, დამნაშავისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულება, დანაშაულის ჩადენის ხერხი და იარაღი, აგრეთვე თვით ქრილობის ხასიათი (მაგალითად, ადამიანის სასიცოცხლო ორგანოები) და ა. შ. ამ გარემოებების გარკვევას მათ ერთობლიობაში, შეუძლია დახმარება გაუწიოს სასამართლოს სწორად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, ითვალისწინებდა თუ არა დამნაშავე თავისი მოქმედების შედეგს“¹. ეს მოთხოვნები მთლიანად ეხება სხეულის დაზიანების საქმეებსაც.

შეიძლება მოვიტანოთ მთელი რიგი კონკრეტული საქმეები, რომელთა განხილვასთან დაკავშირებით ზემდგომი სასამართლო ორგანოები მიუთითებდნენ დანაშაულის ჩადენის ხერხზე, როგორც ისეთ გარემოებაზე, რომელიც საქმის სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში საშუალებას იძლევა დადგინდეს დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსი და მიმართულება.

არ შევჩერდებით დანაშაულის ჩადენის ხერხის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშნის დეტალურ დახასიათებაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხი პირის დანაშაულებრივი ქმედობის (უმოქმედობის) გარეგანი ფორმაა. დანაშაულის ჩადენის ხერხი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ, მიზანსწრაფული ქცევის აქტების, ხერხების, ოპერაციების სისტემას, რომელიც დეტერმინირებულია როგორც სუბიექტური ისე ობიექტური ხასიათის ფაქტორებით და რომლითაც დამნაშავე იწვევს ამა თუ იმ შედეგს.

რამდენადაც დანაშაულის ჩადენის ხერხის უკან დგას პირის სუბიექტური წრახვები, დამნაშავის მოქმედების ხერხი შეიძლება მიუთითებდეს; მისი განზრახვის ნამდვილ შინაარსზე. „...რა ნიშნების მიხედვით — წერდა ვ. ი. ლე-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის № 4 დადგენილება „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

ნინი, — უნდა ვიმსჯელოთ რეალური პიროვნებების რეალურ, ზრახვებსა და გრძობებზე“? ცხადია ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მოქმედება“¹.

ხაზს უსვამდა რა მოქმედების მნიშვნელობაზე პირის განზრახვის განსაზღვრის დროს, — კ. მარქსი აღნიშნავდა, სხვა რა ობიექტური საზომი უნდა მიუყენოთ ზრახვას, თუ არა მოქმედების შინაარსი და მისი ფორმა?².

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს ჩვენი პრაქტიკიდან, რომლებიც გვიჩვენებენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის ხერხს ამ კატეგორიის საქმეებზე დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსის და მიმართულების განსაზღვრისათვის. მაგალითები მოწმობენ, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხის ანალიზის იგნორირებას, მის შეუფასებლობას ხშირად მოსდევს შეცდომები დამნაშავის ქმედობის კვალიფიკაციის განსაზღვრისას.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს განაჩენით ტ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის I ნაწილით იმისათვის, რომ ჩხუბის დროს თავის ამხანაგ ს-ს მოაქამა ცხვირის ნაწილი. დაზარალებულმა მიიღო სახის წარუხოცელი სიმახინჯე და ამდენად დადგა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. შემთხვევამდე დაზარალებულსა და ბრალდებულს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ და მათი ჩხუბი ატარებდა შემთხვევით ხასიათს. გამოძიებაში და სასამართლო პროცესზე ტ-მ განმარტა, რომ მას არ ჰქონდა გამზრახვა მიეყენებია მისთვის სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება სახის წარუხოცელი დამახინჯების სახით. ტ-ს განზრახვის ნამდვილი შინაარსის და მიმართულების შესახებ დასკვნები გაკეთებული იქნა დანაშაულის ჩადენის ხერხის ანალიზის გზით, რაც ტ-ს განზრახვას საკმარისად განსაზღვრულს ხდიდა. ტ-ს მოქმედების ხერხი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მას სურდა სახის წარუხოცელი დამახინჯების გზით სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიეყენებინა ს-ათვის.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსის და მიმართულებას სწორად განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის და დაზარალებულის ქცევას და ურთიერთდამოკიდებულებას, რაც წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას. ამ ფაქტორების მნიშვნელობა ძნელია უგულვებელყოფილი იქნას, მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტორებით საკითხის გადაწყვეტა არ იქნებოდა სწორი. ეს ფაქტორები უნდა განხილულ იქნეს საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, კერძოდ დანაშაულის ჩადენის ხერხთან ერთობლიობაში.

დანაშაულის ჩადენის ხერხის სრულყოფილი ანალიზი, საგრძობლად აადვილებს დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსის განსაზღვრას. საილუსტრაციოდ მოვიყვანო ბ.-ს ბრალდების საქმეს, რომლის ქმედობაც ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურატურის მიერ დაკვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 17 და 105 მუხლებით, როგორც მკვლელობის მცდელობა.

ბ-მ ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე განიზრახა მოეკლა თავისი ყოფილი მეუღლე ს-ე. შემთხვევის დღეს იგი მივიდა სახლში და ჩხუბი დაუწყო, წააქცია იგი იატაკზე და თავის და სახის არეში მიაყენა რამდენიმე ჭრილობა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა დაზიანებანი შეაფასა, როგორც სხეულის

¹ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოცემა 4-ე 1948 წ. გვ. 487.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტომი I, გვ. 122. რუსულ ენაზე.

მსუბუქი კატეგორიის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით, რომლებმაც ს-ს სა-
ხეზე დაუტოვეს წარუხოცელი დაზიანების კვალი.

საბრალდებო დასკვნიდან ჩანდა, რომ ბ-ს მოქმედების მკვლელობის
მცდელობად შეფასებას საფუძვლად დაედო სუბიექტური და ობიექტური ხა-
სიათის სამი ვარემოება: მეუღლეთა შორის მტრული დამოკიდებულება, ის
ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშივე ცოტა ადრე ბ-ე ცოლს ემუქრებოდა მოკვლით,
აგრეთვე მიყენებული ჭრილობათა რაოდენობა.

მიუხედავად ამ ფაქტორების არსებობისა, სახალხო სასამართლო საქმის
გარჩევის პროცესში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბ-ს არ ჰქონია მეუღლის მოკ-
ვლის განზრახვა. ასეთი დასკვნა სასამართლომ გააკეთა დანაშაულის ჩადენის
ხერხის და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში განხილვით. როგორც წინას-
წარ, ისე სამსჯავრო გამოძიების პროცესში ბ-ე უარყოფდა მეუღლის მოკვლის
განზრახვას და აცხადებდა, რომ ისინი გაშორდნენ სასამართლო წესით და ამის
მიზეზი მეუღლის ღალატი იყო. მათ დარჩათ ბავშვი, რომლის სიყვარულმაც
მიაღებინა გადაწყვეტილება ეპატიებას ყველაფერი მეუღლისათვის და შერი-
გებოდა. ამ მიზნით დადიოდა ყოფილ მეუღლესთან ოჯახში. ყოფილი მეუღ-
ლე უარს აცხადებდა შერიგებაზე, რის გამოც შემოქმედების მიზნით მკვლელო-
ბის მუქარასაც კი მიმართა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ გადაწყვიტა იგი
დაემახინჯებინა და ამით გადაეხადა სამაგიერო. ამ მიზნით შემთხვევის დღეს მან
წააქცია ს-ე იატაკზე და სახის არეში მიაყენა სამი ჭრილობა. ბ-ს განმარტებით,
მას რომ მეუღლის მოკვლის განზრახვა ჰქონოდა, ეს თავისუფლად შეეძლო განე-
ხორციელებია, რადგან ს-ე წაქცეული ყავდა და შესაძლებლობა ჰქონდა სასიკ-
ვდილო ჭრილობები მიეყენებია. მას ასეთი რამ არ სურდა და ამიტომაც არ
იმოქმედა ამდაგვარად.

სახალხო სასამართლომ გაიზიარა ბ-ს განმარტება და დანაშაულის ჩადენის
ხერხის ანალიზის საფუძველზე განაჩენში შემდეგი ჩაწერა: პირი, რომელსაც
ამოქმედებდა მკვლელობის განზრახვა, იმ სიტუაციაში, რომელშიაც მოხვდა
ბ-ე, არ იმოქმედებდა იმ ხერხით, რა ხერხითაც დანაშაული ჩაიდინა ბ-მ. თუ
კი ბ-ს ექნებოდა ს-ს მოკვლის განზრახვა, იგი ამისათვის შეარჩევდა შესაბამის
ხერხს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დაზარალებულის სიკვდილი დამდგა-
რიყო. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ბ-ს ამოქმედებდა დაზარალებუ-
ლისათვის სხეულის წარუხოცელი დაზიანებების მიყენების სურვილი, და რომ
სახის არეში დანით სამჯერ დაჭრამ სამუდამოდ დაამახინჯა ს. აქედან გამომდი-
ნარე, შეიცვალა მოქმედების კვალიფიკაცია. მისი მოქმედება, სსკ 17—105
მუხლის ნაცვლად დაკვალიფიცირდა სსრ 110 მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, იმ პირთა მოქმედებას, რომლებმაც დაზარა-
ლებულს მიაყენეს ესა თუ ის ზიანი, ყოველთვის არ აკვალიფიცირებენ გან-
ზრახვის შინაარსის და მიმართულების მიხედვით, მაშინაც კი როცა დამნაშავის
განზრახვა განსაზღვრული და დაკონკრეტებულია.

ამ მხრივ დამახასიათებელია კ-ს ბრალდების საქმე, რომელსაც ქ. ქუთა-
ისის სახალხო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ 111 მუხლის I ნაწილით
1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

სახალხო სასამართლოს განაჩენით კ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში,
რომ ექვიანობის ნიადაგზე მოქ. მ-ს სახეზე შეასხა გოგირდმყავა. გოგირდმყავას
შესახის მომენტში დაზარალებულმა თავი შეაბრუნა და აიცილა სახის წარუხო-

ცელი დამახინჯება. დაზარალებულს გოგირდმჟავა მიესხა სხეულის სხვა ადგილებზე, რითაც მან მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

დანაშაულის ჩადენის ხერხი, რასაც მიმართა კ-მ, საშუალება რაც გამოიყენა დანაშაულის განსახორციელებლად, მოწმობდა რომ კ-ს განზრახვა ქონდა გოგირდმჟავას სახეზე შესხმით მ-სათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით მიეყენებია წარუხოცელი დამახინჯება, ე. ი. კ-ე მოქმედებდა მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვით. კ-ს განზრახვა საკმარისად იყო განსაზღვრული და დაკონკრეტებული. მიუხედავად ამისა კ-ს ქმედობა დაკვალიფიცირდა ფაქტიურად დამდგარი შედეგის მიხედვით, რაც არასწორად იქნა მიჩნეული. კ-ს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსრ სსკ 17—110 მუხლის I ნაწილით.

ანალოგიური შეცდომა იქნა დაშვებული კვალიფიკაციაში ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ლ-ს საქმეზე. ლ-ემ ეჭვი შეიტანა რა ქმრის ერთგულებაში, სამაგიეროს გადახდის მიზნით აღუღებული წყალი შეასხა ამ უკანასკნელს სახეში. დაზარალებულმა სახეზე ხელების აფარებით აიცილა წარუხოცელი დამახინჯება. აღუღებულმა წყალმა დაზარალებულს ხელების, აგრეთვე სხეულის სხვა არეში მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ლ-ს ქმედობა ნაცვლად საქართველოს სსრ სსკ 17—110 მუხლის I ნაწილისა დაკვალიფიცირდა 111 მუხლის I ნაწილით.

როგორც კ-ს მაგალითში, აქაც დანაშაულის განზრახვა განსაზღვრული იყო და ამდენად კვალიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა ფაქტიურად დამდგარი შედეგის მიხედვით, არამედ განზრახვის მიმართულების გათვალისწინებით.

დანაშაულის განზრახვა განსაზღვრულ ხასიათს ატარებს არა მარტო მაშინ, როცა დანაშაულები დანაშაულის ჩადენისათვის იყენებს ქიმიურ, თერმულ ან სხვა ამდგვარ საშუალებებს. დანაშაულის განზრახვა სხვა პირობებშიც შეიძლება იყოს განსაზღვრული, მაგრამ ამას ყოველთვის არ იღებენ მხედველობაში დანაშაულის ქმედობის კვალიფიკაციის დროს. მაგალითად, ქ. გორის სახალხო სასამართლომ თავისი განაჩენით სსკ 110 მუხლის I ნაწილით დანაშაულებს ცნო გ-ე, რომელმაც ჩხუბის დროს დაზარალებულ ლ-ს სახის არეში მიაყენა 7 ჭრილობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე მიყენებულმა ჭრილობებმა წარუხოცელი კვალი დასტოვეს და დაამახინჯეს დაზარალებული. ამ მიზნით ეს შეფასდა როგორც სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით თვით ჭრილობები, რომელიც მიიღო დაზარალებულმა, ჩაითვალა როგორც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება. საკასაციო საჩივრის განხილვის დროს სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიყენებულმა ჭრილობებმა დაზარალებულს არ დაუტოვეს ადვილად შესამჩნევი კვალი და ისინი არ იწვევენ სიმახინჯეს, ამიტომ გ-ს ქმედობა საქართველოს სსკ 110 მუხლის I ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა 111 მუხლის I ნაწილზე. გ-ს ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია საფუძვლიან ეჭვს იწვევს. გ-ს მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ხერხი, იარაღი, ჭრილობების მიყენების ადგილი, მათი რაოდენობა და ხასიათი, მოწმობდნენ იმას, რომ გ-ე მოქმედებდა წარუხოცელი დამახინჯების მიყენების განზრახვით. თუ კი ამის მიღწევა გ-მ ვერ შესძლო, ეს მოხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით. დაზარალებული აქტიურად იცავდა თავს და ყოველნაირად ცდილობდა შეემცირებია სახეში დანის დარტყმის ძალა. ჩვენი აზრით თუ მიყენებული ჭრილობები მართლაც არ იწვევს დაზარალებულის სახის წარუხოცელ სიმახინჯეს განზრახვის მიმარ-

თულებს მიხედვით გ-ს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ 17—110 მუხლის I ნაწილით და არა ფაქტიურად დამდგარი შედეგის მიხედვით.

სამწუხაროდ, ასეთი შეცდომები სხეულის დაზიანებათა საქმეების კვალიფიკაციაში ერთეულები არ არის, რაც საგრძნობლად ამცირებს ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას. ამ შეცდომებს ხელს უწყობს დანაშაულის ხერხის არასრულყოფილი ანალიზი. დანაშაულის ჩადენის ხერხის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარეა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი მტკიცების საგნის გარემოებათა ჩამოთვლის დროს მიუთითებს დანაშაულის ჩადენის ხერხზე, რომელიც უნდა დამტკიცდეს ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე. მართალია დანაშაულის ჩადენის ხერხი წარმოადგენს მტკიცების საგნის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს, მაგრამ დანაშაულის ჩადენის უკვე დამტკიცებული ხერხი თვით შეიძლება გადაიქცეს სხვა გარემოებათა დამამტკიცებელ ფაქტად. დანაშაულის ჩადენის ხერხის მეოხებით შეიძლება დამტკიცდეს დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტები, კერძოდ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე. ამიტომ სხეულის დაზიანების საქმეთა გამოძიება—განხილვის დროს არ შეიძლება უგულვებელყოთ დანაშაულის ჩადენის ხერხი, რომელსაც არა მარტო სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშანს, არამედ მას გარკვეული პროცესუალური მნიშვნელობაც აქვს, როგორც ერთ-ერთ დამამტკიცებელ ფაქტს. დანაშაულის ჩადენის ხერხის სრულყოფილი ანალიზი, სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობაში მისი განხილვა, შესაძლებლობას იძლევა ამ კატეგორიის საქმეებზე სწორად განვსაზღვროთ დამნაშავის განზრახვის ნამდვილი შინაარსი და მიმართულება და თავიდან ავიცილოთ შეცდომები კვალიფიკაციაში.

მოკავშირე რესპუბლიკების სსკ მუხლების შედეგებით ანალიზის მნიშვნელობა ცილისწამებისათვის სსსრ-ის უმაჯობარი ზომების დასადგენად

ა. ზოზარია,

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები აგებულია საბჭოთა სამართლისათვის დამახასიათებელ ერთიან პრინციპებზე, ასახავს მოცემულ სფეროში საერთო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და ამდენად ამ კოდექსებს ზევრი რამ აქვთ საერთო.

ამასთან ერთად კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილებში შეიმჩნევა ზოგიერთი განსხვავებანი ცალკეული მუხლების დისპოზიციასა და სანქციაში, კერძოდ, ცილისწამებისათვის დაწესებულ სასჯელის ზომებშიც. მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებმა ტოლფასოვანი სასჯელი არ დააწესეს ცილისწამების სავესებით ერთნაირი სახეებისათვის, რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება ცილისწამების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის შეფასებას და საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსები ადგენენ ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს: თავისუფლების აღკვეთას, გამასწორებელ სამუშაოებს, ჯარიმას, საზოგადოებრივ გაკიცხვას, მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას ან ითვალისწინებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებას.

ცილისწამების ძირითადი შემადგენლობის განსაზღვრა, რომელიც მოცემულია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების პირველ ნაწილებში თითქმის ერთნაირია, თუმცა ამ ნაწილების დისპოზიციებში არის ზოგიერთი განსხვავებანი.

უკრაინის სსრ სსკ 125 მუხლისა და თურქმენეთის სსრ სსკ 140-ე მუხლის პირველი ნაწილების დისპოზიციები, რომლებიც იძლევიან „რაიმე ფორმით“ ცილისწამების გავრცელების განსაზღვრას და ყაზახეთის სსრ სსკ 118-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც მიუთითებს ცილისწამებაზე „სიტყვიერად, წერილობით და ანონიმური განცხადების გზით“, არსებითად განსხვავდებიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებისაგან.

ლატვიის სსრ სსკ გარდა არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსში არ არის შეტანილი ცილისწამების ისეთი ნიშანი, როგორიცაა ცილისწამება საჯაროდ, რაც ითვლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

ესტონეთის სსრ სსკ 129-ე მუხლის მეორე ნაწილით ცილისწამების დამამძიმებელ ნიშნებად მიჩნეულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შეტანილი ცილისმწამებლური განცხადებები. ამასთან ცილისწამების შემადგენლობა გამოირიცხულია თუ ადგილი აქვს განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულში ან სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდებას. ასეთი ქმედობა კვალიფიცირდება როგორც ცრუ დასმენა.

უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსები არ შეიცავენ გაძლიერებულ პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის ადრე ნასამართლევი პირების მიმართ.

უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მეორე ნაწილის თავისებურება მდგომარეობს ცილისწამების განმარტებაში, დაკავშირებული ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებასთან, რისთვისაც კანონით დამნაშავე შეიძლება დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით რვა წლით ან მეტი ვადით, ან სიკვდილით.

მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით (მოლდავეთის, რსფსრ, სომხეთის, ტაჯიკეთის) განსაკუთრებით დამამძიმებელ ცილისწამებად ითვლება ბრალდება სახელმწიფო დანაშაულის ჩადენაში. აქ ლაბარაკია ყოველგვარ სახელმწიფოებრივ დანაშაულზე და არა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულზე, როგორც ამის რეგლამენტაციას ახდენენ უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების დისპოზიციები.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში (ყაზახეთის, ლიტვის) ცილისწამების დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია მხოლოდ ერთი ნიშანი — მძიმე დანაშაულის ბრალდებასთან დაკავშირებული ცილისწამება.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს უზბეკეთის სსრ სსკ 112-ე მუხლის „გ“ პუნქტი, მოლდავეთის სსრ სსკ 117-ე მუხლის მე-3 ნაწილი და თურქმენეთის სსრ სსკ 140-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლებშიც დამამძიმებელი ცილისწამების მკვალიფიცირებელ ნიშნად მიჩნეულია ამ დანაშაულის ჩადენა, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი.

კიდევ უფრო დიდი განსხვავებაა ცილისწამებისათვის დაწესებულ სანქციებში.

აღსანიშნავია, რომ მოლდავეთის, ყაზახეთის, ესტონეთის სს კოდექსებში არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას მარტივი ცილისწამებისათვის, მაშინ როდესაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების ანალოგიური ნაწილები აწესებენ სასჯელის ასეთ სახეს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით პირს მხოლოდ მაშინ ეფარდება, თუ მსგავსი ცილისწამებისათვის დამნაშავის მიმართ ამხანაგურმა სასამართლომ ადრე გამოიყენა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, ე. ი. ასეთი პირი სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება განმეორებითი ცილისწამებისას.

სხვაგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის 121-ე მუხლის მეორე ნაწილი სპეციალურად გამოყოფს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, რომელიც ჩადენილია კოლექტივში, კოლექტივის წევრის მიმართ და აწესებს გაძლიერებულ სასჯელს (თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე და ა. შ.) თუ ასეთი ქმედებისათვის დამნაშავის მიმართ ადრე გამოიყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

უზბეკეთის, უკრაინის, ესტონეთის სს კოდექსებში არ არის ნახსენები საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება იმ პირთა მიმართ,

რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ცილისწამება და ეს ცილისწამება არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. თუმცა მაგალითად, ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად ასეთი საქმე შეიძლება განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს. მაგრამ ყოველივე ეს კანონმდებელს წარმოდგენილი აქვს როგორც გამოჩაკლისი მოვლენა, რომელიც არ ექვემდებარება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით მოწესრიგებას.

ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მარტივი ცილისწამების საქმეების გადაცემა ამხანაგურ სასამართლოებზე განსახილველად დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ ამაზე არის დაზარალებულის თანხმობა.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით (გარდა უზბეკეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უკრაინის სსრ, ლიტვის სსრ და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსებისა) ცილისწამებისათვის დამამძიმებელი გარემოების გარეშე გათვალისწინებულია საზოგადოებრივი გაკიცხვა, რომელიც უფრო მორალური ზემოქმედების ხასიათს ატარებს და ჩვენი აზრით, სასჯელის ეფექტურ საშუალებად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ ამ პირების მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ცილისწამება, თუ ამ ცილისწამებას არ ახასიათებდა დიდი საზოგადოებრივი საშიშროება და არც დაზარალებულისათვის მოჰყოლია მავნე შედეგი.¹

მარტივი ცილისწამებისათვის საზოგადოებრივი გაკიცხვის ფართო გამოყენების პრაქტიკის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ეს ჰქმნის ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის ფაქტს და ამასთან განაჩენის სათანადო აღსრულებას საზოგადოებისათვის ცნობილს ხდის მომხდარი დანაშაულის ფაქტს.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი წინადადებას აყენებდა, რომ სისხლის სამართლის სასჯელის სისტემაში ფართო გამოყენება ჰქონოდა სასჯელის ისეთ სახეს, როგორიცაა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

უმეტესი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები (გარდა ყაზახეთის სსრ და უკრაინის სსრ) ცილისწამებისათვის ერთ-ერთ ძირითად სასჯელად აწესებენ ჯარიმას. კომუნისტური მორალისათვის მიუღებელია აღამიანის პატივის და ღირსების ფულადი ღირებულებით შეფასება. ამას გარდა დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანი არ შეიძლება კომპენსირებულ იქნეს ჯარიმით, თუნდაც მას ახდევინებდნენ სახელმწიფოს და არა დაზარალებულის სასარგებლოდ.

ცილისწამებისათვის კანონმდებლობით ჯარიმის დაწესება ჩვენი აზრით სადავო დებულებაა და საჭიროებს გადასინჯვას კომუნისტური მორალის პრინციპების შესაბამისად.

ამის საფუძვლიანობაში ჩვენ გვარწმუნებს ბ. ზ. ფურცხვანიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საცხებიტ დაუშვებელია (ცილისწამებისათვის — ა. ხ.) სასჯელის სახედ დატოვებულ იქნას ჯარიმა... ობიექტურად იქმნება ისეთი

¹ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც. ასე მაგალითად, ვერ დავეთანხმებით პროფ. გ. ბ. ვიტენბერგს, რომელიც თვლის, რომ სასჯელის ისეთი ზომები როგორცაა საზოგადოებრივი გაკიცხვა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება თითქოს ვეღარ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ეფექტურ საშუალებად. იხ. **Г. Б. Виттенберг**, Совершенствовать уголовно-правовые средства борьбы с преступностью, «Советское государство и право», 1972, № 7, стр. 92—93.

მდგომარეობა, როცა დამნაშავე ფულადი თანხის გადახდით... გამოისყიდის თავს სასჯელისაგან ჩადენილი დანაშაულისათვის.²

ჩვენი დასკვნების განსამტკიცებლად შეგვეძლო დაგვემოწმებინა ის ფაქტიც, რომ სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1947—1949 წ. წ. და 1952 წლის პროექტის რედაქციები არ შეიცავდნენ ჯარიმას, როგორც სასჯელის ზომას იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებმაც შელახეს პიროვნების ღირსება.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სანქციები ამ დანაშაულისათვის არ ითვალისწინებენ სასჯელის ისეთ სახეს, როგორცაა მიყენებული ზარალის ანაზღაურების დაკისრება. იგი გათვალისწინებულია მხოლოდ რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასჯელის ამ სახემ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ჰპოვა ასახვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში.

სასჯელის ამ ზომას კი თუ მას ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენებდნენ საქმის ვითარებისა და დამნაშავეს პიროვნების, დაზარალებულთან მისი დამოკიდებულების და ა. შ. გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, უფრო დადებით შედეგებს მოიტანდა ვიდრე ცილისწამებისათვის დამნაშავეს დაჯარიმება.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი კვალიფიცირებულ ცილისწამებისათვის სანქციად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას პრესაში ცილისწამების უარყოფის გამოქვეყნების უფლებით (უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის „ბ“ პუნქტი) ანდა სასჯელის ერთ-ერთი სახის გამოყენებას პრესაში ცილისწამების უარყოფით ან უამისოდ (ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ყოველივე ეს მოწმობს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს როცა ცილისწამებისათვის შეფარდებული სასჯელი აერთიანებს სისხლის სამართლის დასჯის ზომას და პრესაში დამნაშავეს სახის გამოძვლავნებას და ამ უკანასკნელით კი დაზარალებულს საშუალება ეძლევა მიადწიოს საჯარო რეაბილიტაციას.

მოკავშირე რესპუბლიკების სსკ ცილისწამებისათვის დადგენილი სანქციები განსხვავდებიან თავისუფლების აღკვეთის და გამასწორებელი სამუშაოების ვადებში, აგრეთვე ჯარიმის ზომებში. ამასთან შესაბამისი მუხლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრგან ცილისწამებისათვის დაწესებულია ერთნაირი სანქციები (ბელორუსიის, სომხეთის, ტაჯიკეთის და თურქმენეთის სისხლის სამართლის კოდექსებში).

ცილისწამება არ არის წვრილმანი დელიქტი. იგი უაღრესად ამორალური, საზოგადოებრივად საშიში დანაშაულებრივი ქმედობაა, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში ჩადენილია წინასწარ მოფიქრებულად და რაიმე ქვენა განზრახვით ე. ი. შეიცავს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ნიშნებს.

იმის გამო, რომ ცილისწამებას დიდი სოციალური ზიანი მოაქვს, საჭიროა ერთნაირად შეფასდეს ამ დანაშაულით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში. სასურველია გატარდეს საკანონმდებლო ღონისძიებები ცილისწამებისათვის

² **Б. З. Пурцхванидзе.** «Охрана чести и достоинства личности в Советском уголовном праве» (диссерт. работа на соискание степени доктора юридических наук), Тбилиси, 1959 г., стр. 346. მსგავსი აზრი ჯარიმის არაეფექტურობაზე აქვს გამოთქმული ი. ე. ლეისტაც. იხ. «Санкции в Советском праве», Госюриздат, 1962 г., стр. 151.

სასჯელის ზომებში არსებულ არსებით განსხვავებათა თავიდან ასაცილებლად და სათანადო ცვლილებების შესატანად, რათა ისინი უფრო რაციონალურად პასუხობდნენ ცილისწამებასთან გადამჭრელი და უკომპრომისო ბრძოლის თანამედროვე ამოცანებს ერთიანი და უფრო მიზანშეწონილი სანქციების საფუძველზე.

უნდა დავიმეწმით ი. მ. ბრაინინის აზრი, რომ „მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები აწესებენ განსხვავებულ სანქციებს ისეთ დანაშაულობათათვის, რომლებიც ერთნაირად საშიშია სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ეს არ არის სასურველი, ვინაიდან მსგავს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს ერთიანი სასამართლო პოლიტიკის პრინციპების საფუძველზე... იგივე ითქმის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“³.

ცილისწამებისათვის სასჯელში არსებულ განსხვავებათა თავიდან აცილება არ დაარღვევს არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებს, პირიქით ხელს შეუწყობს ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლას სასამართლო პოლიტიკის ერთიანი პრინციპების საფუძველზე.

საკანონმდებლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი მაგალითები, როდესაც რესპუბლიკური სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებით განსხვავებათა თავიდან აცილება საფუძველი ხდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოცდილების გაზიარება⁴.

მსგავსი ღონისძიებების განხორციელებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებისადმი დახმარების დროს, როგორც ი. ი. კარპეცი აღნიშნავს, „თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების შედარებითა ანალიზმა — მეთოდმა, რომელიც ბოლო დროს თითქმის დავიწყებას მიეცა“⁵.

სისხლის სამართლის მოქმედი ნორმების სრულყოფის საკითხი ვ. ი. კურლიანდსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე უნდა გადაიჭრას, რომ „მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომ განვითარებაში მთავარი იყოს... არსებით საკითხებში არსებული განსხვავებების ნულამდე დაყვანა და მხოლოდ იმ განსხვავებების დატოვება, რომლებიც ნამდვილად გამართლებულია ცალკეული რესპუბლიკების ეროვნული, გეოგრაფიული ან სხვა მნიშვნელოვანი თავისებურებებით“.

ჩვენ ვიზიარებთ მ. ი. კოვალიოვის შეხედულებას, რომ „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარება ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობათა და სანქციების მაქსიმალურად ზუსტი და ნათელი აღწერით“⁶, რაც არ გამორიცხავს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგიერთი მუხლის დისპოზიციებსა და განსაკუთრებით სანქციებში არსებული სხვაობის თავიდან აცილებას.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლე-

³ Я. М. Браинин. «Уголовный закон и его применение» изд. Юрид. лит-ра, М., 1967 г., стр. 86, 89.

⁴ В. А. Кирич. «Союзный и республиканский уголовный закон», Юрид. лит-ра, М., 1970 г., стр. 150.

⁵ «Советское государство и право», 1965 г., № 1, стр. 7.

⁶ В. И. Курляндский. Уголовная ответственность и меры общественного воздействия», М., 1965 г., стр. 58 — 59.

⁷ Уголовное право. Часть особенная. Изд. Юрид. лит-ра, М., 1969, стр. 5.

ბის შედარებითი ანალიზის დროს, რომლებიც შეეხებიან ცილისწამების დასჯა-
დობას ჩვენ ვეყრდნობით ბ. ს. ნიკიფოროვის პოზიციებს, რომლის აზრითაც
„სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზის ეფექტურობის ერთ-ერთი
ეტაპი ჩვენი სახელმწიფოს პირობებში არის მოკავშირე რესპუბლიკების სისხ-
ლის სამართლის კოდექსების განახლებულ დებულებათა შედარებითი შესწავ-
ლა. ამ შესწავლის მიზანი მარტო ის კი არ უნდა იყოს, რომ აჩვენოს, თუ როგორ
წყვეტს ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი
ამა თუ იმ საკითხს (თუმცა ამასაც აქვს მნიშვნელობა), არამედ ისიც, რომ დაად-
გინოს, რომელია უფრო სწორად, უფრო ეფექტურად გადაწყვეტილი...“⁸

ჩატარებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე მართებულად მიგვაჩი-
ნია დაისვას საკითხი ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლის ერთგვაროვანი და
შედარებით უფრო ეფექტური სისხლის სამართლის ზომების დასადგენად. ამას-
თან მხედველობაშია მისაღები, რომ მინიჭებული უფლებათა ფარგლებში მო-
კავშირე რესპუბლიკებმა ყველა კოდექსში ცილისწამებისათვის გათვალისწინე-
ბულ გამასწორებელ სამუშაოებთან ერთად შეიტანონ სასჯელის ისეთი სახეები,
როგორცაა თავისუფლების აღკვეთა, საზოგადოებრივი გაკიცხვა და მიყენებუ-
ლი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, რომლებიც ჩვენი აზრით,
ყველაზე უფრო ეფექტური სისხლისსამართლებრივი ხასიათის საშუალებებია.
ეს უნდა შეუფარდდეთ იმ პირებს, რომელთა ქმედობა დაკვალიფიცირდება კვა-
ლიფიციური ცილისწამებით.

ამას გარდა, საჭიროა განისაზღვროს მარტივი ცილისწამების გავრცელების
ფორმები. ერთდროულად, ზემოაღნიშნული მოსაზრებების გამო, მიზანშეწო-
ნილია გადასინჯოს ჯარიმის (როგორც ცილისწამებისათვის გამოტანილი სას-
ჯელის) ზომა.

ვანიჭებთ რა დიდ მნიშვნელობას ცილისწამების უფრო კვალიფიციური
ხერხით ჩამდენი პირის სახელის საჯაროდ გამოცხადებას, საჭირო იქნებოდა ამ
დამატების შეტანაც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსე-
ბის შესაბამისი მუხლების მეორე ნაწილის სანქციაში.

რამდენადაც, ცილისწამება ჩადენილი საჯაროდ ან ანონიმური წერილებითა
და განცხადებებით (რომლებიც, როგორც წესი, ერთ ეგზემპლარად არ ვრცელ-
დება), დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, ამდენად მიზანშეწო-
ნილი იქნება, თუ განვიხილავთ კვალიფიციური ცილისწამების შემადგენლობაში
ამ ნიშნების შეტანის საკითხს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცილისწამებას შე-
იძლება მოჰყვეს განსაკუთრებით მძიმე შედეგი, საჭიროა აგრეთვე ასეთი დამა-
ტება შევიტანოთ განსაკუთრებით მძიმე ცილისწამების სახელის განსაზღვრისას.
ამასთან მიზანშეწონილი იქნებოდა მიგვეთითებია ამ დანაშაულის შემადგენ-
ლობაში, რომ დამნაშავე პასუხს აგებს ყოველი სახელმწიფო დანაშაულის
ბრალდებაში ცილისწამებისათვის.

კერძოდ, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცილისწამების შემადგენლო-
ბების და სანქციების საკანონმდებლო ფორმულირება მაქსიმალურად ზუსს-
ტი და სრული იყოს, რისთვისაც წინადადება შემოგვაქვს მოკავშირე რესპუბლი-

⁸ Б. С. Никифоров. К вопросу об изучении эффективности уголовноправовых мер борьбы с преступностью, в кн. «Эффективность уголовноправовых мер борьбы с преступностью», Юрид. лит.-ра., М., 1968 г., стр. 12.

კების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ნაწილი I. ცილისწამება, ე. ი. სიტყვიერი, წერილობითი ან წარმოსახვითი ფორმით მონაცორის შეგნებულად გავრცელება, რომელიც სახელს უტყვის სხვა პირს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი სამუშაოებით ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით⁹.

ნაწილი II. ცილისწამება; ნაბეჭდი ან სხვა ხერხებით გავრცელებული ნაწარმოებებში ან ანონიმური წერილებითა და განცხადებების გზით, ასევე ჩადენილი საჯაროდ იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ნასამართლობა ცილისწამებისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი მუშაობით პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების გზით დამნაშავეის სახელის გამოქვეყნებით ან უამისოდ.

ნაწილი III. ცილისწამება, რომელსაც მოჰყვა მძიმე შედეგი, ან დაკავშირებულია ყოველ სახელმწიფო ან სხვა სახის მძიმე დანაშაულში ბრალდებულთან, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით...

როგორც ცნობილია, ცილისწამებას საზოგადოებრივად საშიში ხასიათი აქვს და მას ძირითადად ის პირები სჩადიან, რომლებიც ამ ქმედობით არღვევენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების მორალურ პრინციპებს და ნორმებს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა საზოგადოებაში უარყოფითი მოვლენების, კერძოდ ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლას და რამდენადაც პარტიის პროგრამა ითვალისწინებს სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც სჩადიან საზოგადოებისათვის საშიშ დანაშაულს, არღვევენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, ამდენად ცილისწამებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სრულყოფას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მითითებების შესასრულებლად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1971 წლის 7 ივლისის დადგენილებაში ყველა სასამართლოს მოუწოდა: „გააძლიერონ ყურადღება მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა საქმეების განხილვისადმი... ხელი შეუწყონ პიროვნების უფლებებისა და ღირსების პატივისცემის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდას, არ დაუშვას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის არათარი გამოვლინება“.

⁹ თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელი სამუშაოების ვადას ჩვენ არ ვუთითებთ, რადგანაც მათი დადგენა სპეციალური შესწავლის საგანია მეცნიერებისა და პრაქტიკულ მუშაობისათვის ფართო მონაწილეობით და ადგილობრივი სასამართლო და პენიტენციური პრაქტიკისათვის გათვალისწინებით.

სსაშინსვიკური ანალიზის ზოგიერთი ხარისხის გამოყენება კრიმინოლოგიაში

ი. ალანია

სასამართლო სტატისტიკის მონაცემები მნიშვნელოვანი მასალა იურიდიული მეცნიერებისათვის, რომელიც შემდგომ თეორიულად განაზოგადებს მას, გამოიყენებს დანაშაულისა და მისი მიზეზების გამოსაკვლევად. ყოველმა მეცნიერებამ, მათ შორის იურიდიულმა, უნდა „ფართოდ და სრულად გამოიყენოს უმდიდრესი სტატისტიკური მასალა. სტატისტიკა ხომ... ის ჰაერია, რომლის გარეშე მეცნიერება ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს მკვდარ სქოლასტიკას“¹.

სასამართლო სტატისტიკა, ისევე, როგორც სხვა საზოგადოებრივი მეცნიერება, სწავლობს საზოგადოებრივ მოვლენებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის იკვლევს ამ მოვლენების რაოდენობრივ მხარეს. რამდენადაც ყოველი მოვლენის რაოდენობრიობა მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაშია მის თვისობრიობასთან, ამდენად სასამართლო სტატისტიკის მონაცემები საშუალებას გვაძლევს საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივი შესწავლით ერთგვარად გამოვიკვლიოთ მათი თვისობრივი მხარეც.

სასამართლო სტატისტიკა არ არის მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია, ის დაკავშირებულია აგრეთვე მოვლენების ანალიზთან, რომლის მიზანია მსობრივი პროცესებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებათა დადგენა. მაგრამ სასამართლო სტატისტიკას არ შეუძლია პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც მოითხოვენ დანაშაულის მიზეზების ყოველმხრივ ახსნას. ეს კრიმინოლოგიის ამოცანაა. სწორედ ფაქტების კრიმინოლოგიური ანალიზი იძლევა საშუალებას დანაშაულის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკისათვის. კრიმინოლოგია თავის მხრივ სარგებლობს სასამართლო სტატისტიკის მონაცემებით.

სასამართლო სტატისტიკა, მოვლენებს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად, იყენებს მრავალ ხერხს, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანალიტიკურ დაჯგუფებას. ამ ხერხით შეიძლება გამოვლინდეს კავშირი თვისობრივ და რაოდენობრივ ნიშნებს შორის. ანალიტიკურ დაჯგუფებას შეიძლება ჰქონდეს ატრიბუტალური და ვარიაციული დაჯგუფების ფორმა².

პირველი გამოიყენება ორ ან რამდენიმე მოვლენას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად, მაგალითად, იმის გასარკვევად, თუ რა დამოკიდებულებაშია დამნაშავეთა ასაკი დანაშაულის რაოდენობასთან, ან მათი სქესი დანაშაულის ხასიათსა და განათლების დონესთან და სხვ..

¹ Юридическая наука в условиях коммунистического строительства, «Коммунист», 1963, № 16, стр. 33.

² О. Ланге, А. Банасинский, Теория статистики, М., 1971 г. Н. Н. Рязов, Общая теория статистики, М., 1971 г., С. С. Остроумов, Советская судебная статистика, М., 1970 г.



ატრიბუტალური დაჯგუფების მაგალითს წარმოადგენს 1970 წელს საქართველოს სსრ-ში სხეულის განზრახ დაზიანებისათვის სისხლის სამართლის პაშუსხისმგებაში გადაცემულ პირთა ასაკობრივ ჯგუფებში განაწილების თანაფარდობა, რომელიც ნაჩვენებია 1-ლი ცხრილით³.

| ცხრილი 1 | | |
|--------------------------|-----------------------|------|
| დამნაშავეთა ასაკი | დამნაშავეთა რაოდენობა | % |
| 28 წლამდე | 118 | 23,6 |
| 28—41 წლამდე | 179 | 35,8 |
| 41—54 წლამდე | 149 | 29,8 |
| 54—67 წლამდე | 46 | 9,2 |
| 67 წ. და ზევით | 8 | 1,6 |

ატრიბუტალური დაჯგუფების საშუალებით ვადაგენთ, რომ დანაშაულის რაოდენობა იზრდება დამნაშავეთა ასაკობრივ ზრდასთან ერთად ორმოცი წლის ასაკამდე, ხოლო შემდეგ კი მცირდება. ყველაზე მეტი დანაშაული ჩადენილი აქვთ 28—41 წწ.-მდე ასაკის პირებს.

საგულისხმოა, რომ ა. მ. იაკოვლევს ორმოცწლიანი ასაკი „რეციდივული კარიერის“ დასასრულადაც მიაჩნია⁴.

ატრიბუტალური დაჯგუფების მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე დანაშაულის რაოდენობისა და დამნაშავეის განათლების დონის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ცხრილი (იხ. ცხრილი 2).

| ცხრილი 2 | | |
|--------------------------|-----------------------|------|
| განათლება | დამნაშავეთა რაოდენობა | % |
| უმადლესი | 23 | 4,6 |
| საშუალო | 160 | 32 |
| არასრ. საშუალო | 284 | 56,8 |
| უცნობია | 33 | 6,6 |

ცხრილი გვიჩვენებს, რომ განათლების დონე დანაშაულის რაოდენობის უკუპროპორციულია (მხედველობაში გვაქვს დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110—114 მუხლებით.)

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოსაკვლევი მოვლენის ცვლილება განპი-

³ როგორც 1-ლი ასევე მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ცხრილებით ნაჩვენებია 1970 წლის განმავლობაში საქართველოში ჩადენილი დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ-ის 110-114 მუხლებით (მონაცემები აღებულია ჩვენს მიერ შესწავლილი სასამართლო საქმეებიდან).

⁴ А. М. Яковлев, Некоторые теоретические вопросы общей методики изучения личности преступника. «Проблемы искоренения преступности», «Юридическая литература», 1965 г., стр. 63.



რობებულა გარკვეული რაოდენობრივი სიდიდის ცვალებადობით, ე. ი. ნიშნით, რომელიც გააჩნია შესასწავლი მოვლენების მთელ ჯგუფს, მაგრამ სხვადასხვა ზომით, გამოიყენება ვარიაციული დაჯგუფება. სტატისტიკური დაკვირვების შედეგად მიღებული ერთგვაროვანი მასალა ჯგუფდება ცალკეულ რიგებად სიდიდის კლების ან მატების ნიშნით, რომელიც გავლენას ახდენს მოცემულ მოვლენაზე. ჯგუფის ცალკეული წევრებისათვის გამოითვლება შესაბამისი განმარტებული მაჩვენებელი. შემდეგ კი ხდება მათი დაპირისპირება და შეფასება.

სტატისტიკური ანალიზის დროს ფართოდ გამოიყენება ურთიერთდაკავშირებული ორი ან მეტი პარალელური ჯგუფის დაპირისპირება, რასაც პარალელურ მწკრივებს უწოდებენ. პარალელურ მწკრივებს ხშირად იყენებენ წლების მიხედვით დანაშაულის ცალკეულ სახეთა დინამიკის დასადგენად.

მოვლენათა კავშირის ხარისხის დასადგენად გამოიყენება აგრეთვე სტატისტიკური ანალიზის ხერხები: ფუნქციონალური ან კორელაციური კავშირები. ფუნქციონალური კავშირის დროს, როგორც მათემატიკიდან არის ცნობილი, ერთი სიდიდის შეცვლას მოსდევს მეორის მკაცრად განსაზღვრული ცვლილებები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენ თითქმის ვერ ვხვდებით ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რადგანაც ჩვენთვის საინტერესო მოვლენა ხშირად გამოწვეულია არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით. ასეთი არასრული კავშირის გამოსაკვლევად საჭიროა მოვლენათა დიდი რიცხვი და მათი ერთობლივი განხილვა, გამოსაკვლევი ნიშანი უნდა დავუპირისპიროთ ნიშნების რიგის საშუალო მნიშვნელობას, რითაც დავადგენთ კორელაციური კავშირის ხარისხს ანუ კოეფიციენტს.

„კორელაციის ძირითადი ამოცანა — მიუთითებს ს. ს. ოსტროუმოვი, — მდგომარეობს იმაში, რომ მათემატიკური ხერხების საფუძველზე დადგინდეს რაოდენობრივი გამოხატულება იმ დამოკიდებულებებისა, რომელიც არსებობს გამოსაკვლევ ნიშნებს შორის, ამასთან აბსტრაგირებულ იქნეს ყველა სხვა ნიშნების გამოვლენისაგან, რომლებიც ამახინჯებენ საქმენი კავშირების გამოვლენას. ასეთი კავშირი განისაზღვრება კორელაციაში სპეციალური განტოლების საფუძველზე, რომელიც გამოხატავს ტიპურ დამოკიდებულებას შესასწავლ ნიშნებს შორის“⁵.

განტოლება, რომელზედაც ს. ოსტროუმოვი მიუთითებს, სასამართლო სტატისტიკაში ცნობილია, როგორც კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა

$$R = \frac{\sum dx dy}{\sqrt{\sum d^2 x \sum d^2 y}}$$

დავუშვათ გვაქვს ორი რიგის ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ცალკეული საათების მიხედვით დანაშაულის რაოდენობას, სადაც I რიგი დანაშაულის ჩადენის საათს აღნიშნავს, ხოლო მეორე — დანაშაულის რაოდენობას. თუ პირველი რიგის მონაცემებს საათების მატების ზუსტი თანმიმდევრობით დავალაგებთ, გამოვლინდება ტენდენცია, რომლის მიხედვით 6 საათიდან 18 საათამდე დანაშაულის რაოდენობა საათების მატებასთან ერთად მატულობს, ხოლო 18 საათიდან კი კლებულობს (იხ. ცხრილი 3).

⁵ С. С. Остроумов, Советская судебная статистика, 1970 г., стр. 235.



| I | II | I | II | I | II |
|-------------------------|----------------------|---------------|----------------------|---------------|----------------------|
| დანაშაულის ჩაენის საათი | დანაშაულის რაოდენობა | ჩადენის საათი | დანაშაულის რაოდენობა | ჩადენის საათი | დანაშაულის რაოდენობა |
| 6 | — | 14 | 15 | 22 | 23 |
| 7 | 4 | 15 | 16 | 23 | 27 |
| 8 | 4 | 16 | 17 | 24 | 10 |
| 9 | 5 | 17 | 19 | 1 | 15 |
| 10 | 8 | 18 | 35 | 2 | 8 |
| 11 | 11 | 19 | 22 | 3 | 2 |
| 12 | 12 | 20 | 23 | 4 | 1 |
| 13 | 8 | 21 | 21 | 5 | 1 |

ზოგიერთ საათში ჩვენს მიერ აღნიშნული ტენდენციის საწინააღმდეგო შემთხვევასაც აქვს ადგილი. მაგალითად, დანაშაულის რაოდენობა 12 საათზე მეტია, ვიდრე 13 საათზე. ასეთ მდგომარეობას ორ დასკვნამდე მივყავართ: ან დროსთან დაკავშირებული ფაქტორები არ ახდენს გავლენას დანაშაულის რაოდენობაზე, ან სხვა ფაქტორების ზეგავლენა აბუნდოვნებს საკითხს. სწორედ ასეთ შემთხვევებში მივმართავთ კორელაციური კავშირის დადგენის ხერხს, რომელიც ნათელს ხდის დროის სხვადასხვა პერიოდში მოქმედი ფაქტორების გავლენას დანაშაულის რაოდენობაზე. კორელაციის კოეფიციენტის გამოანგარიშება საშუალებას იძლევა დადგინდეს საშუალოდ, თუ რა ზომით იცვლება შესასწავლი მოვლენა იმ ფაქტორის ცვლილებასთან ერთად, რომლის გავლენაც ჩვენ გვინტერესებს (პირდაპირ პროპორციულად თუ უკუპროპორციულად). მას შემდეგ, რაც დადგინდება მათემატიკური ფორმით კავშირი (ჩვენს შემთხვევაში — პირდაპირი კავშირი), ისმის საკითხი ამ კავშირის ხარისხის შესახებ. ყველა შესაძლებელი მნიშვნელობის კავშირი დანაშაულის ჩადენის საათსა და დანაშაულის რაოდენობას შორის თავსდება 0-დან 1-მდე სიდიდეში. თუ მივიღებთ 0-ს, ეს ნიშნავს, რომ მოვლენებს შორის არ არის კავშირი. 1-მდე არსებული სხვადასხვა სიდიდეები კი მიუთითებენ მოვლენებს შორის კავშირის ხარისხზე. რაც მეტია სიდიდე, მით მეტია კავშირი, თუ სიდიდემ მიაღწია 1, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმა მოვლენამ (ჩვენს შემთხვევაში — დროსთან დაკავშირებულმა ფაქტორებმა) აუცილებლობით გამოიწვია მეორე მოვლენა (დანაშაულის რაოდენობა), ე. ი. ადგილი აქვს ფუნქციონალურ კავშირს კორელაციის კოეფიციენტი შეიძლება გაუტოლდეს, როგორც +1, ასევე —1. ორივე შემთხვევაში ფუნქციონალურ კავშირთან გვაქვს საქმე, იმ განსხვავებით, რომ პირველი პირდაპირ კავშირზე, მეორე კი უკუკავშირზე მიუთითებს.

კორელაციის კოეფიციენტი დაფუძნებულია საშუალო სიდიდეებიდან ორი რიგის ციფრების (დანაშაულის რაოდენობისა და დანაშაულის ჩადენის საათის) გადახრათა დამოკიდებულებაზე და გამოიხატება R-ით. dx აღნიშნავს პირველი რიგის რიცხვების (დანაშაულის რაოდენობის) საშუალოდან გადახრას. dy აღნიშნავს მეორე რიგის რიცხვების (დანაშაულის ჩადენის საათი) საშუალოდან გადახრას. სტატისტიკაში მიღებულია, რომ საშუალო სიდიდე აღინიშნოს \bar{x} (იქს ხაზიანი) ან \bar{y} (იგრეკ ხაზიანი) Σ (სიგმა) ჯამს აღნიშნავს.

6 საათიდან 18 საათამდე დროისა და დანაშაულის რაოდენობის კორელაციის კოეფიციენტი $R = \frac{\Sigma dx dy}{\sqrt{\Sigma d^2 x \Sigma d^2 y}}$ შემდეგნაირად გამოითვლება (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

| ღანაშ. რაოდენ. | ღანაშაულის ჩაღების საათი | $(\bar{x}-x)=dx$ | $(\bar{y}-y)=dy$ | $(\bar{x}-x)^2=dx^2$ | $(\bar{y}-y)^2=dy^2$ | $(\bar{x}-x)(\bar{y}-y)=dx dy$ |
|----------------|--------------------------|------------------|------------------|----------------------|----------------------|--------------------------------|
| — | 6 | -11 | -6 | 121 | 36 | 66 |
| 4 | 7 | -7 | -5 | 49 | 25 | 35 |
| 4 | 8 | -7 | -4 | 49 | 16 | 28 |
| 5 | 9 | -6 | -3 | 36 | 9 | 18 |
| 8 | 10 | -3 | -2 | 9 | 4 | 6 |
| 11 | 11 | 0 | -1 | 0 | 1 | 0 |
| 12 | 12 | +1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| x | 13 | -3 | +1 | 9 | 1 | -3 |
| 15 | 14 | +4 | +2 | 16 | 4 | 8 |
| 16 | 15 | +5 | +3 | 25 | 9 | 15 |
| 17 | 16 | +6 | +4 | 36 | 16 | 24 |
| 19 | 17 | +8 | +5 | 64 | 25 | 40 |
| 35 | 18 | +24 | +6 | 576 | 36 | 144 |
| $\Sigma x=142$ | $\Sigma y=154$ | | | $\Sigma dx^2=991$ | $\Sigma dy^2=182$ | $\Sigma dx dy=387$ |

საშუალო $(\bar{x}) = \frac{142}{13} = \sim 11$

საშუალო $(\bar{y}) = \frac{156}{13} = 12$

$R = \frac{\Sigma dx dy}{\sqrt{\Sigma dx^2 \cdot \Sigma dy^2}} = \frac{387}{\sqrt{991 \cdot 182}} = \frac{387}{\sqrt{180362}} = \frac{387}{425} = 0,9. \quad R=0,9.$

როგორც ვხედავთ, კორელაციური კავშირი საკმაოდ მაღალია, ის 0,9 უდრის. ასევე შეიძლება გამოთვლილ იქნეს 18 საათიდან 6 სათამდე დროის ფაქტორის გავლენა დანაშაულის რაოდენობაზე (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

| ღანაშ. რაოდენ. | ღანაშაულის ჩაღების საათი | $(\bar{x}-x)=dx$ | $(\bar{y}-y)=dy$ | $(\bar{x}-x)^2=dx^2$ | $(\bar{y}-y)^2=dy^2$ | $(\bar{x}-x)(\bar{y}-y)=dx dy$ |
|----------------|--------------------------|------------------|------------------|----------------------|----------------------|--------------------------------|
| 35 | 18 | +21 | +5 | 441 | 25 | 105 |
| 22 | 19 | +8 | +6 | 64 | 36 | 48 |
| 23 | 20 | +9 | +7 | 81 | 49 | 63 |
| 21 | 21 | +7 | +8 | 49 | 64 | 56 |
| 23 | 22 | +9 | +9 | 81 | 81 | 81 |
| 27 | 23 | +13 | +10 | 169 | 100 | 130 |
| 10 | 24 | -4 | +11 | 16 | 121 | -44 |
| 15 | 1 | +1 | -12 | 1 | 144 | -12 |
| 8 | 2 | -6 | -11 | 36 | 121 | 66 |
| 2 | 3 | -12 | -10 | 144 | 100 | 120 |
| 1 | 4 | -13 | -9 | 169 | 81 | 117 |
| 1 | 5 | -13 | -8 | 169 | 64 | 104 |
| — | 6 | -14 | -7 | 196 | 49 | 98 |
| $\Sigma x=188$ | $\Sigma y=168$ | | | $\Sigma dx^2=1616$ | $\Sigma dy^2=1035$ | $\Sigma dx dy=932$ |



$$\text{საშუალო } (\bar{x}) = \frac{188}{13} = \sim 14$$

$$\text{საშუალო } (\bar{y}) = \frac{168}{13} = \sim 13$$

$$R = \frac{\sum dx dy}{\sqrt{\sum d^2 x^2} \sqrt{\sum d^2 y^2}} = \frac{932}{\sqrt{1616.1035}} = \frac{932}{\sqrt{1662560}} = \frac{932}{1289} = 0,72$$

R=0,72

ამ შემთხვევაში მოვლენებს შორის კორელაციური კავშირი — 0,72, წინა შემთხვევასთან შედარებით, დაბალია, რაც უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა ზეგავლენის გაძლიერებაზე მეტყველებს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სტატისტიკური ანალიზის ხერხები ატრიბუტალური და ვარიაციული დაჯგუფება, პარალელური მწკრივები, ფუნქციონალური და კორელაციური კავშირის დადგენა საშუალებას იძლევა მოვლენათა დიდი რიცხვიდან სხვადასხვა ნიშნებით გამოყოფით ცალკეული ჯგუფები, დავადგინოთ გარემო პირობები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს და ძეტ-ნაკლებად ხდება დანაშაულის საფუძველი. მაგალითად მე-6 ცხრილიდან ვგებულობთ, რომ 7 საათზე ნაკლები კრიმინოგენური, ე. ი. დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები მოქმედებენ, ვიდრე 18 საათზე, მე-7 ცხრილიდან ჩანს, რომ 29—40 წ. ასაკის მქონე პირები უფრო მეტ დანაშაულს ჩადიან, ვიდრე 19—28 წ. და 41—50 წ. ასაკის მქონე პირები და სხვ. იმის დადგენა, რომ 18 საათზე ყველაზე მეტია დანაშაული, ხოლო 6 საათზე დანაშაულის რაოდენობა ნულის ტოლია, თავის მხრივ ბადებს ახალ კითხვას: რა ფაქტორები მოქმედებენ 18 საათზე ისეთი, რომლებიც არ არსებობენ 6 საათზე? (მხედველობაში გვაქვს ეკონომიური, სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული, ორგანიზაციულ-სამეურნეო და სხვა ფაქტორები). სტატისტიკური ანალიზით დგინდება კრიმინოგენური ფაქტორების არსებობა, მათი სიმრავლე და ინტენსივობა, დანაშაულის სტრუქტურა და დინამიკა. აღნიშნული მონაცემები საფუძვლად უდევს ამ ფაქტორების შემდგომ შესწავლას და, ამდენად, აუცილებელი საფეხურია დანაშაულის მიზეზების დასადგენად.

წინასწარ გათვითმუხრის სვლითი პირის დაზარალებულად ხსოვის საკითხისათვის

ა. ქოსაყვილი

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი იცავს ყველა მოქალაქის, მათ შორის დაზარალებულის კანონიერ ინტერესებს. ეს ზორციელდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების აქტიური და მიზანდასახული მოღვაწეობით.

სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები თავიანთ თანამდებობრივ მოვალეობას ახორციელებენ საერთო წესით, დანტერესებული პირის ნებასურვილის დამოუკიდებლად. მომკვლვეი პირის, გამოძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს აქტიურობა გამომდინარეობს საჯაროობის პრინციპიდან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის დაცვისათვის.

კანონი დაზარალებულს აღჭურავს უფლებით, რათა მან შეძლოს დანაშაულოთ დარღვეული ინტერესების დაცვა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლო წარმოების საფუძვლებმა, რომელიც მიღებულია 1958 წელს და მის შესაბამისად შემუშავებულმა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებმა გააფართოვეს დაზარალებულის უფლებამოვალეობანი. მოქმედი კანონმდებლობით დაზარალებული წარმოადგენს პროცესის აქტიურ სუბიექტს.

თავისი პროცესუალური უფლებანი დაზარალებულს შეუძლია განახორციელოს წარმომადგენლის, ადვოკატის ან სხვა პირის მეშვეობით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლით დაზარალებულად ჩაითვლება პირი, რომელსაც დანაშაულმა მიაყენა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი.¹

ზიანი შეიძლება შედეგი იყოს პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისა. ამასთან, ფიზიკურ და ქონებრივ ზიანთან ერთად მოქალაქე ყოველთვის განიცდის მორალურ ტრავმასაც, რომელსაც ფიზიკურ და ქონებრივ ზიანთან შედარებით აქვს ზოგიერთი თავისებურებანი. მორალური ზიანი ყოველთვის მიმართულია პირის სუბიექტური, კანონით დაცული ინტერესების წინააღმდეგ, სახელს უტეხს მის ღირსებას და დაზარალებულს აყენებს ზნეობრივ ტანჯვას. ეს შეიძლება პირს მოუხდეს ფიზიკური და ქონებრივი ზიანის მიუყენებლადაც.

ისმება კითხვა — შეიძლება თუ არა მორალური ზიანი მიადგეს არა ცალკეულ პირს, არამედ კოლექტივს, ორგანიზაციას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ეს გარემოება გათვალისწინებული არ არის.

კანონით დაზარალებულად ცნობისათვის საჭირო არ არის პირის თანხმობა,

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლში ლაპარაკია არა ყოველგვარ ზიანზე, არამედ ზიანზე, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 109, 110, 117 მუხლები).

ვინაიდან ზიანის მიყენების ფაქტი განსაზღვრულია ობიექტური კრიტერიუმით. დაზარალებულის სურვილის მიუხედავად გამოძიებელს გამოაქვს დადგენილება მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ და განუმარტავს მას კანონით მინიჭებულ უფლებებს.

შეიძლება თუ არა პირი ცნობილ იქნას დაზარალებულად დაუმთავრებელი დანაშაულის დროს?

ამ კითხვას ვ. პ. ბოჟევი შემდეგნაირად პასუხობს: „პირი, რომლის ინტერესები ხელყოფილია, ცნობილ უნდა იქნას დაზარალებულად და დაიშვება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ დამდგარი ზიანის მიუხედავად“.²

ვ. პ. ბოჟევის დებულება სწორია, როდესაც პირი დაზარალებულად გვევლინება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფის დროს. ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ თუ მაგალითად მკვლელობაზე ხელყოფის დროს ფიზიკური ზიანი არ დამდგარა, მაშინ სახეზეა მორალური ზიანი და სწორედ ამიტომ მოცემული პირი უნდა ჩაითვალოს დაზარალებულად. პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ დამნაშავე ემზადება მიაყენოს პირს სხეულის მძიმე დაზიანება ან მოკლას თავისთვის არასასურველი ადამიანი; თავს ესხმის მას, უმიზნებს იარაღს, მაგრამ ამ დროს განაიარაღებენ, გაარიდებენ თავდასხმის ადგილს და სხვ. ასეთ პირობებში პირი, რომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქადდა დანაშაული, ცნობილ უნდა იქნას დაზარალებულად, ვინაიდან ამ შემთხვევაში აშკარაა მორალური ზიანი.

ისმება კითხვა: ვინ შეიძლება ვცნოთ დაზარალებულად დანაშაულით მიყენებული ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანისათვის.

ქარხანაში ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ოჯახის მარჩენალი დაზიანდა. ერთი შეხედვით, დაზარალებულია ის, ვინც დაზიანდა, აგრეთვე მისი ნათესავებიც რომლებიც დაზარალდნენ მორალურად და ქონებრივადაც (მარჩენალის შრომის უნარის დაკარგვის გამო) ნიშნავს თუ არა ეს, რომ გამოძიებელმა საქმეში უნდა ჩააბას დაზარალებულის ოჯახის ყველა წევრი? რასაკვირველია, არა. დაზარალებული, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, არის მხოლოდ ის, ვისაც უშუალოდ მიაყენეს ზიანი, ვინც პირადად დაზიანდა დანაშაულისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახის წევრებს ან ნათესავებს შეუძლიათ გამოვიდნენ პროცესზე სამოქალაქო მოსარჩელედ ან დაზარალებულის წარმომადგენლად.

ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედობისას დაზარალებული კონკრეტულად არ ჩანს. მაგ. საჯარო ადგილებში ყვირილით, ხმამაღალი ლანძღვით გამოხატული ხულიგნური მოქმედება. იქ დამსწრე ყველა პირის დაზარალებულად ცნობა არ იქნებოდა სწორი.

იმის გამო, რომ ზოგჯერ სასამართლოებს გამოაქვთ არასწორი გადაწყვეტილებები დაზარალებულად ცნობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წლის 31 ივლისს № 7 დადგენილებაში „სასამართლო პრაქტიკა მექრთამეობის საქმეების შესახებ“ აღნიშნა, რომ ქრთამის მიმცემი არ შეიძლება იცნონ დაზარალებულად და მას არა აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს ფასეულობის დაბრუნებაზე, რომელიც მან გაიღო ქრთამის სახით“.

² В. П. Божьев. К вопросу о понятии потерпевшего в советском уголовном процессе. Ученые записки ВИЮН, вып. 15, М., 1962 г., стр. 168.

³ «Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР», М., 1964, стр. 262

გამონაკლისის წარმოადგენს ის შემთხვევა როდესაც პირი წინასწარ განაცხადებს სათანადო ორგანოებში ქრთამის მიცემის შესახებ, ამ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია განაჩენის გამოტანისას თანხა ან ფასეულობა დაუბრუნოს უკან განმცხადებელს.

კანონმდებლობა თანმიმდევრულად განსაზღვრავს მოქალაქის დაზარალებულად აღიარებას, ასეთის დადგენა სწარმოებს მომკვლევე პირის, გამოძიებლის, პროკურორის დადგენილებით, მოსამართლის ან სასამართლოს განჩინებით.

მოქალაქე შეიძლება ცნობილ იქნას დაზარალებულად არა მარტო მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს, არამედ დაინტერესებული პირის განცხადებით სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზეც (საქართველოს სსრ სსსკ 228-ე მუხლი).

საქართველოს სსრ სსსკ 201-ე მუხლი მიუთითებს, რომ გამოძიებელი, რაკი მიიჩნევს, რომ გამოძიება დამთავრებულია, ხოლო შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთები საკმარისია საბრალდებო დასკვნის შესადგენად, მოვალეა გამოუცხადოს ეს დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს და ამავე დროს განუმარტოს მას, რომ უფლება აქვს გაეცნონ საქმის მასალებს კანონით დადგენილ ფარგლებში.

საქართველოს სსრ სსსკ 52-ე მუხლით გამოძიებელი ვალდებულია განუმარტოს დაზარალებულს მისი უფლებები და უზრუნველყოს ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ უმრავლესობით დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასწარ გამოძიებაში, წარმომადგენელს მტკიცებები, გაეცნონ საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტში, მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს სხდომაზე, მოითხოვონ აცილება, წარადგინონ საჩივარი მოკვლევე პირის, გამოძიებლის, ექსპერტის, პროკურორისა და მოსამართლის უკანონო მოქმედებაზე.

პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა რომ ხშირად გამოძიებელი ნებას რთავს დაზარალებულს და მის წარმომადგენელს ან ადვოკატს ერთდროულად გაეცნონ საქმეს. ეს მიზანშეწონილიც არის, რადგან საქმის მასალების გაცნობით მათ საშუალება ეძლევათ გადაწყვიტონ წამოჭრილი საკითხები, სწრაფად შეათანხმონ საჭირო შუამდგომლობა და სხვ.

„საფუძვლების“ 21-ე და 23-ე მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სსსკ ითვალისწინებს, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ ბრალდებულსა და მის დამცველს გააცნონ საქმის მასალები. „საფუძვლების“ 24-ე მუხლის თანახმად დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ „გაეცნონ საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან, მაგრამ არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსი არ მიუთითებს, რომ დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის ყველა მასალებს. ზოგიერთ კოდექსში ლაპარაკია, რომ „დაზარალებულს უფ-

ლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, როდესაც მას მიაყენეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზარალი“ (უზბეკეთის სსრ სსსკ 178-ე მუხლი).

პროცესუალურ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლისათვის საქმის მასალების მოცულობის გაცნობის შესახებ. ვ. მ. სავიციკი და ი. ი. პოტერუჟა თვლიან, რომ დაზარალებული უნდა გაეცნოს საქმის მხოლოდ იმ მასალას, სადაც ლაპარაკია მის მიმართ მიყენებულ ზიანზე. საქმის დანარჩენი მასალების გაცნობა დაზარალებულისათვის არ არის აუცილებელი, ვინაიდან ეს მასალები შეეხება დანაშაულს, რომლითაც არ ილაზება ამ დაზარალებულის კანონიერი ინტერესები და უფლებები⁴.

მ. ი. რავინსკი მიუთითებს, რომ „დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის ყველა მასალას“⁵.

აზრი იმის შესახებ, რომ დაზარალებულს და მის წარმომადგენელს არა აქვს უფლება გაეცნოს საქმის არა ყველა, არამედ მხოლოდ იმ მასალას, რასაც გამომძიებელი მიიჩნევს შესაძლებლად, არ შეიძლება სწორად ჩავთვალოთ.

დებულება, რომ გამომძიებელი აცნობს დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს იმ დანაშაულის საქმის მასალებს, რომლითაც მას მიაყენეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, წარმოადგენს სრულიად განუსაზღვრელ კრიტერიუმს. ასეთ პირობებში გამომძიებელს ექნებოდა განუსაზღვრელი შესაძლებლობა დაზარალებულის ინტერესების შეზღუდვისათვის. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რათა დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს მინიჭებოდა კანონიერი უფლებები, გაცნობოდა საქმის ყველა მასალას გამომძიებლის დროს. დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის მიერ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც გამომძიებელი აღნიშნავს ვისი შუამდგომლობით ან განცხადებით გაეცნენ საქმის რომელ მასალას. წერილობითი შუამდგომლობა დაერთვის საქმეს. გამომძიებელს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება, შუამდგომლობაზე სრული ან ნაწილობრივი დაკმაყოფილების უარის თქმის შესახებ, დადგენილება გამოეცხადება პირს, ვინც აღძრა შუამდგომლობა სსსკ 201-ე მუხლით.


ანალოგიური მდგომარეობაა დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის მიმართ. პროცესის ამ მონაწილეებს „უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალას წინასწარი გამომძიებლის დამთავრების მომენტიდან“, მაგრამ საქართველოს სსრ სსსკ 201-ე მუხლითა და მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლებით ეს შესაძლებლობა მათ წარმოეშობათ მხოლოდ წინასწარი გამომძიებლის დამთავრებისა და საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ⁶.

საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილების გასაჩივრება ერთგვარად გაძნელებულია, ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმრავლესობა არ ითვალისწინებს ასეთი დადგენილების

⁴ В. М. Савицкий, И. И. Потеружа. Потерпевший в советском уголовном процессе. Госюриздат, 1963, стр. 54.

⁵ Научно-практический комментарий к УПК РСФСР, Госюриздат, М., 1965, стр. 291.


⁶ მხოლოდ ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიუთითებს, რომ სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, დაზარალებულის ან მათი წარმომადგენლის თხოვნით გამომძიებელი აცნობს მასალას შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეზე (189-ე მუხ.).



ასლის გადაცემას ბრალდებულისა და დაზარალებულისათვის. საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლს გამოძიებელი უგზავნის დაზარალებულს, აგრეთვე იმ პირებსა და დაწესებულებებს, რომელთა განცხადებითაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 209-ე მუხლი).

ამგვარად, აუცილებელია კანონი შეივსოს მითითებით, რათა დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს და სამოქალაქო მოპასუხეს ნება დაერთოს საქმის წარმოებით შეწყვეტის მასალებს გაეცნონ წინასწარი გამოძიების დროს.

დაზარალებული ბრალს დებს⁷ დამნაშავეს, დაინტერესებულია მის მხილებასა და დასჯაში, რადგან მან განიცადა მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანი. სწორედ ამაში გამოიხატება დაზარალებულის პროცესუალური ინტერესი სისხლის სამართლის წარმოებაში, მათ შორის წინასწარი გამოძიების სტადიაში.



⁷ «Действия потерпевшего в уголовном процессе, выражающиеся в изобличении лиц, виновных в совершении преступления, есть по сути дела осуществление обвинения или уголовного преследования независимо от того, будет именоваться он обвинителем (как например, в делах частного обвинения) или нет... По всем уголовным делам потерпевший, если только он принимает участие в деле, выступает, как правило, в качестве обвинителя, он преследует, обвиняет лицо, причинившее ему вред». **В. М. Савицкий, И. И. Потеружа.** Цит. соч., стр. 23 — 24. ამ მტკიცებულების სისწორეს ვერ არყევს ის, რომ ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულები მოქმედებენ ბრალდებულთა სასარგებლოდ.

კერძო განჩინების გაგებისათვის

ნიკოლოზ კვცილიაძე

მართლმსაჯულების განხორციელებაში კერძო განჩინების უაღრესად დიდი მნიშვნელობა ყველასათვის ნათელია.

თუ რატომ არის აუცილებელი კერძო განჩინების გამოტანა, ამაზე გარკვევით არის ლაპარაკი სსრკ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის № 2 დადგენილებაში:

„სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომებისა და მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობათა დარღვევების გამოსწორებამ უნდა გამოიწვიოს იმ ღონისძიებათა დროული განხორციელება, რომლებიც ასეთი შეცდომებისა და დარღვევების განმეორებას აარიდებენ როგორც განაჩენის დამდგენ სასამართლოს, ისე სხვა სასამართლოებს.

რჩევა მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებს, სამხარეო და საოლქო სასამართლოებს, გამოიტანონ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებანი სასამართლოებისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომების გამო და საჭირო შემთხვევებში ეს განჩინებანი აცნობონ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ყველა სასამართლოს და შესაბამის პროკურატურას“.¹

როგორც ვხედავთ, პლენუმი ყურადღებას ამახვილებს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის განხორციელების დროს იმ შეცდომების გამოსწორებაზე, რაც მოსდით სასამართლოებსა და საგამოძიებო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

ერთ-ერთ ასეთ შეცდომად პლენუმს მიაჩნია დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და გარემოებების გამოუვლინებლობა, რის აღმოსაფხვრელადაც და პროფილაქტიური ღონისძიებების განსახორციელებლად, საჭიროდ იქნა მიჩნეული კერძო განჩინების გამოტანა ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით თუ უმოქმედობით ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლით სასამართლოებს შეუძლიათ კერძო განჩინებით დაწესებულების, საწარმოს ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის ყურადღება მიაქციონ იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას, გაამახვილონ ყურადღება იმ დარღვევებზე, რაც დაშვებული იყო მოკვლევის ან წინასწარ გამოძიების დროს, იმსჯელონ აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა არასწორ ქცევაზე საწარმოში, ყოფა-ცხოვრებაში ან მათ მიერ დაშვებულ სხვა დარღვევებზე.

კერძო განჩინების გამოტანისას საკასაციო ინსტანცია იგივე უფლებებით სარგებლობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საკასაციო ინსტანცია არ ერევა

¹ „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“ 1963 წ. № 3.

ცალკეული მოქალაქის მიერ საწარმოში თუ ყოფა-ცხოვრებაში დაშვებულ საზოგადოებრივ მოვალეობათა დარღვევებსა და ქცევებში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 367-ე მუხ.);

პირველი ინსტანციების სასამართლოებს უფლება აქვთ კერძო განჩინებით ყურადღება მიაქციონ საწარმოში თუ ყოფა-ცხოვრებაში ცალკეულ მოქალაქეთა ქცევებს, მხოლოდ მაშინ, როცა დადგენილია სისხლის სამართლის დანაშაული, და ამ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულია ცალკეულ მოქალაქეთა ისეთი ქცევები, რაც ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას. სხვანაირად კერძო განჩინების გამოტანას აზრი არა აქვს, რადგან თუ დანაშაული არ არის, მაშინ არც დანაშაულის ხელშემწყობი პირობები არსებობენ, რომლის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული კერძო განჩინება.

ამიტომ დანაშაულისა და დამნაშავის არარსებობის დროს, ცალკე მოქალაქის ქცევა არ შეიძლება გახდეს სასამართლოს მსჯელობისა და კერძო განჩინების საგანი.

იგივე ითქმის, როდესაც ირჩევა ისეთი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც სასამართლოს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. ბრალდებულს თუ გამართლდა, ეს ნიშნავს, რომ ადგილი არა ჰქონია მის მხრივ დანაშაულის ჩადენას, მაშასადამე ადგილი არა ჰქონია არც ვინმეს მიერ დანაშაულისათვის ხელის შეწყობას და ამიტომ კერძო განჩინებაც არ უნდა იქნას გამოტანილი.

კერძო განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნას სხვა ისეთი პირის მიმართ, რომლებმაც თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე საქმეში მონაწილე იმ პირთა მიმართ (გამომძიებელი, ექსპერტი და სხვ.), რომლებმაც თავისი მცდარი და მიკერძოებითი დასკვნებით საფუძველი შეუქმნეს უდანაშაულო პირის უკანონოდ პასუხისგებაში მიცემას, დასჯას და სხვ.

იხადება კითხვა: თუ ბრალდებული გამართლდა, შეიძლება თუ არა მის მიმართ კერძო განჩინების გამოტანა? არ შეიძლება და აი რატომ.

კერძო განჩინების აზრი თუ იმაში მდგომარეობს, რომ ებრძოლოს დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებს და ამასთან იგი პრევენციის (გაფრთხილების) ხასიათისაა, მაშინ რა საფუძველი აქვს სასამართლოს კერძო განჩინება გამოუტანოს იმ პირს, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია?

1928 წლის რედაქციით მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსში (მე-20 მუხლის „ნ“ პუნქტი), „გაფრთხილება“ სასჯელის ერთ-ერთ ძირითად ზომად ითვლებოდა, რომლის გამოტანა შეეძლო სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. სასამართლოს შეეძლო აგრეთვე ასეთი სასჯელი შეეფარდებინა გამართლებული პირისათვის, თუ ჩათვლიდა, რომ მისი ყოფა-ქცევა საეჭვოა და შესაძლოა მომავალში რაიმე დანაშაული ჩაიდინოს.

ასეთ შეუსაბამობას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს. ბრალდებულს იგი უდანაშაულოა და გამართლდა, მისთვის არავითარი სახის სასჯელის დადება არ შეიძლება.

ამიტომ იყო, რომ როდესაც მზადდებოდა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსების ახალი პროექტები, ყურნალ „სოციალისტიკური ჩეხაკია ზაკონოსტში“ გამოითქვა აზრი: „სისხლის სამართლის“ კოდექსში გაფრთხილების, როგორც სასჯელის ზომის, შენარჩუნების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ გაფრთხილებას სასამართლო განსაზღვრავს მხოლოდ გამამართ-

ლებელი განაჩენის გამოტანისას. თუ სასამართლო გაითვალისწინებს, რომ გამართლებული თავისი ქცევით იძლევა მომავალში დანაშაულის ჩადენის საშიშროების საფუძველს, გაფრთხილება წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ სახეს. რას ემყარება სასამართლოს უფლება შეუფარდოს გამართლებულს რაიმე სასჯელი, თუნდაც ისეთი უმნიშვნელო, როგორცაა გაფრთხილება? სასჯელს ხომ სასამართლო უფარდებს რსფსრ სსკ მე-6 მუხლის შესაბამისად მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩემდენთ და მხოლოდ მათ.²

დღეს, სასამართლომ რომ დაუშვას ასეთი შეცდომა, ე. ი. გამართლოს ბრალდებული და მას კერძო განჩინება გამოუტანოს, საკასაციო ინსტანცია, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 45-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია რევიზიის წესით შეამოწმოს ასეთი განჩინება და გააუქმოს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საკასაციო ინსტანცია თვითონ უშვებს შეცდომებს და გამართლებელ განაჩენის ძალაში დატოვებასთან ერთად, გამართლებული პირის მიმართ გამოაქვს კერძო განჩინება.

1971 წლის 16 დეკემბერს, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში ირჩეოდა ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის ჯ. აფციაურის სისხლის სამართლის საქმე. სასამართლომ იგი გაამართლა. დაზარალებულმა განაჩენი გაასაჩივრა.

საკასაციო ინსტანციამ 1972 წლის 9 თებერვალს განიხილა საკასაციო საჩივარი, გამამართლებელი განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში, ამავე დროს გამართლებულ ჯ. აფციაურს გამოუტანა კერძო განჩინება, სადაც აღნიშნა, რომ გამართლებული უზნეო და ამორალური პირია. კერძო განჩინება გაეგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, სადაც გამართლებული მსახურობდა.

ამრიგად, საკასაციო ინსტანციამ არა მარტო აღადგინა და გაიმეორა უკუგდებული კანონი, გადააჭარბა კიდევ იმით, რომ ფაქტიურად „გაფრთხილებაზე“ მეტი სასჯელი დაადო, რადგან სასტიკად გაიციხა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე და 33-ე მუხლებით, რაც ერთ-ერთ ძირითად სასჯელად ითვლება.

ამრიგად, უდანაშაულო ახალგაზრდა მეცნიერმუშაკი ერთხელ კიდევ ზედმეტად დაისჯა: წინასწარ ხანგრძლივ პატიმრობას დამატა გალანძღვა, ავტორიტეტის შელახვა და იმ უმაღლესი სასწავლებლის დაკარგვა, სადაც მისი შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობდა. ამასთან, საკასაციო ინსტანციამ დაუშვა შემდეგი შეცდომა: დამტკიცებულად ჩათვალა ისეთი გარემოებები, რაც განაჩენით დადგენილი არ არის.

ამით საკასაციო ინსტანციამ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით „სასამართლოს, რომელიც იხილავს საქმეს საკასაციო წესით, უფლება არა აქვს დაადგინოს ან დამტკიცებულად ჩათვალოს განაჩენით დაუდგენელი ან უარყოფილი ფაქტები“ სახელი გაუტეხა უცვლელად დატოვებულ განაჩენს, ექვემდებარება დააყენა მისი კანონიერება და საფუძვლიანობა. ეს უხეში დარღვევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 14 ოქტომბრის № 12 დადგენილებითა.

² Жур. «Социалистическая законность», 1947, № 1, стр. 21, Москва, «К проекту уголовного кодекса СССР».

სადაც გარკვევით არის ნათქვამია, რომ „ზემდგომ სასამართლოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 51-ე მუხლის ძალით, უფლება არა აქვთ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებით დაადგინონ ან დამტკიცებულად მიიჩნიონ ფაქტები, რომლებიც უარყოფილი იყო განაჩენით, ან გამოიტანონ ისეთი კერძო (განსაკუთრებული) განჩინება, რომელიც არსებითად სახელს უტეხს უცვლელად დატოვებული განაჩენის კანონიერებას ან საფუძვლიანობას“.³

ეს კერძო განჩინება თავისი მწვავე შედეგებით ფაქტიურად მდგომარეობის დამძიმებასაც ნიშნავს, რის უფლებაც არა აქვს საკასაციო ინსტანციას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად საკასაციო ინსტანციას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მხოლოდ შემსუბუქება შეუძლია და არა დამძიმება, თუ რა თქმა უნდა პირველი განაჩენი არ არის გაუქმებული ლმობიერი სასჯელის გამო.

გამართლებული პიროვნების მიმართ არ შეიძლება კერძო განჩინების გამოტანა, მით უმეტეს ისეთისა, რომელიც ამცირებს მის ღირსებას, რადგან, ადამიანის ღირსებების დამცირებას არ ითვალისწინებს არამც თუ კერძო განჩინება, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებიც კი. პირიქით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 3 ნოემბრის ბრძანებულების 3-ე მუხლი, განსაზღვრავს რა სასამართლოს ამოცანებს, მიიჩნევს, რომ სასამართლოები მოვალენი არიან დაიცვან მოქალაქეთა უფლებები, პატივი და ღირსება.

როგორც ჩანს, აღნიშნული კერძო განჩინების ავტორებს დაავიწყდათ, რომ „ისინი საქმის განხილვის დროს წყვეტენ ადამიანების ბედს და მათ ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებისადმი, რომ კანონის თუნდაც უმცირესი დარღვევის შემთხვევაც კი არყევს სასამართლო ორგანოების ავტორიტეტს, გამოტანილი განჩინებისა და გადაწყვეტილებების აღმზრდელობითს და გამაფრთხილებელ მნიშვნელობას“.⁴

³ (ხაზი ჩემია. ნ. კ.)

⁴ „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის № 7 დადგენილება „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და ამ საკითხში სასამართლოების საქმიანობის ზემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1972, № 6.



საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის (ზოგადი ნაწილი) ძირითადი თავისებურებანი

ლ. სურგულაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და
სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

შესრულდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი სოციალისტური სისხლის სამართლის კოდექსის მიღების 50-ე წლისთავი. 1922 წლის 8 ოქტომბერს სრულიად საქართველოს ცაკმა დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსი,¹ რომელიც ძალაში 1922 წლის 5 დეკემბრიდან შევიდა.

სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით დასრულდა საბჭოთა სოციალისტური სისხლის სამართლის განვითარების ეტაპი საქართველოში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს საფუძვლად დაედო რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ეს არცაა გასაკვირი; საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა ერთიანი კანონმდებლობის განხორციელებას მოითხოვდა. ვ. ი. ლენინი თავის შრომაში — „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ — ხაზგასმით მიუთითებდა: „კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისთვისაც კი“.²

ვ. ი. ლენინის მიერ დასახული ამ ამოცანიდან ქართველმა იურისტებმა სავსებით სწორი, კონკრეტული დასკვნა გამოიტანეს. მათ რეს-

პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს საფუძვლად დაუდეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ყველა სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავდა, ამავე დროს, კოდექსში გაითვალისწინეს ადგილობრივი პირობები და ნაწილობრივ სისხლის სამართლის პოლიტიკის სხვა მოსაზრებებით ნაკარნახევო განმასხვავებელი მომენტები.³

ამ სახით დამუშავებული კოდექსი საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა სრულიად საქართველოს ცაკის მეორე სესიას, რომელმაც განხილვის შემდეგ მიიღო იგი.

საქართველოს სსრ პირველი სისხლის სამართლის კოდექსი, ისევე როგორც რსფსრ-ის შესაბამისი კოდექსი, ვ. ლენინის სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე იყო აგებული. საქართველოს სინამდვილეში, პირველად სწორედ ამ კოდექსში იქნა შემუშავებული ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის ნორმების მწყობრი სისტემა.⁴

სისტემის თვალსაზრისით კოდექსი შემდეგნაირად იყო აგებული: ზოგადი ნაწილი ოთხი თავისაგან შედგებოდა, განსაკუთრებული ნაწილი — რვა თავისაგან. თავის მხრივ ზოგიერთი

¹ იხ., სრულიად საქართველოს ცაკის მეორე სესიის სტენოგრაფიული ანგარიში, ტფილისი, 1922 წელი.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 428.

³ იხ. **Вардзиели.** Наша очередная задач. „საბჭოთა სამართლის მუწყებელი“, 1923, № 2, გვ. 1;

სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენების პრაქტიკამ წარმოშვა საჭიროება სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი სხვა, რუსეთისაგან განსხვავებული დებულების შეტანისა. თუ შევადარებთ 1922 წლის კოდექსს, 1924 წლის რედაქციით გამოცემულ კოდექსს, დავინახავთ, რომ ეს თავისებურებანი უკანასკნელ რედაქციაში ვაცილებით მეტი იყო. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

⁴ როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს საფუძვლად რსფსრ-ის 1922 წლის კოდექსი დაედო. რსფსრ-ის 1922 წლის კოდექსი დაწვრილებითაა შესწავლილი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. გამეორების თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გვაქვს მივთითებთ მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებებზე. გადმოცემისა და აღქმის მოზერხებულობისათვის საკითხები გადმოიცემა თავებისა და მუხლების ნუმერაციული თანმიმდევრობის დაცვით.

თავი რამდენიმე კარს აერთიანებდა. ზოგადი ნაწილი — I. სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების ფარგლები; II. ზოგადი დებულებანი; III. სასჯელის ზომის განსაზღვრა; IV. სასჯელისა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებათა გვარი და სახე; განსაკუთრებული ნაწილი — თავი I. სახელმწიფოებრივი დანაშაული. კარი I. კონტრევოლუციური დანაშაული, კარი 2. მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული; თავი II. თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული; თავი III. სახელმწიფო საგან ეკლესიის ჩამოშორების წესების დარღვევა; თავი IV. სამეურნეო დანაშაული; თავი V. დანაშაული სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და პიროვნების ღირსების წინააღმდეგ. კარი 1. სიცოცხლის მოსპობა, კარი 2. სხეულის დაზიანება და ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ, კარი 3. განსაცდელში დატოვება, კარი 4. დანაშაული სქესობრივი ურთიერთობის სფეროში, კარი 5. სხვა დანაშაული პიროვნებისა და მისი ღირსების წინააღმდეგ, თავი VI. ქონებრივი დანაშაული. თავი VII. სამხედრო დანაშაული. თავი VIII. ხალხის ჯანმრთელობისა, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესიერების დაცვის წესების დარღვევა.

ეს სისტემა არსებითად რუსურ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსია. მხოლოდ ერთი განსხვავებაა მათ შორის. რუსურ-ის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი ხუთი თავისაგან შედგებოდა. იქ, ცალკე თავად იყო გამოყოფილი — სასჯელის მოხდის წესი. ამ თავში გაერთიანებულ მუხლებში ჩამოთვლილი იყო განაჩენის აღსრულებაზე მეთვალყურე ორგანოები (51-ე მუხ.) და ვადაძვე პირობით განთავისუფლების არსი, მისი შეფარდების წესი და პირობები (52-56-ე მუხ.) სისხლის სამართლის კოდექსში ამ თავის გათვალისწინება და შემდეგ ამ თავში ვადაძვე პირობით განთავისუფლების ინსტიტუტისა და განაჩენის აღსრულებაზე მეთვალყურე ორგანოების გაერთიანება არ იყო მიზანშეწონილი. ეს თავი, როგორც დასათურების, ისე გათვალისწინებული ნორმის (51-ე მუხ.) მიხედვით შრომა-გასწორების კანონმდებლობას განეკუთვნება, ხოლო ვადაძვე პირობით განთავისუფლება სისხლის-სამართლებრივი ინსტიტუტია და მისი ადგილი სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტების გვერდით — სისხლის სამართლის კოდექსში უნდა განსაზღვრულიყო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ განყოფილებაში, რომელიც კანონის მოქმედების საკითხებს შეეხება, რუსურ-ის კოდექსისაგან განსხვავებით განისაზღვრა კანონის მოქმედების ტერიტორიული პრინციპი. პირველი მუხლის თანახმად ექსტერიტორიალობის უფლებით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა გარდა სარგებლობდნენ განსაკუთრებულ ხელშეკრულებაში მოხსენიებული უცხოელებიც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის იმ დროის მკვლევარი კ. ცაგარელი მიუთითებს, რომ კოდექსის ავტორები ამ შემთხვევაში გამოდიოდნენ იმ ფაქტორის გარემოებიდან, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ბევრ უცხოურ სახელმწიფოსთან ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. ამის გამო საჭირო ხდებოდა განსაკუთრებული ხელშეკრულებით ექსტერიტორიალობის უფლება განეგრძოთ ასეთი სახელმწიფოს ზოგიერთ წარმომადგენელზე.⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი ბრალის ფორმებს განმარტავს. ამ მუხლში ვკითხულობთ: „სასჯელი დაედება მხოლოდ იმას, ვინც: ა) მოქმედებდა განზრახ, ე. ი. არათუ მხოლოდ სურდა ქმედობის ჩადენა, არამედ შეგნებული ჰქონდა ამ ქმედობის შედეგი, ან (ბ) მოქმედებდა გაუფრთხილებლად, ე. ი. მოუფიქრებლად იმედოვნებდა თავისი მოქმედების შედეგის აცდენას, ან არ ითვისისწინებდა ასეთ შედეგს, თუმცა კი უნდა გათვალისწინებინა იგი“.

განზრახი ბრალის ასეთი განსაზღვრა რატომ უნდა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. როგორც ცნობილია, განზრახი ბრალი სამი ძირითადი ნიშნით ხასიათდება: პირდაპირი განზრახვისათვის საჭიროა პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება,⁶ ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება და შედეგის სურვილი. ევანტუალურ განზრახვას პირდაპირთან პირველი ორი მომენტი აქვს საერთო: ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება და ამ ქმედობით გამოწვეული შედეგების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის გათვალისწინება, განსხვავება ნებულობით სფეროში. არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია არა საზოგადოებრივად საშიში შედეგების სურვილი, არამედ შეგნებული დაშვება. 1922 წლის კოდექსის ქართულ ტექსტში

⁵ იხ., კ. ცაგარელი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებანი. სრულიად საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბე, 1925 წ., № 13.

⁶ აღრე მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ ითვისისწინებდა ამ ნიშანს, მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში (1958 წ.) შეიტანეს სიახლე ამ საკითხში. (მუხ. მე-8).

შედგის „შეგნებულად დაშვების“ მაგივრად ნათქვამად „შეგნებული ჰქონდა ამ ქმედობის შედეგი“, რითაც წაშლილია ზღვარი განზრახვის ორ სახეს შორის. თუ მე-11 მუხლს სიტყვა-სიტყვით გავიგებთ და სიტყვებში „სურდა ქმედობა“ არ ვიგულისხმებთ, რომ კანონმდებელს „ქმედობა“ ფართო მნიშვნელობით — შედეგის გაგებითაც აქვს ნახმარი, მაშინ წაიშლება ზღვარი არამართო განზრახვის ორ სახეს შორის, არამედ განზრახვისა და გაუფრთხილებლობას (თვითიმედოვნებას) შორისაც. თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება და აქედან ამ მოქმედების, როგორც ასეთის, სურვილი, დამახასიათებელია თვითიმედოვნებისთვისაც. რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა უკეთ ჩამოაყალიბა განზრახვის ცნება. ამ კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ პუნქტის მიმხედვით, სასჯელი მხოლოდ მას ეფარდებოდა, ვინც მოქმედებდა განზრახ, ე. ი. ითვისწინებდა თავისი მოქმედების შედეგს, სურდა იგი ან შეგნებულად უშვებდა მას. საგულისხმოა, რომ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის რუსულ ტექსტშიც ეს ადგილი სწორადაა რედაქტირებული — «Сознательно допускали наступление его последствий». როგორც ჩანს, ქართული ტექსტის უზუსტობა რუსული ტექსტის არა სწორი თარგმანით იყო განპირობებული. მაგრამ მცირე უზუსტობა «Желания учинения деяния»

თავდაპირველად რსფსრ-ისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებში ერთნაირად განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი. კოდექსის მე-18 მუხლით დაწესდა პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14, ხოლო მაქსიმალური 16 წელი. იმ მოსაზრებით, რომ სამხრეთის პირობებში ადამიანი უფრო ადრე მწიფდება, 1924 წლის 26 თებერვლის კანონით პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 18 წლამდე იქნა დაყვანილი.⁷

საქართველოს სსრ კოდექსი, ისევე როგორც რსფსრ-ის კოდექსი იძლევა დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის განმარტებას. მაგრამ არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს საქართველოს კოდექსის ტერმინოლოგიური უზუსტობა. კოდექსში «покушение» თარგმნილია როგორც „ხელყოფა“, მაშინ როდესაც უნდა იყოს „ცდა“ ან „მცდელობა“. „ხელყოფა“ ნიშნავს «посягательство»-ს: „დანაშაულის ხელყოფად ჩაითვლება დანაშაულის ჩასადენად

მიმართული ისეთი მოქმედება...“ (მე-13 მუხ.). სასჯელთა სისტემა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსებში ამომწურავი და მოქნილია, რაც თავის მხრივ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა კანონიერების განმტკიცების საქმეში. განსხვავებულად არის გადაჭრილი კოდექსებში სასჯელთა სისტემის ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა სისტემა არ იცნობდა პირობით მსჯავრს. კოდექსში ეს ინსტიტუტი სასჯელთა სისტემის გარეთ იყო განთავსებული. გარდა ამისა, საქართველოს კოდექსის სასჯელთა სისტემა ითვისწინებდა დატუსაღებას, რასაც არ იცნობდა რსფსრ-ის კოდექსი მაგრამ სამაგიეროდ სასჯელთა ნუსხაში არ იხსენიებდა უფლებებში შეზღუდვას, თუმცა ცალკე მუხლებით სასჯელის სახედ აღიარებდა მას (44-45 მუხლები).

გარდა იმისა, რომ კოდექსებს განსხვავებულ სასჯელთა სისტემა ჰქონდა, ისინი ადგენდნენ ერთი და იგივე სასჯელის გამოყენების განსხვავებულ პირობებს.

მაგალითად, განსხვავებაა სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის გამოყენების ზოგიერთ მომენტში. რსფსრ-ის კოდექსის 33-ე მუხლის მეორე შენიშვნა სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდების ხუთწლიან ხანდაზმულობას ითვალისწინებდა. ამავე მუხლის მესამე შენიშვნა აწესებდა გამოწაკის ამ საერთო წესიდან სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (აქტიური მოქმედება და აქტიური ბრძოლა მუშათა კლასის და რევოლუციის მოძრაობის წინააღმდეგ, წარმოებული სამეფო წესწყობილების ხანაში პასუხსაგებ თანამდებობაზე ყოფნის დროს), სავალდებულო არ იყო ხანდაზმულობის გამოყენება და სასამართლოს უფლება იძლეოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ გადაეწყვიტა ხანდაზმულობის შეფარდების საკითხი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის შენიშვნა ითვალისწინებდა ხუთწლიანი ხანდაზმულობის სავალდებულო შეფარდებას ყველა შემთხვევაში და საერთო წესიდან არავითარ გამოწაკის არ გულისხმობდა.

როგორც საქართველოს, ისე რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსები კრძალავდა სასჯელის უმაღლესი ღონისძიების შეფარდებას 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირებისა და ორსული ქალებისადმი. საქართველოს კოდექსში მოცემული იყო დაზუსტებაც. კერძოდ, 34-ე

⁷ სრულიად საქართველოს ცაკის მეორე მოწვევის I, II და III სესია (სტენოგრაფიული ანგარიში), ტფილისი, 1925 წ.

მუხლის მიხედვით — ორსულობა საექიმო დადგენილებით უნდა დამოწმებულიყო.

კოდექსი დანაშაულთა უმრავლესობისათვის სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას. კოდექსის 35-ე და 39-ე მუხლები განსაზღვრავდნენ თავისუფლების აღკვეთის ვადებს, მისი მოხდის წესსა და პირობებს.

ამავე დროს კოდექსის 35-ე მუხლით, შესაძლებლობის ფარგლებში სამუშაო მსჯავრდებულის სპეციალური ცოდნისა და მიდრეკილების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ამ მოთხოვნაში გამოხატულებას ჰპოვებდა კანონმდებლის მიხედვით, ექვია შრომა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების ნამდვილ, ქმედით საშუალებად. რსფსრ-ის კოდექსთან შედარებით საქართველოს სსხლის სამართლის კოდექსი ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო შორს წავიდა. კოდექსის 1924 წლის რედაქციის 35-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვით იმ პირს, ვისაც თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და ვინც სასჯელს მძიმე ფიზიკური მუშაობით იხდიდა (ტვირთის ტარება, ხეტყის მოჭრა, მიწის სამუშაოები, ღამე მუშაობა და სხვ.), შეიძლებოდა სასჯელის ვადა 1/3-ით შემცირებოდა. ამის უფლება ჰქონდა იმ სასამართლოს, რომელმაც განაჩენი გამოიტანა. ამ ნორმას იმ პერიოდში პრინციპული ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა: კოდექსის მიერ წამოყენებული მოთხოვნა შრომის სპეციალური ცოდნისა და მიდრეკილების შესაბამისად შეფარდების შესახებ ყოველთვის ვერ ხორციელდებოდა პრაქტიკაში. არ იყო ყველა მსჯავრდებულის შესაფერისი სამუშაოთი დაკმაყოფილების საშუალება. ასეთ პირობებში იქმნებოდა სულ განსხვავებული მდგომარეობა ერთი და იგივე დამნაშავეებისათვის. ერთნაირი სასჯელის გადაწყვეტის შემთხვევაში სასჯელი მთელი სიმძიმით მხოლოდ დამნაშავეთა ერთ ნაწილს აწევებოდა; 35-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული ნორმა სასჯელის სიმძიმის გაწონასწორების შესაძლებლობას იძლეოდა. გარდა აღნიშნულისა, კანონმდებელი ალბათ იმ მოსაზრებით

თაც ხელმძღვანელობდა, რომ თითქმის ყოველთვის უფრო მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება მუშებსა და გლეხებს მოუხდებოდათ, რადგან სწორედ მათ არ გააჩნდათ რაიმე გარკვეული სპეციალობა.⁸

საქართველოს სსხლის სამართლის კოდექსი სასჯელთა სისტემაში დამატებით დატუსაღებასაც ითვალისწინებდა. დატუსაღების იურიდიული ბუნების შესახებ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. დოც. შ. გრინგაუზს არ მიაჩნია იგი თავისუფლების აღკვეთის ცალკე, დამოუკიდებელ სახედ და მას მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ტერმინოლოგიური ხასიათის სახესხვაობად განიხილავს.⁹ საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამენ პროფ. მ. შარგორდსკი¹⁰ და პ. მიშუნინი.¹¹

შ. გრინგაუზის შეხედულებას ვერც ჩვენ გავიზარებთ; როგორც ცნობილია, სასჯელის დამოუკიდებელ სახედ ის განსაზღვრული სასჯელი უნდა იქნეს მიჩნეული, რომელსაც თავისი სპეციფიკური შინაარსი, შესაბამისი სახელწოდება აქვს და კანონით დადგენილ სასჯელთა საერთო სისტემაშია შეტანილი. ამ თვალსაზრისით როგორც სპეციფიკური შინაარსით, ისე სათანადო საკანონმდებლო გაფორმებითაც დატუსაღება სასჯელის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენდა.

სხვა საკითხია რამდენად მიზანშეწონილი იყო სსხლის სამართლის კოდექსში მისი გათვალისწინება. კანონმდებელმა უფრო მოგვიანებით დატუსაღების გათვალისწინება სასჯელთა სისტემაში გაუმართლებლად ჩათვალა და ამოიღო კიდევ იგი სასჯელთა ნუსხიდან¹². 1924 წლის რედაქციით გამოცემულ კოდექსში მას უკვე აღარ ვხვდებით. კანონმდებლის ასეთმა პოზიციამ თავისი გავლენა მოახდინა თავისუფლების აღკვეთის ვადებზე.

საერთოდ, თავისუფლების აღკვეთის ვადების საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ წყდებოდა ჩვენს კანონმდებლობაში. ასეთ ცვალებად პოზიციას ხშირად წინ უსწრებდა და თან ერთვოდა დისკუსიები თავისუფლების გრძელ

⁸ იხ., კ. ცხარელი, დასახელებული წერილები, „მოამბე“, 1925, № 14.

⁹ История советского уголовного права, юридическое изд-во Министерства юстиции СССР, М., 1948, стр. 123.

¹⁰ М. Шаргородский. Основные этапы истории советского уголовного права. «Ученые записки Ленинградского государственного университета им. Жданова». Л., 1949, вып. II, стр. 275.

¹¹ П. Г. Мишунин. Очерки по истории советского уголовного права, 1917—1918 гг., государственное издательство юридической литературы, М., 1954, стр. 203.

¹² ამჟამად დატუსაღება (ეხლა იხმარება — ტერმინი დაატვირთება), ფართოდ გამოიყენება ადმინისტრაციული დარღვევების შემთხვევაში. თავისთავად ეს ფაქტი დატუსაღების თავისუფლების აღკვეთისაგან განსხვავებულ ხასიათზე მიუთითებს.

და მოკლევადიანი აღკვეთის ეფექტურობისა და მიზანშეწონილობის შესახებ¹³.

სისხლის სამართლის კოდექსის პირველი რედაქციით თავისუფლების აღკვეთის ვადა ექვსი თვიდან ათ წლამდე განისაზღვრა. რადგან კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით დატუსაღების ვადა ერთიდან სამ თვემდე დადგინდა, ამიტომ აღარ იყო თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადის ექვს თვეზე უფრო დაბლა დაწევის საჭიროება. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელთა სისტემაში დატუსაღებას არ ითვალისწინებდა, ამიტომ იქ სასამართლო ორგანოები მოკლებული იყვნენ თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადის ექვს თვეზე დაბლა დაწევის შესაძლებლობას. ალბათ ამ გარემოებამ აიძულა კანონმდებელი 1923 წ. 10 ივლისს, სრულიად რუსეთის ცაკის X მოწვევის მე-2 სესიაზე, ექვსი თვიდან ერთ თვემდე დაეწია თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა სისტემიდან ამოღებული იქნა დატუსაღება, წარმოიშვა თავისუფლების აღკვეთის მინიმალური (ექვს-თვიანი) ვადის შემცირების საჭიროება. სრულიად საქართველოს ცაკის II მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წლის 26 თებერვალს ეს ვადა ერთ თვემდე იქნა დაყვანილი.¹⁴

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის ერთ-ერთ სახედ იძულებითი სამუშაოებს ითვალისწინებდა (36-ე მუხ.). საქართველოს სსრ კოდექსის 36-ე მუხლი თავდაპირველად ისეთივე რედაქციისა იყო, როგორც რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი. მაგრამ 1924 წლის რედაქციის კოდექსს მეტად საინტერესო შენიშვნა დაემატა, რომელიც სხვა რესპუბლიკების კოდექსებში შეტანილი არ ყოფილა. სახელდობრ, 36-ე მუხლის შენიშვნაში ჩამოთვლილი იყო ის პირობები, რომლებიც იძულებითი სამუშაოების სასჯელის სხვა სახით შეცვლის საფუძველს ქმნიდნენ. ასეთებია: ბრალდებულის ავადმყოფობა, იძულებითი სამუშაოების მოუწყობლობა, შესაბამის მუხლში სასჯელის სხვა სახის გაუთვალისწინებლობა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო იძულებითი სამუშაოები ფულადი ჯარიმით, თავი-

სუფლების აღკვეთით ან თავისუფლების პირობით აღკვეთით შეეცვალა. ამავე დროს თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე იძულებითი სამუშაოების სამ დღეს შეესაბამებოდა. რაც შეეხება ჯარიმას, კანონი ზუსტად არ განსაზღვრავდა სასჯელის ამ ორი სახის თანაფარდობის საკითხს, რასაც იმდროინდელი ლიტერატურა შენიშვნის დიდ ნაკლად თვლიდა.¹⁵ კანონმდებელმა ამ საკითხის გადაჭრა მოსამართლეს დაუტოვა, რომელსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სოციალისტური მართლშეგნებით უნდა ეხელმძღვანელა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სასჯელთა სისტემაში, რსფსრ-ის კოდექსის მსგავსად, ითვალისწინებდა ჯარიმასაც, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით მას უმატებდა სიტყვა „ფულადს“, რითაც უფრო აზუსტებდა და გასაგებს ხდიდა, სასჯელის ამ სახის გამოყენების პირობას და ამავე დროს შეუძლებელს ხდიდა ჯარიმის გადახდევინებას სხვა სახით.

უფლებებში შეზღუდვას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელთა სისტემაში არ ითვალისწინებდა, მაგრამ მომდევნო მუხლებში (43-ე, 44-ე, 45-ე), განმარტავდა მას და ადგენდა მისი შეფარდების წესსა და პირობებს. ამგვარად იქმნებოდა გარკვეული წინააღმდეგობა: ერთის მხრივ, კოდექსით შესაძლებელი იყო სასჯელის ამ სახის დამატებით გამოყენება, მაგრამ მეორეს მხრივ, კოდექსის 53-ე მუხლში, რომელიც დამატებითი სასჯელების პუნქტობრივ ჩამოთვლას იძლეოდა, უფლებათა შეზღუდვა გათვალისწინებული ვერ იქნებოდა. გამოიღო, რომ, სასამართლო უფლებებში შეზღუდვას, როგორც დამატებით სასჯელს ვერ გამოიყენებდა, თუმც 43-ე მუხლის თანახმად მას სასჯელის ამ სახის გამოყენება ყველა იმ შემთხვევაში შეეძლო, როცა ამას მიზანშეწონილად ჩასთვლიდა. საკითხის ასეთი გადაჭრა ლოგიკური არ არის და იგი უთუოდ საქართველოს კოდექსის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონდა.

კოდექსებით განსხვავებულად არის გადაჭრილი ამ სასჯელის შეფარდებისას სასამართლო კომპეტენციის საკითხიც. საქართველოს სისხ-

¹³ А. А. Жижиленко. Очерки по общему учению о наказании. «Academija», 1923, П. И. Люблинский. Условное осуждение в иностранном и советском праве. Изд-во «Право и жизнь», М., 1924, стр. 26—27.

¹⁴ იხ., სრ. საქართველოს ცაკის II მოწვევის I, II და III სესია (სტენოგრაფიული ანგარიში, ტფილისი, 1925 წ.).

¹⁵ იხ. კ. ცაგარელი, საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თაყისებურებანი. „მომამბე“, 1925 წ. № 14.

ლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლით სასამართლოს შეეძლო დამატებით სასჯელად დაენიშნა უფლებათა შეზღუდვა. რსფსრ-ის კოდექსის 42-ე მუხლით, სასამართლო ანალოგიურ პირობებში თუ პირს სასამართლო წესით სახელშეზღუდლად ცნობდა, ვალდებული იყო, მისთვის უფლებათა შეზღუდვის რომელიმე სახე დაენიშნა.¹⁶

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია ამ საკითხში უფრო სწორი იყო. აღმნიშნულ შეიძლება წარსული საქციელით სახელი შეზღუდული ჰქონდეს, მაგრამ დღეს უკვე აღარ წარმოადგენდეს ისეთ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, რომ აუცილებელი იყოს მისთვის უფლებათა აყრა.

სასჯელის აღსრულება ყოველთვის არ წარმოადგენს სასჯელის ამოცანების განხორციელების ყველაზე ქმედით საშუალებას. გარკვეულ პირობებში დამნაშავეს გამოსწორება და მისი ხელახლა აღზრდა უფრო ეფექტურად მიიღწევა სხვა საშუალებებით. ამ გაგებით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ისეთ საშუალებებსაც ითვალისწინებს, რომელთა სოციალურ-პოლიტიკური დანიშნულება დანაშაულობასთან რაციონალურ ბრძოლასა და ამავე დროს სასჯელის ეკონომიის პრინციპის განხორციელებაში მდგომარეობს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას პირობითი მსჯავრი წარმოადგენს.

საქართველოს სსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის რეგლამენტირების მხრივ მკვეთრად განსხვავდება რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსისაგან.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსმა პირობითი მსჯავრი სასჯელთა სისტემაში შეიტანა (32-ე მუხ. „გ“ პ.), რითაც იგი სასჯელის სახედ აღიარა. სასჯელთა სისტემაში პირობითი მსჯავრი იძულებითი სამუშაოების შემდეგ იყო დასახელებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა ნუსხაში როგორც აღინიშნა, პი-

რობითი მსჯავრი გათვალისწინებული არ იყო. ამრიგად, კოდექსის მიხედვით, პირობითი მსჯავრი სასჯელს კი არა, სასჯელისაგან პირობით განთავისუფლების ფორმას წარმოადგენდა.

პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების ასეთი განსხვავებული გაგება რსფსრ-ისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევდა. კერძოდ, პრაქტიკული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ საკითხს, თუ რა იურიდიულ კვალიფიკაციას მისცემდა კანონი გამოსაცდელი ვადის წარმატებით ჩათავების ფაქტს: გაუთანაბრებდა მას სასჯელის მოხდას, თუ სასჯელისაგან განთავისუფლებად მიიჩნევდა. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლა სასჯელის მოხდასთან იყო გათანაბრებული. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნებისადმი სულ სხვა დამოკიდებულებების ამსახველია ამ საკითხზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი: „იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში... პირობით დასჯილი არ ჩაიდენს ისეთსავე ან იმავე გვარის დანაშაულს, რაც პირველად ჰქონდა ჩადენილი, სასამართლო განაჩენი, რომლითაც პირობითი მსჯავრი იქნა დადებული, ისპობა ყველა მისი შედეგით“.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი ნორმა არ არსებობდა, რის გამოც პირობით მსჯავრდებულის სამართლებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობა საგრძნობლად მძიმდებოდა. გამოდიოდა, რომ პირი, რომელიც მძიმე გარემოებათა დამთხვევის გამო პირველად ჩაიდენდა არცთუ მძიმე დანაშაულს და წარმატებით გაივლიდა გამოსაცდელ ვადას, მაინც ნასამართლობის მქონედ ითვლებოდა. მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა განსა-

¹⁶ ავტორთა გარკვეულ ნაწილს რსფსრ-ის 42-ე მუხლით გადმოცემული დებულება „შე-საძლეზლობის“ თვალსაზრისით ესმოდა (იხ. **С. В. Познышев**. Очерки основных начал науки уголовного права. — Общая часть, М., 1923, стр. 261; УК РСФСР. Практический комментарий под редакцией **М. Н. Гернета** и **А. Н. Трайнина**. Общая часть, книгоиздательство «Право и жизнь». М., 1924, стр. 110).

42-ე მუხლის ტექსტის ასეთი გაგების საფუძველს რსფსრ-ის კოდექსის 50-ე მუხლიც იძლეოდა. ამ მუხლში პირდაპირ იყო მითითებული, რომ სასამართლოს ძირითადი სასჯელის არჩევისას შეეძლო პირისათვის კოდექსის 32-ე მუხლის „დ-კ“ პუნქტებით გათვალისწინებული სხვა, ნაკლებად მძიმე სასჯელი დაემატებინა. ხოლო რსფსრ-ის კოდექსის 32-ე მუხლის „უ“ პუნქტში სწორედ უფლებათა შეზღუდვა იყო მოხსენიებული.

ღერულ პირობებში მისთვის დამძიმებული სას-
ჯელის დანიშვნის საფუძველი გახდებოდა.¹⁷

საქართველოს კოდექსის პოზიციის სისწორე
ხავსებით დადასტურა მომდევნო პერიოდის
კანონმდებლობამ. უკვე სსრ კავშირისა და მო-
კავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის
კანონმდებლობის 1924 წლის ძირითადმა საწ-
ყისებმა აღარ გაითვალისწინა პირობითი მსჯავ-
რი სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის სო-
ციალური დაცვის ღონისძიებებს შორის (მე-18
მუხ.). „ძირითადმა საწყისებმა“ მოკავშირე
რესპუბლიკებს მიანიჭა უფლება განესაზღვრათ
პირობითი მსჯავრის შეფარდების პირობები და
წესი (მ-7-ე მუხ.). ამის საფუძველზე, რსფსრ-ის
სისხლის სამართლის კოდექსს მხოლოდ 1925
წელს დაემატა ნორმა¹⁸, რომელიც ხსენებულ
საკითხს საქართველოს 1922 წლის სისხლის სა-
მართლის კოდექსის მსგავსად აწესრიგებდა.

რაც შეეხება პირობითი მსჯავრის გამოყენე-
ბის პირობებს, ეს პირობები საქართველოს
სსრ 1922 წლის სს კოდექსში ძირითადად
რსფსრ-ის სს კოდექსით გათვალისწინებული
პირობების ანალოგიური იყო. სახელდობრ, სა-
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
46-ე მუხლში ნათქვამი იყო: „როდესაც მსჯავრ-
დებულს, მის ცხოვრებაში შექმნილი მძიმე გა-
რემოებათა გამო, პირველად ექნება ჩადენილი
დანაშაული, რომლისთვისაც მას თავისუფლე-
ბის აღკვეთა მიესაჯა, და როდესაც საზოგადო-
ებრივი ცხოვრებისათვის იგი იმდენად ნაკლებ
ხაფრთხეს წარმოადგენს, რომ საჭირო არც კია

მისი აუცილებელი იზოლაცია,¹⁹ სასამართლოს
შეუძლია მას პირობითი მსჯავრი დააღოს...“.

პირობითი მსჯავრის დროს დამატებითი სას-
ჯელების გამოყენების საკითხი რსფსრ-ისა და
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით
თავდაპირველად განსხვავებულად წყდებოდა.
რსფსრ-ის კოდექსის 36-ე მუხლის III ნაწილის
მიხედვით, ფულადი ან ქონებრივი ხასიათის
დამატებითი სასჯელები სისრულეში მოიყვანე-
ბოდა. საქართველოს კოდექსში ასეთ ნორმას
ვერ ვხვდებით. ეს ნაკლი მალე გამოსწორდა.
უკვე 1924 წლის რედაქციით გამოცემული კო-
დექსის 46-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომე-
ლიც აღნიშნულ საკითხს რსფსრ-ის კოდექსის
36-ე მუხლის მსგავსად აწესრიგებდა.

პირობითი მსჯავრის დროს განაჩენის სისრუ-
ლეში მოუყვანლობის პირობა პირობით მსჯავრ-
დებულის მიერ გამოსაცდელი ვადის განმავ-
ლობაში ახალი, ისეთივე ან იმდევარი დანა-
შაულის ჩაუდენლობა (47-ე მუხ.). პირობითი
მსჯავრის გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა
საქართველოს სსრ კოდექსში ორიდან ათ
წლამდე განისაზღვრა. რსფსრ-ის კოდექსი
უფრო დიდ მინიმალურ ვადას — სამ წელიწადს
აწესებდა (მ-7-ე მუხ.). ეტყობა პრაქტიკამ გაა-
მართლა საქართველოს სს კოდექსის პოზიცია,
ვინაიდან მომდევნო სისხლის სამართლის კანონ-
მდებლობამ ნაწილობრივ გაიზიარა იგი.

ასეთია ძირითადად საქართველოს სსრ 1922
წლის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი
ნაწილის თავისებურებანი.

¹⁷ ცნობილია, რომ სასამართლობის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაცია პირვე-
ლად სრულიად რუსეთის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 9 თებერვლის
დეკრეტით მოხდა (იხ. СУ РСФСР, 1925, № 3, стр. 67) უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დრომ-
დე სასამართლობა ქარწყლდებოდა ამნისტიის ან შეწყნარების აქტით.

¹⁸ Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР
1917—1952 гг., Госюриздат, М., 1953, стр. 195.

¹⁹ რსფსრ-ის კოდექსში ამ ადგილთან დამატებული იყო სიტყვები: „და არც იძულებითი
შუშობის დანიშვნა“, რაც კიდევ უფრო აზუსტებს პირობითი მსჯავრის გამოყენების პირობას.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 43¹ მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს 43¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 43¹. დამცველის მოწვევა, დანიშვნა და შეცვლა
ბრალდებულს, მისი კანონიერი წარმომადგენელი, აგრეთვე სხვა პირები — ბრალდებულის დავლებით ან მისი თანხმობით, დამცველს მოიწვევენ ამ კოდექსის 43-ე მუხლში ჩამოთვლილ პირთაგან.

ბრალდებულის თხოვნით დამცველის მონაწილეობას უზრუნველყოფს გამოძიებელი და სასამართლო“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიერ არჩეული დამცველის მონაწილეობა დიდი ხნით შეუძლებელია, გამოძიებელს და სასამართლოს შეუძლიათ წინადადება მისცენ ბრალდებულს მოიწვიოს სხვა დამცველი ან ბრალდებულს დაუნიშნონ დამცველი ადვოკატთა კოლეგიის მეშვეობით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი, 1978 წლის 28 მარტი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მე-4 ნაწილში და ჩა-

მოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„სარჩელი ალიმენტის გადახდევინების და მამობის დადგენის შესახებ მოსარჩლემ შეიძლება წარადგინოს აგრეთვე თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი, 1978 წლის 28 მარტი.



„მთხრობელი“ ბაღს ზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალი

მ. კეკელიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ექვმიტანილი პირის ბრალეულობის დადგენისათვის ქართული სამართალი მთხრობელს დიდ როლს ანიჭებს.

მთხრობლის ინსტიტუტს იცნობს როგორც ალბუდას, ისე ვახტანგის სამართლის წიგნები. იგი მთელს საქართველოში მოქმედებს. ცნობები მის შესახებ შემოგვიწახა სხვა საბუთებშიც.

მთხრობელზე, გვერდაუხვეველ ცნობებს გვაწვდის ტრანსფორმირებული სახით ჩვენამდე მოღწეული ქართული ჩვეულებითი სამართალიც.

მიუხედავად ამისა მთხრობლის ინსტიტუტი დღემდე მთელი სისრულით არ არის შესწავლილი.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში, სადაც ჩამოთვლილია მტკიცებულებათა სახეები (ისინი სულ ექვსია), მთხრობელი არ იხსენიება. აქ იგი მოწმის ცნებაშია ნაგულისხმევი.

ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის ის, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი მთხრობლის საქმიანობაზე ცალკე მსჯელობს და სპეციალური ნორმით (236-მუხლი) აწესებს მის პასუხისმგებლობასაც.

ვახტანგის კანონთა კრებულის S-3683 ხელნაწერზე დართულ ზანდუკ-საძიებელის შემდგენელს გაუთვალისწინებია მთხრობლის განსხვავება ჩვეულებრივი მოწმისა-

გან, ამიტომ ჩაუწერია ჯერ პუნქტები, რომლებიც მოწმეს შეეხება, ხოლო შემდეგ მთხრობლებისა და ამ უკანასკნელთათვის საკუთარი დასათაურება — „მთხრობლისა“ გაუკეთებია.

ამ წესით ზანდუკში პუნქტების ჩაწერა ნაკარნახევია იმ წესის დაცვით, რომ ერთგვაროვანი პუნქტები, საკუთარი დასათაურებითურთ, სხვებისაგან გამოიყოს¹.

ეს პრინციპი გაუზიარებია საჯულმდებელ მეფეს და თავისი ხელითაც ჩაუწერია ზოგიერთის დასათაურება, რაც შემდეგ სხვა ხელნაწერებშიც იქნა გადატანილი².

მთხრობლის რაობის ინტერესი ისე დიდა, რომ მისთვის გვერდი ვერ აუქცევიათ, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებს³.

ზოგიერთი მკვლევარი მთხრობელს მოწმესთან აიგივებს, ან მკაფიოდ არ უთითებს მათს განმასხვავებელ ნიშნებს.

ჩვეულებითი სამართლით, განსხვავება მთხრობელსა და მოწმეს შორის ის არის რომ მთხრობელი დანაშაულებრივი ფაქტის თვითმხილველია, მაშინ როცა მოწმე — ზოგჯერ თავის ჩვენებას პირველწყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზეც ამყარებს.

თვითმხილველი მოწმე, რომელიც ეჭვმიტანილის სამხელად, აშკარად ან ფარუ-

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. S — 3683 გვ. 23.

2 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q—575.

3 ამ საკითხთან დაკავშირებით მოკლედ მაგრამ დამაჯერებლად მსჯელობს მზია ლეკვი-იშვილი თავის შრომაში: — სასამართლო პროცესი XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. 1963, გვ. 68. აქ ავტორი სხვებისგან განსხვავებულ, ორიგინალურ მისაზრებებსაც ვთავაზობს.



ლად აწვდის ცნობას დაზარალებულს და რომლის საქმიანობაც, ჩვეულებრივი მოწმისაგან განსხვავებით ძირითადად თანამოფიცარის არხით მიემართება, — მთხრობლად იწოდება.

როცა მთხრობლის ვინაობა თავიდანვე გამოცხადებული და სამხელად სახალხოდაც კი აღგება ეჭვმიტანილს, ამ დროს იგი მოწმის იდენტურია.

მთხრობელი და ჩვეულებრივი მოწმე სხვადასხვა პროცესუალური ბუნებისანი არიან. სწორედ ეს განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

კონკრეტულმა ეთნოგრაფიულმა მასალებმა სვანეთში, დღემდე შემოგვინახეს ცნობები მთხრობელთა შესახებ.

იმ ფაქტორთა ზემოქმედების გამო, რომელსაც განიცდის ჩვეულებითი სამართალი, ცხადია ბევრი რამ შეიცვლებოდა დროთა ვითარებაში, მაგრამ რაც მთავარია: — დღესაც სიცოცხლისუნარიანია იგი.

ვიდრე მთხრობლის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს გავარკვევთ, მოვუსმინოთ მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე ინფორმატორს.

81 წლის ე. ჟ-ნი გადმოგვცემს:⁴

„სვანურად „მთხრობელი“ ის კაცი იყო, რომელიც ეტყოდა დაზარალებულს: „შენ რომ დაგეკარგა, მისი ქურდი ვიცი ვინც არის, დაუშვტიციც იმ კაცს ქურდობას, თღონდ საჩუქარი მომეციო“. როცა თანხმობას მიეცემდი (უნდა მიმეცა დაკარგულის ნახევარი ან მესამედი), დაწვრილებით მომიყვებოდა საქმის შინაარსს, რაც იცოდა, რაც დაინახა.

ამის შემდეგ ქურდს გავუზავნიდი კაცს და შევუთვლიდი „შენ ყოფილხარ ჩემი ხარის (თუ რაცა დამეკარგა) ქურდი“.

თუ ის უარს შემოთვლიდა — „რას ამბობ ამასო“, ამის შემდეგ მოციქულის პირით ისევე ვუთვლიდი „მე მყავს მთხრობელი, რომ ნამდვილად შენ მოიპარე“.

ბასუსად შეიძლებოდა ისევე შემოეთვალა „დამაყენე პირზე შენი მთხრობელიო“.

მივდიოდი მთხრობელთან და ვეტყოდი: „აბა შენ იცი ახლა“ და წავიდოდით ქურდის ოჯახში, სადაც ხალხის თანდასწრებით მთხრობელი მას დაადგებოდა პირზე და ეტყოდა ყველაფერს, რაც იცოდა.

თუ ქურდი მთხრობელის პირზე დადგომისას უარყოფდა, ამის შემდეგ ძლიერ ხატზე წავიყვანდი დასაფიცებლად, სადაც იგი უარყოფას ვერ გაბედავდა.

ქურდს აღიარების შემდეგ არც დაზარალებულთან და არც მთხრობელთან არასოდეს მტრობა არ დარჩებოდა. ასეთი რამ რომ მომხდარიყოს, მე არ გამიგონია“ (სოფ. არცხელი, მულახის თემი 21.VIII, 1968 წ.).

რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ ერთი ვარიანტია მთხრობელის სამოქმედო არენაზე გამოყვანისა. ასეა მაშინ, როცა საქმე მარტია და დაზარალებული, გარკვეულ მოქმედებათა ჩატარების შემდეგ, არ ფარავს მთხრობლის პიროვნებას.

უმეტეს შემთხვევაში, მთხრობლის ვინაობა ეჭვმიტანილისათვის უცნობია. ამ დროს, მთხრობელისაგან ბოროტმოქმედის ვინაობის გაგების შემდეგ დაზარალებული ისე იქცევა, როგორც ლატილელი 83 წლის გ. ფ-ნი აღწერს:

„მთხრობილ ძირითადად ქურდობაზე იყო... მაგალითად, დამეკარგა ძროხა. გუჯუმ მითხრა, „გელამ მოგპარაო“. გელა უარყოფს. მაშინ მე ვეუბნები მას: შენთან ერთად დააფიცე ესა და ეს კაცები, თუ მართალი ხარ და სხვებთან ერთად გუჯუხედაც ვუთითებ, რომლის მთხრობლობის შესახებ მან არაფერი იცის. გელა სთხოვს ჩემს მიერ დასახელებულ პირებს დაიფიცონ მის სიმართლეზე. ამ პირთა შორის გუჯუც არის, რომელიც უარს ამბობს ხატზე დაფიცებაზე. ამ შემთხვევაში მხოლოდ გუჯუს დაუფიცებლობაც კი არ კმარა იმისათვის, რომ გელა გამტყუნდეს. როგორ დაიფიცებს, როცა იცის რომ გელა ქურდია.

ზოგჯერ მხოლოდ მთხრობელზეც მი-

ვუთითებთ, ის დააფიცეო. ამ დროსაც არ იცის ეჭვიმიტანილმა მისი მთხრობელობა. მიდის იგი მასთან და თხოვს დაიფიცოს, მაგრამ უარს ეუბნება.

ისეც ხდება, რომ მთხრობელის ვინაობას თავიდანვე ვეუბნებით ეჭვიმიტანილს. თუ მაინც უარყოფს მაშინ პირზე ვაყენებთ მას“ (იხ. ლატილი 18.VIII, 1967 წ.).

რთული საქმისას დაზარალებული ეჭვიმიტანილს მოსთხოვს „ესა და ეს ხალხი დააფიცე თუ მართალი ხარო“ და მათ შორის უსახელებს მთხრობელსაც. ამ-დაგვარად თანამოფიცრებში „შერეულ-მა“ მთხრობელმა ძნელად გამოსაცნობი რომ გახადოს თავისი მთხრობელობა, თავიდანვე კი არ განუცხადებს ეჭვიმიტანილს ვერ დავიფიცებო, არამედ სხვებთან ერთად გავა ხატზე დასაფიცებლად და აქ იტყვის, „არ შემიძლია დაფიცებაო“. (68 წლის 3 პ-ლი იფარის თემი 1.VIII. 1969 წ.).

მთხრობელ-თანამოფიცრის ასეთ მოქმედებაზე დანარჩენი თანამოფიცრებიც შედგებოდნენ და თუ ისინი მაინც დაიფიცებდნენ, მხოლოდ მთხრობლის დაუფიცებლობაც იყო საკმარისი, რომ ეჭვიმიტანილი გამტყუნებულყო.

სამოქმედო არენაზე მთხრობელთა სხვადასხვა წესით გამოყვანა დამახასიათებელი თვისებაა მთხრობელთა ინსტიტუტისა.

მძოვრეთის ციხესთან დაკავშირებით, ციციშვილების დავის საქმეზე ქართლ-კახეთის მდივანბეგების მიერ 1783 წელს გამოტანილ განაჩენში ლაპარაკია იმაზე, რომ უზბაშ ზაზა ციციშვილს სცოდნია ქაიხოსრო ციციშვილის მიერ ციხის დასანარჩუნებლად ყალბი საბუთების შედგენა, რისთვისაც ყოველივე საიდუმლოდ უამბნია ციხის მესაკუთრე (მომჩივან) ქალაქის მოურავ დავით ციციშვილსა და მისი სახლიკაცებისათვის.

სასამართლოში პოზიციის განსამტკი-

ცებლად დავითი და მისი სახლიკაცები წინასწარ შეთანხმებთან ზაზა უზბაშს: ჩვენ შეგწამებთ თითქოს სიყალბის ქმნაში „ურევხარ“ და თავის მართლებისათვის ფიცში გამოსვლას მოგთხოვთ, თქვენ კი, ვითომ ტყუილად დაფიცების შიშით, აღიარეთ ის რაც იცითო.

მართლაც გაუყვანიათ ზაზა უზბაში დასაფიცებლად, მაგრამ, როგორც განაჩენი იუწყება, არ დაუფიცნია და ასე განუცხადებია: „...ბეჭდები უბემში მიძევს, როგორ დავიფიცოო, მოვიდა და სამართალს ყოველივე თავეთი სიცრუე აღუარა; წიგნებიც ზაქარიამ გააკეთა და დაწერა, ბეჭდებიც ჩემთან მოატრევენა თავის რულიშვილსაო და რაც მომხდარიყო ყველა წარმოსთქვა“.

ამ გზით იქნა გამოყენებული ზაზა უზბაშის მთხრობლობა დამნაშავეის სამხელად. სასამართლომ მთხრობელის სასარგებლოდ დაადგინა: „რასაც მოურავი დავით, პაატა და ნიკოლოზ სამთხრობლოს დაპირებიან, ისიც უკლებლივ უნდა მისცეს ზაზა უზბაშს“⁵.

აქედან ისიც ჩანს, რომ ბოლოს და ბოლოს გაშიფრულია ზაზა უზბაშის მთხრობლობა.

სვანური ჩვეულებითი სამართლით შეიძლება თავის მხრივ ეჭვიმიტანილმაც მოსთხოვოს მთხრობელს ხატზე დაფიცება — „შემომფიცე თუ მართლად მეწამებიო“. უფრო მეტიც: შეიძლება ფიცში თანამოფიცრების ჩაყოლებაც“ გახდეს საჭირო.

იშვიათია, რომ ერთ რომელიმე კონკრეტულ საქმეზე გამოყენებულმა მთხრობელმა მთხრობელთა ინსტიტუტთან დაკავშირებული ყველა პროცესუალური მოქმედება შეასრულოს⁶.

მართვ საქმეებზე, უმეტესად კი წვრილმანი ქურდობისას, დაზარალებული მთხრობელის თანხლებით მიდიოდა ეჭვიმიტანილის ოჯახში, სადაც მთხრობლის ეჭვიმიტანილთან დაპირისპირება სახალხოდ ხდე-

⁵ იხ. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული საბუთი კომენტარებითურთ „მდივანბეგთა 1883 წლის განაჩენი მძოვრეთის ციხეზე“ (საისტორიო მოამბეზე № 21—22. გვ. 223—230).

⁶ პირველად, — მთხრობელის დაუსახელებლად შეთვლა ეჭვიმიტანილზე, რომ იგი ქურდია, მერე მთხრობელის ვინაობის გამხელა (ან არგამხელა), შემდეგ მთხრობელის პირზე დაყენება, ან თანამოფიცრთა შორის ფარულად მისი დასახელება, ფიცის ცერემონიალი და სხვა.

წიგნი
მთხრობელი

ბოდა. ამ დროს საქმე იმით მთავრდებოდა, რომ ეჭვმიტანილი თავს სცნობდა დამნაშავედ.

რთულ საქმეებზე დაზარალებული კი არ მიდიოდა ეჭვმიტანილთან, არამედ მოციქულებს უგზავნიდა, რომლებიც ატყობინებდნენ მას, რომ დაზარალებულს იგი დანაშაულის ჩამდენად მიაჩნდა.

ზოგჯერ მოციქულები ეჭვმიტანილს პირზე დააყენებდნენ მთხრობელს: საჭიროების შემთხვევაში საქმის გამჩჩევი მო რ ვ ბ ი ც ასე იქცეოდნენ.

მთხრობლის ხატზე დაფიცების ცერემონიალი, როგორც აშკარად, ისე ფარულად — სხვა თანამოფიცრებში გარევეთ, აგრეთვე მთხრობლის ეჭვმიტანილთან დაპირისპირება, სახალხოდ ხდებოდა.

მთხრობელი დაზარალებულიდან სოლიდურ გასამრჯელოს იღებდა. მაგალითად, თუ ძროხის ქურდობაზე მთხრობლობდა, ძროხის ღირებულების ნახევარი ან მესამედი მაინც ეკუთვნოდა.

ამ პროპორციის დაცვით განისაზღვრებოდა მთხრობლის გასამრჯელო სხვა სახის ქურდობების დროსაც.

მთხრობლის გასამრჯელოს სვანურად ნ ა თ ხ რ ო ბ ლ ი ეწოდება. ნ ა თ ს რ ჯ ბ ლ ი ს ა თ ვ ი ს გაცემულ თანხას დამნაშავისათვის მოპარულის ორმაგად გადახდევინებული ანგარიშიდან ინაზღაურებს დაზარალებული.

თუ ქურდობაზე მთხრობლობას იშვიათად მოსდევს მთხრობელსა და ეჭვმიტანილს შორის მდგომარეობის გართულება, ასე როდი ითქმის მკვლელობის ან მძიმედ დაჭრისას. ამ დროს მესისხლეობამდეც კი შეიძლება მივიდეს საქმე.

ჩვეულებითი სამართლით: მკვლელობის, მძიმე დაჭრისა და სხვა მეტად რთული დანაშაულის დროს მთხრობლის ვინაობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

ასეთ საქმეებზე მთხრობლად ნამყოფ პირთან ან მის ჩამომავლობასთან გასაუბრებაც კი ვერ შეგძლიოთ. ვერც ის დავად-

გინეთ, კონკრეტულად რა ჰქონდათ მათ მიღებული სამთხრობლოს სახით.

გადმოცემებით, ამ დროს დაზარალებულზე იყო დამოკიდებული, რით დაასაჩუქრებდა მთხრობელს.

ზოგჯერ მხოლოდ დამნაშავის მხილება აინტერესებდა მთხრობელს და არა გასამრჯელო.

მკვლელობის, მძიმე დაჭრის და სხვა რთულ საქმეებზე მთხრობლის ვინაობა ეჭვმიტანილისათვის უცნობია. იგი დაზარალებულის მიერ მითითებულ, ხოლო ეჭვმიტანილის მიერ „ნაშოვნ“ თანამოფიცართა შორის დგას. ისიც საფიქრებელია, რომ მან ხატის წინ, ვითომ მისი „შიშით“, შეიძლება ყოველივე აღიაროს. უმეტესად კი იგი დუმის არჩევს და არ იფიცებს.

დუმილით ეჭვმიტანილის მხილება მთხრობლის გამოყენების პასიური მხარეა. ხოლო როცა საქმის გარემოება უპარნახებს, მთხრობელი აქტიურია და ეჭვმიტანილს პირდაპირ, შეუნიღბავად ამხელს.

თუ რატომ დუმს პასიური მთხრობლობის დროს თანამოფიცარი (ამ შემთხვევაში მთხრობელი), ამის განსჯაში იქ არავინ შედის, ყველაფერი ნათელია: — მას არ სწამს ეჭვმიტანილის უდანაშაულობა და არც იფიცებს მის სიმართლეზე.

ჩვეულებრივ თანამოფიცართაგან მთხრობლის გამოცნობა იმიტომ ძნელდება, რომ ხატის წინ ფიცისგან თავის შეკავება ყველა თანამოფიცრისათვის არის დამახასიათებელი. უკეთ თუ ვიტყვით, ასეთი რამ სინდისით ნაკარნახევი მოვალეობაც გახლავთ. ასეც ხდება ყოველთვის, როცა თანამოფიცარი ვერ რწმუნდება ეჭვმიტანილის სიმართლეში.

მთხრობლის პასიურობის დროს თანამოფიცრის (რომელიც ფაქტიურად მთხრობელია) მოქმედებაში ეჭვმიტანილისათვის საფიქრებელი: იქნებ მთხრობელია და თა-

ნამოფიცრობას ხატის წინაშე მხილების მიზნით დამთანხმდა?

მაგრამ უმაღლვე ჩნდება ლოგიკური პასუხიც ხომ შეეძლო თავიდანვე ეთქვა უარი „ვერ გამოგყვები თანამოფიცრადო“, ამ დროსაც ხომ ვერავინ „შეედავებოდა“ და მისი ასეთი მოქმედებაც საკმარისი იყო ეჭვიმიტანილის გასამტყუნებლად. ამით ხა-

ტის წინ წარდგომის უხერხულობასაც აიცილებდა, რასაც ყოველთვის ვერძალვის სვანი.

აი ამდენი ობიექტური პირობების მთხრობლის ვინაობის შესანიღბაჲად.

ასეთია მოკლე მიმოხილვა სვანურ ჩვეულებით სამართალში მთხრობლის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

ვახტანგ შანიძე



1935 წლიდან იწყება ვ. შანიძის მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. დღიდან ინსტიტუტის დამთავრებისა, იგი მუშაობას იწყებს ამავე ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრაზე ექიმ-ლაბორანტის თანამდებობაზე, ხოლო 1937 წლიდან უკვე ასისტენტი და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და სტომატოლოგიურ ინსტიტუტებში. ამავე წელს ვ. შანიძე ჩაირიცხა ასპირანტად სასამართლო მედიცინაში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს და დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — „ცოცხლადშობილთა და მკვდრადშობილთა სიკვდილის მიზეზები“.

1941 წელს შეიქმნა სასამართლო მედიცინის დამოუკიდებელი კათედრა, რომელზეც ვ. შანიძე 1942 წელს არჩეულ იქნა დოცენტად, ხოლო 1959 წელს — კათედრის გამგედ. 1962 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1964 წელს პროფესორად აირჩიეს. იგი დღემდე ამ პოსტზეა და დიდი წვლილი შეაქვს სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში.

ვ. შანიძის კალმს ეკუთვნის ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი სასამართლო მედიცინის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე. ნაშრომთა უმეტესობა დასტამბულია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 5 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. ეს უკანასკნელი პირველი სახელმძღვანელოა სასამართლო მედიცინაში ქართულ ენაზე და ერთ-ერთი არც თუ მრავალრიცხოვან ორიგინალურ სახელმძღვანელოებს შორის საბჭოთა კავშირში. ვ. შანიძის ხელმძღვანელობით შეს-

ცნობილ ქართველ სასამართლო მედიცინის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ სიმონის ძე შანიძეს დაბადების 60 და საექიმო, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 38 წელი შეუსრულდა.

ვახტანგ სიმონის ძე შანიძე დაიბადა 1913 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. მარტოთუბანში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ჭიათურის ათწლიან საშუალო შრომის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1930 წელს. საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად ვ. შანიძე 1928-1930 წლებში მუშაობდა დაზვის მუშად ჭიათურის შავი ქვის ტრესტის გამამდიდრებელ ქარხანაში; 1930 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო პროფილაქტიკურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1935 წელს.

რულეზულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია.

მონოგრაფიებმა — „ცეცხლმსროლელ დაზიანებათა ექსპერტიზა“, „სასამართლო სამეანო-გინეკოლოგიური ექსპერტიზა“, „ახალშობილთა გვამების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა“ და სხვ. — მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ საკითხების თეორიული და პრაქტიკული მხარეების გაშუქება-დაკონკრეტების საქმეში.

ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის პარალელურად ვ. შანიძე ეწევა მნიშვნელოვან პრაქტიკულ საქმიანობას: 1936-1940 წ.წ. იგი თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების 1 ბავშვთა საავადმყოფოს პროზექტორია; 1937-1946 წ.წ. მუშაობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტად; 1952-1958 წ.წ. — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს განყოფილების გამგედ, ხოლო 1959 წლიდან იგი კვლავ ინიშნება მთავარ სპეციალისტად და დღემდე რესპუბლიკის მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტია. ვ. შანიძე, თავისი პრაქტიკული საქმიანობით, დიდ დახმარებას უწევს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებს სოციალისტური კანონიერების განხორციელების საქმეში და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების განმტკიცება-გაუმჯობესებაში.

1937-1939 წლებში ვ. შანიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საშუალო სამედიცინო პერსონალის სწავლების საქმეში, მუშაობდა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო შემდეგ კი — დირექტორად.

მრავალმხრივია ვ. შანიძის საზოგადოე-

ბრივი საქმიანობა. იგი წლებს მანძილზე საქართველოს სასამართლო მედიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი, ხოლო 1959 წლიდან ამ საზოგადოების თავმჯდომარეა. 1966 წლიდან საკავშირო ჟურნალის „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“ სარედაქციო საბჭოს წევრია, 1969 წელს კი არჩეულ იქნა სასამართლო მედიკოსთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრად. იგი აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე საქართველოს პათოლოგ-ანატომთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში, როგორც ამ საზოგადოების გამგეობის წევრი. არის შრომის წითელი დროშის ორდენისანი თბილისის სახელმწიფოს სამედიცინო ინსტიტუტის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს, საქართველოს სსრ შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, საქართველოს მედიცინის ისტორიის სამეცნიერო საზოგადოების წევრი. მისი ნაყოფიერი და პროდუქტიული სამეცნიერო მუშაობა იქნა მიღებული მხედველობაში, როცა საბჭოთა კავშირის დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიამ იგი სასამართლო მედიცინის განყოფილების რედაქტორად დაამტკიცა.

მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობასთან ერთად ვ. შანიძე შესანიშნავი მოქალაქეა და ვრთული ამხანაგი. ამ თვისებებმა მოუპოვა მას ღრმა პატივისცემა და სიყვარული თანამშრომლებს, მოწაფეებსა და ფართო საზოგადოებაში.

რ. გვეტაძე,

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი, ექიმთა დახელოვნების თბილისის ხახ. ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის და სასამართლო მედიცინის კათედრის დოცენტი



ღამოქდეს მახვილი*

პროფ. მ. კვიციანი

(ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი)

აქ მე ისევ შეგახსენებთ ჰაქსლის ლიტერატურულ პროდიას მომავლის საინკუბაციო ცენტრის შესახებ, სადაც სურვილისამებრ ამზადებდნენ ადამიანებს, და ისიც, ერთი სპერმიდან — ათეულ ათასამდე. წარმოგიდგენიათ, ერთი სპერმიდან — 90 ათასი და-ძმა! ნერწყვს ყლაპავდა, ალბათ, ჰიმური. მისი იდეალი იყო: სტანდარტული ადამიანები, სტანდარტული ხასიათით. დაამზადე, რამდენიც გინდა და... ჩვენს პლანეტას კი არა, მთელ სამყაროსს მოანაშენებ არიელი ფრიცებით.

ჰიმურის მარჯვენა ხელმა, კალტენბრუნერმა ვიწროდა, რომ მისი შვიგი ფანტაზიებს იყო აყოლილი და თვითონ უფრო რეალურ გეგმებს სახავდა. ეს მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც გერმანულ ქალებს, 35 წლის ასაკამდე თუ ოთხი შვილი არ ჰყავდათ, უნდა შეეგოსთ ეს დანაკლისი, იმის მიხედვით, ქმრიანები იყვნენ თუ უქმროები. გარდა ამისა, იმ ქალებს, რომელთაც ოთხი შვილი ჰყავდათ, თავიანთი ქმრები „უნდა გაენთავისუფლებინათ“ სხვა ქალებთან „ბავშვების საწარმოებლად“.

ასე აპირებდნენ ისინი არიელი ფრიცების მოშენებას. დანარჩენებს კი, ჰიტლერის რეკომენდების მიხედვით, თანდათან მოსპობდა ჰიმური, რომლის მიზნებაც იყო: სტერილიზებული ქალები, რომელნიც მასობრივად უნდა მოხსნებოდათ, საჭურისი ვაჭარები, რომელთაც წვერი არა აქვთ ყბებზე; არა-თავიანთი მეშვიდრებო... შვილები... შვილიშვილები...

ამრიგად, ერთი თაობა, მეორე... ჰა... თუნდაც მე-მესამე და, ჩვენს პლანეტაზე აღარ იქნებოდა სხვა ერები, გარდა გერმანელებისა... ან, თუ იქნებოდა, მხოლოდ იპსილონები, ანუ მონები მძიმე ფიზიკური შრომისათვის, რომლებიც ისევე გულგრილად მოაზრდებოდათ ამა ქვეყნის სიამეთ, როგორც საჭურისები ვნებით გახელებულ ოდალისკებს ჰარამხანებში...

ბიბლიოგრაფია

ქვემოთ იმის ექიმია, რომ ავადმყოფს კურნავს მანქანის მძღველი უმსუბუქებს. გერმანულმა ნაცისტ-მა ექიმებმა, პროფესორებმა და დოცენტებმა კი პირიქით, ავადმყოფთა მოსპობა აქციეს თავიანთ

პროფესიად. ჯერ სომ „სულით ავადმყოფებს“ დაერევენ და გაჟლიტეს, მერე იმითაც, ვინც „არასასურველად“ მიაჩნდათ. შეშლილიაო! — გამოაცხადებდნენ და სპობდნენ, როგორც „მუქთამჭამელებს“. ამისთვის ბორმანმა სპეციალური კატეხიზმი — „შენ უნდა მოკლა“ — შეთხზა, ქრისტიანული „არაკაც კლას“ მაგივრად.

— შენ უნდა მოკლა სუსტები, ავადმყოფები, მოხუცები, დავრღობილები, შრომის უნარმოკლებულები და არასასურველი პირები. შენ უნდა მოკლა მუქთამჭამელები“ — ეწერა ბორმანის „ათ ცნებაში“.


ეს საკითხი ნიურნბერგის პროცესზეც ამოტივტივდა. დარბაზში მოწმედ შემოიყვანეს იმპერიის კანცლარის უფროსი ლამერსი. კაიტელის დამცველმა ნელტენ ჰკითხა მას:

— იცით თუ არა თქვენ რამე ჰიტლერის განკარგულებაზე სულით ავადმყოფების უმტივირებლად დახტვის შესახებ?

— დიას, — უპასუხა ლამერსმა, — მოსამზადებელი სამუშაოები 1939 წლის შემოდგომაზე ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატსმდივანმა, იმპერიის ექიმთა ფიურერმა (Reichsartzt führer) დოქტორმა კონტიმ მიიღო დავალება — შეესწავლა ეს საკითხი. შემდეგ ჰიტლერმა დაგვაავალა, შეგვემუშავებინა სათანადო კანონი. პროექტი მე დავწერე, კონტმა კი ის რაიხსლაიტერ ბულეს წარუდგინა ჰიტლერისათვის გადასაცემად. ჰიტლერმა კანონს ხელი არ მოაწერა, მაგრამ ბულესა და ექიმ ბრანდტს დაავალა მისი შესრულება.

პროცესზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა ჰიტლერის სამსახურებრივ ბლანკზე დაწერილი განკარგულება ამის შესახებ. ბორმანმა ეს დოკუმენტი გააცნო გაულაიტერებს და დაავალა, თუ საჭირო იქნა, კრაიხლაიტერებსაც გააცანით. ჯერ ლაპარაკი იყო „სპროცენტინაი“ ავადმყოფებისათვის „სამოწყალო ტყვიის ბომბების შესახებ. სპეციალურად დგებოდა „ცხრელებისათვის გამოუსადეგარი“ პირების სიები. ამს ე. წ. „არასასურველი ელემენტებიც“ ემატებოდა და, რაკი საიდუმლო მითითება იყო, ისინი „გვიკებად გამოაცხადეთ და მოსპეთ“, ეუთანაზიის პრობლემა სულ სხვა ხასიათი მიიღო. ბორმანის დოკუმენტების მიხედვით, ეს ეხებოდა დაახლოებით 30 ათას კაცს. შემდეგ „საქმე“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ., № 3, გვ. 58-67; № 5, გვ. 68-71; № 6, გვ. 65-71; 1973 წ., № 1, გვ. 78-81.



გაფართოვდა და 100-120 ათასამდე ავიდა, ბოლოს კი, მგონი, ნახევარ მილიონსაც მიადწია...

ოპერაციის შესრულება დაიწყო 1940 წელს. საავადმყოფოებში დააგზავნეს სამედიცინო კომისიები, რომლებშიც სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ეს კომისიები ადგენდნენ იმ ავადმყოფების სიებებს, ვინც „სხვაგან უნდა გადაეყვანათ“. ნაწილი გზაში იხოცებოდა, დანარჩენებს დანიშნულების ადგილას სპობდნენ. თან ავალებდნენ, ტანისამოსი უკანვე გამოგზავნათ ნათესავებისათვის დასაბრუნებლად. ყოველივე ამის ზუსტი აღრიცხვა წარმოებდა. პროცესზე წაიკითხეს დოკუმენტი, რაც ადასტურებდა 370 ათასი კაცის „სხვაგან“ გაგზავნას, რაც მხოლოდ ნაწილი იყო ამ „დიდი ოპერაციისა“. ეს ჭირისუფლებმა გაიგეს, მოსახლეობის ფართო ფენებმაც. აქა-იქ პროტესტიც განაცხადეს, — ქრისტიანობის საწინააღმდეგო მოქმედებააო საქმეში ეკლესიაც ჩაერია. ლიმბურგის ეპისკოპოსმა მთავრობას მისწერა:

— აქ, ლიმბურგიდან 8 კილომეტრის დაშორებით, ჰადამარში ავტობუსებით მოჰყავთ ავადმყოფები. ამ ავტობუსებს მოწაფეები „სასიკვდილო ყუთებს“ უწოდებენ. ჰადამარის კრემატორიუმის საკვამლე მილი განუწყვეტლივ ბოლავს. ყველამ იცის, რაც იქ ხდება. ბავშვებიც კი აშინებენ ერთმანეთს, შენ უჭკუო ხარ, ამიტომ ჰადამარში გაგაგზავნიან და ღუმელში დაგვწყავენო. მოხუცები ღელავენ. შეშინებულნი ქალიშვილები ამბობენ, ბავშვებს არ გავაჩენთ...

აქ შეძრწუნებული ლოურენსი ჩაერია დაკითხვაში:

— გასცა ვინმემ პასუხი ამ წერილს? ამაზე ბრალდების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კემპერმა უპასუხა:

— პასუხის შესახებ არაფერი ვიცი, სამაგიეროდ, გვაქვს დოკუმენტი, რომელშიც წერია, „არ უპასუხოთ“.

— არ უპასუხოთ?! — აღელდა ლოურენსი.

— დიას, — მიუგო კემპერმა, — შემდეგ დრმად მოხუცებისა და ომის ინვალიდების დახოცვაც დაიწყეს. ამის შესახებ მრავალ წერილს იღებდა რაისკანცელარია. ეპისკოპოსმა გალენმაც დაწერა პროტესტი, მაგრამ არაფერი... ბოლოს, კარდინალიც ჩაერია საქმეში, თუმცა ესეც უშედეგო გამოდგა. პირქით, ოპერაცია გაფართოვდა და გაზრდილებიც აამუშავეს.

როცა პროცესზე ესესის საკითხი ირჩეოდა, დარბაზში მოწმედ შემოიყვანეს „ეუთანაზისის სპეციალისტი“ ექიმი ჰერმან ნიტშე, რომელმაც განაცხადა:

— ამისთვის მწვანეზოლიანი სპეციალური ავტობუსები გვყავდა. ავადმყოფები მოგვყავდა დანიშნულების ადგილას, გაგატარებდით გრძელ დერეფანს; თვითონ თუ არ შეეძლო, ტანისამოსს სხვა ხდიდა, შემდეგ ჩავყავდა სარდაფში, ვითომ აბაზანის მი-

საღებად. იქ სანიტრები მათ ესესელებს გადასცემდნენ, ისინი კი გაზრდილებში შერევავენ. ჩემი მონაწილეობით ასე 10-15 ათასი კაცი მოვსებუ, — დაასრულა ჩვენება „პატივცემულმა ექიმმა“.

„საქმეს რომ მორჩებოდნენ“ თან ასეთ სტიანდარტულ მოხსენებით ბარათებს უდგენდნენ უფროსებს:

— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 368 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 29 იანვარს.

ესესის შტურმბანფიურერი კირსტე ან კიდევ:

— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 243 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 14 აპრილს.

ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.

— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 98 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 22 ოქტომბერს.

ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.

თუ როგორ ხდებოდა ეს ერთდროული „გარდაცვალება“, ამის შესახებაც მრავალი დოკუმენტი წარადგინეს პროცესზე:

14 ოქტომბერს, 1941 წელს, ესესელები გარნიზონის გერმანელი ექიმის მეთაურობით, შეეცოდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გამოიყვანეს. 300 ავადმყოფი და იქვე ხევში ჩახოცეს...

ვინ გაიგებს, ვიფიქროს ის ავადმყოფები იყვნენ, თუ ეს „სრულიად ნორმალური“ ეპსელები!..

პროცესზე წარადგინეს საბჭოთა ექიმების წერილობითი ჩვენება, რომელშიც ეწერა:

— საავადმყოფოში მოვიდნენ გესტაპოელები და ყველგან ყარაულები დააყენეს. შენობიდან გასვლა ან შემოსვლა სასტიკად აკრძალეს. გესტაპოელთა უფროსმა მოითხოვა, გადაეჩრიათ „ქრთნიკულად დაავადებულნი“ ავადმყოფები. შეამდგ მოიყვანეს მანქანები, შეყარეს 60-70 კაცი, დაიყვანეს იქვე ახლო ხევში, დახოცეს და იქვე მობრუნდნენ ახალი კონტინენტის წასაყვანად.

ბევრი ავადმყოფი მიხვდა, რაც მოელოდა. ერთი ასალგაზრდა გოგონა გამოყარდა პალატადან, მივიდა ექიმთან, ხელი მოხვია ნხრებზე და ჩუმად ჰკითხა: ეს დასასრულია? მერე ხმა არ გაუღია, ისე მილასლასდა მანქანასთან, უარი თქვა ხელის შემწვრლებასზე და მშვიდად შევიდა ძარბაში. 800 კაცი მოკლეს ასე და არც ერთს ხმა არ ამოუღია. ეს იყო სწორედ ქრისტეს შობის დღეს, როცა გერმანელ ჯარისკაცებს ნადის ხეები დაურიგეს, ხოლო გესტაპოელებს, ავადმყოფების დასჯრეტის წინ, სამკლავებში გაუკეთეს წარწერით: „ღმერთი ჩვენთანაა“.

პიტხმა: რატომ ხოცავდით ავადმყოფებს? პასუხი: რა ვიცი, ასეთი იყო ბრძანება...

პიტხმა: ვინ გიბრძანათ?

პასუხი: ჩვენმა ოცეულის მეთაურმა.



პიტხვა: ამას ვინ უბრძანა, თუ იცით?

პასუხი: არა, ეს მე არ ვიცი...

პიტხვა: არ გებრალეობდათ ავადმყოფები?..

პასუხი: რატომ?! ისინი ხომ მაინც უნდა მომდარიყვნენ...

პიტხვა: ერთ დროს ყველა მოვეკვებით, მაგრამ ბოლო უნდა დაგვხვრიტონ?

პასუხი: ჩვენ ხომ ვმუშაობთ. ეს იმათ ხვრეტდეს, ვისაც მუშაობა არ შეეძლო...

პიტხვა: რატომ მაინცდამაინც შობის დამესიდიანეთ ეს?

პასუხი: ჩვენმა უფროსმა თქვა: მათი სული ქრისტე ღმერთს უნდა მივართვად საჩუქრადო.

პიტხვა: ეს სამკლავებში ვინ გაგიკეთათ?

პასუხი: უფროსმა.

პიტხვა: რატომ?

პასუხი: ერთმა ჩვენმა ამხანაგმა თქვა, ნუ ვიზამთ მას, თორემ ღმერთი გეოწყენსო. ის ლაჩარი დასახეს, ჩვენ კი გასამხნეველად სამკლავებში გავიკეთეს წარწერით: „ღმერთი ჩვენთანაა!“

პიტხვა: დარწმუნებული იყავით ამაში, რომ ეს ართლაც ასეა?

პასუხი: რა თქმა უნდა, რაკი უფროსმა ასე ქვა...

სტალინმა დამხრებტილი...

ფრანგმა ბრალმდებელმა დიუბოსტმა მოახსენა რიბუნალს მძევლების დახვრეტის ამბავი. ჰააგის ნენეცია საერთოდ კრძალავს მძევლების აყვანასა და მათ რეპრესიას. გერმანელები კი ფართოდ იყენებდნენ ამ „აკრძალულ ილეთს“.

დიუბოსტი ამბობდა:

— მართალია, ომი ომია და მძევლებს მაშინ ხვრედენ, როცა თვით გერმანელების მიმართ იყო რამე ქეთა ჩადენილი, მაგრამ... აქ დიუბოსტმა გაიხსენა ბტლერის მიერ ჯერ კიდევ 1927 წლის 16 მაისს წარმოთქმული სიტყვა:

— გერმანიას აქვს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რათა თავიდან აიცილოს ბლოკადა. ეს შესაძლებლობაა იმ სახელმწიფოს მოსპობა, რომელიც, თავისი ბუნებით, ყოველთვის გერმანიის მოსისხლე მტერი იქნება. ეს არის — საფრანგეთი!

ამაზე დიუბოსტმა თქვა:

— როცა ხალხი ხედავს, რომ მის არსებობას ემუქრება ვინმე, მაშინ მას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: თვითონ მოსპოს თავისი მტერი.

ამის შემდეგ დიუბოსტმა ილაპარაკა დაპყრობილი ხალხების გაჟლეტის შესახებ, რათა მომავალში 25 მილიონი გერმანელისათვის უზრუნველყოთ „სასიცოცხლო სივრცე“ ევროპაში.

— გაჟლეტის გეგმა წინასწარ მოფიქრებული და განკარგებული იყო, — თქვა მან. იგი ეყრდნობოდა ტერორს. მძევლების დახვრეტის შესახებ წითელ

და შავარშიაშემოვლებულ აფიშებს აკრავდნენ ქუჩებში. მთელი საფრანგეთი, პარიზიდან დაწყებული უმცირეს სოფლამდე, მოფენილი იყო ამგვარი აფიშებით. ამას გერმანელი არმიის უმაღლესი სარდლობა ხელმძღვანელობდა. კაიტელმა თვითნებურად გააუქმა ჰააგის კონვენცია და ბრძანა: მძევლების აყვანა გამართლებულია. იგი ინსტრუქციას ინსტრუქციასე გზავნიდა არმიებში ამის შესახებ. ამას მოჰყვა მძევლების მასობრივი დახვრეტა დროებით ოკუპირებულ ყველა ქვეყანაში...

ამ შემზარავი ბოროტების კვალი კაიტელისკენ მიდიოდა. მართალია, განკარგულებებს იგი ფიურერის სახელით აწერდა ხელს, მაგრამ თვითონაც დაქინებით მოითხოვდა ამას. ადგილობრივი სარდლებიც იძლეოდნენ განკარგულებებს მძევლების დახვრეტის შესახებ, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ იწონებდა ამგვარ ღონისძიებას. ასე, მაგალითად, გენერალი ფალკენჰაუზენი საიდუმლო წერილში აცხადებდა:

— მძევლების დახვრეტა არ აღწევს დასახულ მიზანს, პირიქით, აღაშფოთებს მოსახლეობას და ხელს უწყობს კომუნისტურ პროპაგანდას. ეს სახიფათოა სამხედრო თვალსაზრისით.

ეს გაფრთხილება არავინ არ მიიღო მხედველობაში, პირიქით, ტერორი უფრო გააძლიერეს.

რას არ მოიგონებს ბოროტებაში ჩაფლული ადამიანების გარყვნილი გონება! გერმანელებს ჰყავდათ ე. წ. „ფიზიონისტიების ბრიგადები“, რომელნიც „ერთი შეხედვითაც ცნობდნენ“, ვინ რას წარმოადგენდა. ამ ბრიგადის შეიარაღებული წევრები დაძრწოდნენ ქუჩებში, პარკებში, რკინიგზის სადგურებზე, უტიფრად აჩვრდებოდნენ სახეში გამგულელ-გამომგელთ და, ვინც „თვალში არ მოუვიდოდათ“, სტაცებდნენ ხელს, რათა გესტაპოს ჯურღმულეებში მოეღოთ მათთვის ბოლო. დიუბოსტმა ჩამოთვალა, თუ ვის იყვანდნენ გერმანელები მძევლებად. გაკლენიან და სახელოვან პირებსო, — თქვა მან. აქ ლოურენსმა ჰკითხა:

— ხომ არ გვეტყოდით რამდენიმე მათგანის გვარს?

— სიამოვნებით, მილორდ, — მიუგო დიუბოსტმა და რამდენიმე ჰოლანდიელი დასახელა: როო-ვილენი — გენერალური დირექტორი; გრაფი ლიმბურგ-შტირუმი, ვალდუ რობერტი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბართონ ა. მიმელპენიკი და სხვ.

შემდეგ მან წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მარტო საფრანგეთში მოკლეს 29.650 მძევალი... სხვაგან? საერთოდ? განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში?

ტრიბუნალი კი ამდენ დროს ხარჯავს, რათა ბრალდებულებს დაუმტკიცოს, უდანაშაულო ადამიანებს ხოცავდითო. აბა, იმ მძევლებს რა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი! სადღაც, ვიდაცამ გერმანელი ჯარისკაცი მოკლაო, სტაცებდნენ ხელს და კედელთან დაყენებდნენ... ვიდრე დახვრეტდნენ, ყოველგვარი უფლება აყრილი ჰქონდათ: ნათესავების ნახვა, წერილების მიწერა, ან სხვა რამე. მათი საკნების კარებზე

დამახასიათებელი წარწერა იყო: „ყველაფერი აკრძალულია“.

ზოგჯერ მთელი ოჯახი ჰყავდათ მძევლებად აყვანილი, — დიდპატარიანად. თუ ორსული ქალები შეხვდებოდათ — უხაროდათ, ეს „ორმაგი სიკვდილიაო“. ერთი გესტაპოელი ჯალათი მაინცდამაინც იმას ცდილობდა, ტყვია სხეულის სწორედ იმ ნაწილში მიერტყა, სადაც, მისი ანგარიშით, ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი იყო, მერე მუცელს უფატრავდა და ამოწმებდა, ნიშანში მოგარტყი თუ არაო. თან ანგარიშს უწერდა უფროსებს — ესა და ეს მძევლები დაეზვიერებოთ. ამისათვის წინასწარ ანკეტას ავსებდა:

— თქვენი სახელი და გვარი? შეეკითხა იგი ორსულ მძევალს, რომელიც სრულიად შიშველი იდგა მის წინაშე.

— ჟანეტა მარესიე, — მიუგო ქალმა.

— თქვენი შვილის სახელი?

ქალი გაოგნებული მიაჩერდა მას. მათრახის დარტყმა და კითხვის განმეორება:

— თქვენი შვილის სახელი? — ქალი ისევ დუმს, აბა, ჯერაც დაუბადებელ ბავშვს რა სახელი უნდა ჰქონდეს! ის ჯალათი კი არ ცხრება; მათრახს ურტყამს შიშველ ქალს და უყვირის, გინდა თუ არა, მითხარი შვილის სახელიო. ბოლოს, როგორც იქნა, „გამოტყესა“ და...

— შარლ, — ამოიგმინა ქალმა.

ის ორსული ქალი დახვრიტეს. გესტაპოელმა კი მოხსენებით ბარათში ჩაწერა:

— დახვრიტილია მძევალი ჟანეტა მარესიე და მისი ვაჟი შარლი...

ესთეტიკური წამება...

დიუბოსტმა ნერვები დააწყვიტა ხალხს, როცა ყვებოდა, თუ წამების რა მეთოდებს მიმართავდნენ გესტაპოელები საფრანგეთში, განსაკუთრებით ე. წ. „ესთეტიკურ წამებაზე“ შეჩერდა: ძალიან ლამაზ ქალიშვილებს ერთად შეყრიდნენ, გააშიშვლებდნენ და სხეულის სწორედ იმ ნაწილს უსახიჩრებდნენ, რასაც ყველაზე მოშხიბვლელად მიიჩნევდნენ. მერე ერთი „ნაწილიდან“ მფორზე გადადიოდნენ და ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე იმ სილამაზიდან მხოლოდ სიმახინჯე არ დარჩებოდა...

მე არ ვციც, რა პათოლოგიური ჟინია ეს: სილამაზის დამახინჯების ჟინი. ერთხელ ლიზის რომ ვკითხე ამის შესახებ, ეს ჩვენი ეპოქის სულსიკვეთებააო, — თქვა მან. მე რომ გაკვირვებული სახე მივიღე, ვითომ განმმარტა:

— ამ ჯალათებს რას ერჩით, ვერა ხედავთ, მთელი თანამედროვე ხელოვნება სამყაროს როგორ დასახიჩრებულად წარმოგვიდგენს? ეს იმიტომ, რომ სიმახინჯე უფრო გამოხატავს დღევანდელ სულსიკვეთებას,

ვიდრე სილამაზე. ეს ბუნებრივიცაა. როცა ასეთ საშიშვლებებს ხედავთ და ისმენთ, განა არ გუგუხერხულებათ სილამაზეზე ფიქრი?

გუნებაში კი გავიფიქრე, იქნებ ლიზიც ამიტომ იღებს ასე ხშირად უსირცხვილო პოზებს-მეთუი, მაგრამ ამის თქმას როგორ გავებღავდი...

...ის დიუბოსტი კი ისევ „ნერვებს გვიხერხავდა“, თან ეს გოლიათური აღნაგობის კაცი ისე წვრილი ხმით წრიპინებდა, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა. ბევრი არც უსმენდა. დარბაზი სანახევროდ დაცარიელდა. ის კი მაინც არ მოეშვა ამ ბავშვებისა და ქალების სიკვდილით დასჯას, არა მარტო საფრანგეთში, არამედ ბელგიაში, პოლანდიაში, ნორვეგიაში და სხვაგან. დახვრეტას რომ მორჩა, ჩამოხრჩობაზე გადავიდა, მერე გილიოტინით ან, უბრალოდ, ნაჯახით თავის მოკვითაზე. ბოლოს ამასაც დაანება თავი და ინლაპარაკა, თუ როგორ გადაჰყავდათ პატიმრები სხვა ქვეყნებიდან პოლონეთის სიკვდილის ბანაკებში. დიდი ნაწილი გზაში ისტყებოდა, ზოგი ჭკუაზე იშლებოდა. ასე წაიყვანეს ასეულ ათასობით კაცი, მათ შორის ცნობილი პიროვნებანი. დიუბოსტმა ჩამოთვალა: პრეფექტები, გენერლები, მეცნიერები, პროფესორები, გამოჩენილი ინჟინრები, მარკიზები, ბარონები, ვინ იცის, ვინ სად მოკლეს, ვინ სად მოკვდა, მამა — დანაშაუმი, ცოლი — რავენსბრუკში, შვილი — ოსვენციმში.

— ასე გარეკეს საფრანგეთიდან 250 ათასი კაცი, პოლანდიიდან — 110 ათასი, ბელგიაიდან — 250 ათასი, ლუქსემბურგიდან — 7 ათასი... მათი მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა უკან. დიუბოსტი ყველაფერს დოკუმენტებით ამტკიცებს, აჩვენებს, თუ როგორ ერეკებიან ხალხს ბანაკებში. ახასიათებს ამ ბანაკებს. განმარტავს, რას ნიშნავს „სიკვდილის ბანაკი“. აქ ყველას ზოცავდნენო, ამბობს იგი. არსებობდა ისეთი ბანაკები, სადაც „იავ მუშა ხელს“ ათავსებდნენ. დასჭირდებოდა ზაუკვლს მონები და, იგზავნებოდა დეპეშები: ამა და ამ საკონცენტრაციო ბანაკს, გამოგზავნეთ ამდენი და ამდენი მუშახელიო. გზავნიდნენ. გარდა ამისა, პირდაპირ ქუჩებში სტაცებდნენ ხალხს ხელს და გერმანიისკენ მიერეკებოდნენ. რატომ? რისთვის? რა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი? არავითარი! არც რამე იურდიული საფუძველი არსებობდა ამისი. სამაგიეროდ, იაფი ან სრულიად უფასო მუშახელი მიუღიოდა ზაუკვლს. ის კი უმთავრესად სამხედრო ქარხნებს უნაწილებდა მათ: განა მარტო ზაუკელი სჩადიოდა ამას, გერინგი წერდა ჰიმლერს:

— ძვირფასო ჰიმლერ! გთხოვ, საავიაციო მრეწველობისათვის ჩემს განკარგულებაში გამომიგზავნო პატიმრების საჭირო რაოდენობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მათი გამოყენება მიწისქვეშა სამუშაოებზე მეტად სასარგებლოა...



ქიზიყა და ზიპოიოუნა

მონოგრაფია საპარტიო მუშაობის ისტორიაზე*

პროკოფი ხეიჩის მონოგრაფიაში განხილულია სოციალიზმის მშენებლობის პერიოდის საბჭოთა საქართველოს მილიციის ისტორია, აჩვენებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა საბჭოთა მილიციის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის.

მონოგრაფია დაყოფილია სამ თავად, აქვს ინასიტყვაობა და შესავალი. დამატების სახით ნაშრომს ერთვის საინტერესო დოკუმენტები და მასალები, რომელთა მოცულობა 80 გვერდზე მეტია.

შესავალში ლაპარაკია საკითხის ისტორიაზე, თემის აქტუალობასა და მიზანზე, მიმოხილულია ქრეცილი ლიტერატურა.

ნაშრომის პირველი თავი — „საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925 წ.წ.)“, რომელიც ოთხ პარაგრაფად დაყოფილი, ეხება საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის შექმნისა და განმტკიცების ისტორიის საკითხებს. ავტორი დაწვრილებით განიხილავს პარტიულ-პოლიტიკურ და მასობრივ-აღმზრდელობით მუშაობას მილიციაში, საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის ბრძოლას ბანდიტიზმის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკაში რევოლუციური წესრიგის განმტკიცებისათვის.

„საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში (1926—1932 წ.წ.)“—ასეა ფორმირებული მეორე თავი, რომელიც ასევე ოთხი პარაგრაფისაგან შედგება. ნაშრომის ამ ნაწილში დახასიათებულია საქართველოს კომპარტიის ღონისძიებანი მუშურ-გლეხური მილიციის და საზოგადოების კავშირის განმტკიცებისათვის, მილიციის ორგანოების ბრძოლა დანაშაულის აღკვეთა-აცილებისათვის, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის.

ნაშრომის მესამე თავში — „საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში (1933—1937 წ.წ.)“, გადმოცემულია საქართველოს მილიციის ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთ-

რების დაცვისა და განმტკიცებისათვის. აქვე ავტორი ჩერდება ერთიანი საპასპორტო სისტემის შექმნის საქმეში მილიციის ორგანოების როლზე.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი დებულებები. ნაშრომის ასეთი არქიტექტონიკა უთუოდ მოსაწონია.

სარეცენზო ნაშრომის ავტორს შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია ნაშრომის შესაქმნელად. სიძნელები უთუოდ იყო. საქართველოში საერთოდ ეს პერიოდი მონოგრაფიულად არაა შესაწვლილი. ამას ემატებოდა ისიც, რომ ამ თემაზე მონოგრაფიული ნაშრომი არ არსებობდა. ავტორს მოუხდა გაუკვალავი გზით სიარული. სარეცენზო ნაშრომი პირველი ცდაა მონოგრაფიულად გააშუქოს საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა მუშურ-გლეხური მილიციის შექმნისათვის. ავტორს თემა დაუძლევია. ნაშრომში მოტანილი და გაანალიზებულია დიდძალი საინტერესო საარქივო მასალა, წყაროები, ლიტერატურა და სხვა დოკუმენტები. ზოგიერთი პირველად შემოდის მეცნიერულ ბრუნვაში. თემა განხილულია მომიჯნავე პრობლემებთან კავშირში, საქართველოს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საერთო ფონზე.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული საქართველოს კომუნისტური პარტიის ღონისძიებანი მუშურ-გლეხური მილიციის განმტკიცებისათვის, მილიციის ორგანოებში პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი საქმიანობის გაძლიერებისათვის. განსაკუთრებით დიდი როლი მილიციის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებაში შეასრულა მის რიგებში სამუშაოდ კომუნისტების, კომკავშირელებისა და მოწინავე საბჭოთა მუშაკების მობილიზაცია.

ნაშრომში პირველად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი მუშურ-გლეხური მილიციის დამხმარე ბრიგადების საქმიანობა, მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა მილიციის მუშაობაში, გახეი თითელი მილიციელის“ როლი მუშურ-გლეხური მილიციის განმტკიცების საქმეში.

* პროკოფი ხეიჩი. საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1971, გვ. 360, რედაქტორი ვ. გეგელი.

ამასთან გვინდა გამოვთქვათ ჩვენი შენიშვნები და სურვილები.

კარგი იქნებოდა ავტორს ცალკე პერიოდების მიხედვით მოეცა საქართველოს მუსორგლესური მილიციის კლასობრივი შემადგენლობის მაჩვენებლები. მაშინ, როდესაც ზოგჯერ წიგნი ვადატვირთულია ისეთი ფაქტიური მასალებით, რომელთა მოტანა აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ნაშრომის მესამე თავის მესამე პარაგრაფში — („საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ღონისძიებანი ავტორტრანსპორტისა და ფეხით მოსი-

რულეთა მოძრაობის მაღალი კულტურისთვის“) საკითხები ზერელედ არის განხილული, ვინაიდან საკვლევი პერიოდის მასშტაბი 1921—1937 წწ. მეტად დიდია.

ყოველივე ეს ჩრდილს არ აყენებს ნაშრომს იგი გამართული ქართული ენით, არის დაწერილი და კარგად იკითხება.

სარეცენზიო მონოგრაფია ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო შენაძენია.

დოც. ბ. გამსახურდია

ბნობა მკეა

სამართლებს სსრ ადვოკატთა მისამე კონფერენცია

მიმდინარე წლის 17 მარტს თბილისის ტექნიკის სასლში გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა მისამე კონფერენცია.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. თოფურიძე**.

ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, აღნიშნა მომხსენებელმა, აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად საბჭოთა ადვოკატურას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგია თავის რიგებში აერთიანებს 634 ადვოკატს, აქედან 335 სკვპ წევრია, რაც კიდევ უფრო ზრდის და ამადლებს მის ავტორიტეტს.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებს ადვოკატის როლს კანონიერების განმტკიცების საქმეში. ამის შედეგია, რომ 14 ადვოკატს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება. ესენი არიან: მიხეილ ახუბა, მიხეილ ალხაზიშვილი, ბიძინა ბარათაშვილი, გრიგოლ ქლენტი, სერგო სიხარულიძე, გურამ უგრეხელიძე, მეღვისიძე ცეკეტარია, ნიკოლოზ გიგინეიშვილი, გიორგი თარხნიშვილი და სხვ.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი სისტემატურად ამოწმებს ადვოკატთა მუშაობის ხარისხს, ზრუნავს მათს პროფესიულ დაოსტატებაზე. ამ მიზნით ადგილებზე შექმნილია მუდმივმოქმედი იურიდიული სემინარები.

იურიდიული სემინარები კარგად მუშაობენ თბილისის პირველი მაისის რაიონში (ხელმძღვანელი კონსულტაციის გამგე ჭ. შარეიძე), ქუთაისში (ხელმძღვანელი ვ. ტყეშელაშვილი), თბილისის კალინანის რაიონში (ხელმძღვანელი გრ. სიხარულიძე). ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე გიაიურის, ტყებულის, ხაშურის, რუსთავის, მაზარაძის, ცხაკაის იურიდიულ კონსულტაციებთან ორგანიზებული სემინარები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში ადვოკატთა მონაწილეობას. აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ადვოკატთა კოლეგიას დავალებული აქვს ფართო მასებში სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერება, რაც პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთ წინა-

პირობად არის აღიარებული. ამ დარგში რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობა მოწონებას იმსახურებს. საანგარიშო პერიოდში საწარმოებში, დაწესებულებებსა და სოფლის მოსახლეობაში სამართლებრივ თემაზე წაკითხულია 8.811 ლექცია-მოხსენება, რომლებსაც დაესწრო 302.780 კაცი. მოეწყო 1000-ზე მეტი კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც დაესწრო 14.000 კაცი. საღამოებზე დამსწრე საზოგადოებას განმარტება მიეცათ შრომის, საბინაო, საოჯახო კანონმდებლობასა და მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

იურიდიული ცოდნის პროპაგანდაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მშრომელთა რეპუტაციების საქალაქო და რაიონულ საბჭოს აღმასკომებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საკონსულტაციო პუნქტები. აქ თავში ორჯერ მორიგეობენ კვალიფიციური ადვოკატები, რომლებიც მოქალაქეებს უწყვეტ იურიდიულ კონსულტაციებს მათთვის საინტერესო თემებზე. ასეთი პუნქტები შექმნილია სახალხო მეურნეობის 48 მსხვილ საწარმოში.

მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ცხინვალის, ყვარლის, გეგეჭკორის, ბოლნისის რაიონებს იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები ამ მხრივ ჯერ ნაყოფიერად ვერ მუშაობენ. ნაკლოვანებებია აგრეთვე დუშეთის, ქარელის, ჯავისა და ზოგიერთ სხვა რაიონებშიც.

ადვოკატები დიდ მუშაობას ეწევიან სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. 1972 წელს სასამართლოში 110 შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321 მუხლის საფუძველზე კერძო განჩინების გამოსატანად.

ჩვენი ადვოკატების მაღალპროფესიონალიზმის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ადვოკატები: ბიძინა ბარათაშვილი, გურამ უგრეხელიძე, ალექსანდრე საგანაშვილი, შალვა ლეკვეიშვილი, ირაკლი რაზმაძე, ვახტანგ სიღამონიძე, შალვა გვათუა, ნიკოლოზ გიგინეიშვილი, ალექსანდრე ხოქოლავა, შალვა ტყაყაძე, ალექსანდრე ლომინაძე, იროდიონ ხარჩილავა, ისაკ პერტია, ვალერიან კილაძე და სხვები.

დანაშაულობათა აცილებისა და პროფილაქტიკურ დონისძიებების განხორციელების საქმე-



ში ჯერ კიდევ არადაამყაყოფილებელი მიჩვენებლები აქეთ თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ახალციხის, წყალტუბოს და ზოგიერთი სხვა რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატება.

კონსულტაციის გამგეები და ადვოკატები საქმარისად ოციან დანაშაულთა აცილებისა და პროფილაქტიკის საქმეში შემოთფარგლონ მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე ლექცია-მოხსენებების ჩატარებით და საკონსულტაციო მუშაობით, ამასთან უკულებელყოფენ პროფილაქტიკის ისეთ ფორმას, როგორც არის წინასწარ გამოძიებაში და სასამართლოში საქმეზე მონაწილეობის დროს საჭიროების მიხედვით შუამდგომლობის აღძვრა კერძო განჩინებათა გამოსატანად.

თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიაროთ, რომ პრეზიდიუმს, აგრეთვე იურიდიული კონსულტაციის დამგეებს, ძალზე ცოტა ინფორმაცია აქვთ წარდგენილი სათანადო ორგანოებში კანონიერების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

ადვოკატების გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ამხანაგურ სასამართლოებში. ვასული წლის პირველი ივლისის მდგომარეობით სახლმმართველობებთან არსებული ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებად არჩეული იყო 40-ზე მეტი ადვოკატი, ხოლო საქალაქო და რაიონული საბჭოების ამხანაგური სასამართლოების შემადგენლობაში — 59. რაისაბჭოს აღმასკომის დავალებით ადვოკატები სისტემატურად ამოწმებენ საჩივრებს ამხანაგური სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით და აქლევენ დასკვნას მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერების შესახებ, აგრეთვე იღებენ ზომებს ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. არასრული ცნობით უკანასკნელი ერთ წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 300-ზე მეტ ამხანაგურ სასამართლოს.

არასაკმარის დახმარებას უწევენ ამხანაგურ სასამართლოებს გურჯაანის, სიღნაღის, ახალციხის, სეგურეთის და ზოგიერთი სხვა რაიონის იურიდიული კონსულტაციები ადვოკატები.

თბილისის კონსულტაციებში მოქალაქეებისათვის იურიდიული დახმარების გაწევისა და რჩევა-დარიგების სარეგისტრაციო ყურნალების შემოწმებით გამოირკვა, რომ მათი გავრამება დამაკმაყოფილებელია. ამავე დროს ზოგიერთი ადვოკატი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკონსულტაციო საქმიანობას, არ ავსებს სარეგისტრაციო ყურნალოში გათვალისწინებულ ყველა პუნქტს, ჩანაწერები გაუყვება.

ასე მაგალითად, ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის მორიგე ადვოკატმა, რომელმაც

თავისი გვარი ყურნალოში არ ჩაწერა, მოქალაქე ნ. გ-ს კითხვაზე — „დედამ მაჩუქა სახლო, შემძლია თუ არა ვაგვილო“ უპასუხა — „ჩუქების ხელშეკრულების თანახმად ნაჩუქარი სახლო ითვლება“ და ამ დაუმთავრებელი და უანბრო წინადადებით პასუხი ამოწურულად ჩათვალა.

ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის რჩევა-დარიგების ყურნალოში აღმოჩნდა ასეთი ჩანაწერები: „დაუწერე განცხადება დირექტორის სახელზე“, „დაუწერე ორი განცხადება“. ცხადია, ასეთი ჩანაწერები შეიძლება აიხსნას მხოლოდ ზოგიერთი ადვოკატის უპასუხისმგებლობით.

პრეზიდიუმმა განაზოგადა ხარისხი ადვოკატების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე შედგენილი ზედამხედველობის წესით იმ საჩივრებისა, რომელიც გაიგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და გენერალური პროკურორის სახელზე.

შემოწმებით გამოირკვა, რომ უმრავლეს შემთხვევებში ადვოკატები საჩივრებს ადგენენ საქმის მასალებზე დაყრდნობით და კანონის ორმა ცოდნით. მაგრამ ზოგიერთი ადვოკატი სრულ უპასუხისმგებლობასა და უტოდიანობას იჩენს აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად იურიდიულ კონსულტაციებს მიეცათ სათანადო მითითებანი.

ბევრი ადვოკატი კარგად ასრულებს კანონის მოთხოვნას და წინასწარ გამოძიებაში ჩაბმის სტადიიდან საჭირო დახმარებას უწევს საგამოძიებო ორგანოებს ტეშნარტების დადგენაში. უკანასკნელ წლოწინაწერების განმავლობაში წინასწარი გამოძიების დროს აღძრული 2 881 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილებულია 1 036 შუამდგომლობა ანუ 36 პროცენტი.

ასე მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატ რ. შარშიაშვილი წინასწარ გამოძიებაში იცავდა ბრალდებულ გ-ვას ინტერესებს, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ბრალდება საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მესამე ნაწილით.

ადვოკატმა საქმის მასალების გაცნობის შემდეგ დასაბუთებელი შუამდგომლობა აღძრა განმეორებით ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, რაც დაკმაყოფილებული იქნა საგამოძიებო ორგანოების მიერ.

განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გამოარკვა, რომ შექმნილ გარემოებათა გათვალისწინებით ბრალდებულს არ შეეძლო დამდგარი შედეგის თავიდან აცილება. ამის გამო მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა.

ყვარლის რაიონის იურიდიული კონსულტა-

ციის ადვოკატი შ. გიომელი წინასწარი გამოთქმების დროს იცავდა ვ. მ-ძის ინტერესებს, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ბრალდება საქართველოს სსრ სსკ 190 მუხლის მეორე ნაწილით.

ადვოკატი გაეცნო რა საქმის მასალებს, შეამდგომლობა აღძრა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ.

გამომჩიებელმა არ გაიზიარა ადვოკატის ეს მოთხოვნა და საქმე განსახილველად გადასცა სახ.სასამართლოს, სადაც ადვოკატმა მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

სასამართლომ დააბრუნა საქმე ხელახალი გამოძიებისათვის.

ხელახალი გამოძიების პროცესში პროკურატურამ ვ. მ-ძის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

მაგრამ ყველგან როდია დამყარებული სათანადო წესრიგი. ცალკეულ ადვოკატთა საქმიანობაში გვხვდება საადვოკატო ეთიკის დარღვევის შემთხვევები. ფულის გამოძალვისათვის კოლეგიის რიგებიდან გაირიცხა ქ. თბილისის პირველი მისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი გ. ცინცაძე, ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი იოსებ ნონიკაშვილი, ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ს. ვაგუა, კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვ. წერეთელი, რომლის მიმართ მასალები გამოძიების ჩასატარებლად გადაეცა პროკურატურას. გადაცდომისათვის დისციპლინური სასჯელი დაედო 50 ადვოკატს. ეს ფაქტები

იმაზე მოგვანიშნებენ, რომ შემდგომში მეტო დონისძიებათა გატარება დაგვირდება.

მოსხენების დასასრულს აშხ. მ. თოფურაძემ აღნიშნა, რომ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის დონის ამაღლება კვლავ უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად რჩება. თითოეულმა ადვოკატმა კარგად უნდა შეიგნოს ის დიდი მოვალეობა, რაც მას აკიარია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

მოსხენების განხილვაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ახუბა, აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ფაღავა, ქ. ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის გამგე კ. ბალანჩივაძე, ადვოკატები ნ. გიგინეიშვილი, შ. ლეკვეიშვილი ე. ხელაძე.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ გრ. ბიწაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. ლორიაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ვ. ლორიაშვილმა, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. მაისურაძემ.

სარევიზო კომისიის ანგარიში კონფერენციას წარუდგინა ადვოკატმა ა. მაკლობლიშვილმა, ფინანსური ანგარიში — გ. მირზელაშვილმა.

კონფერენციამ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია მ. თოფურაძე. თავმჯდომარის მოადგილეებად ნ. დავითაია და გ. როინიშვილი.



საქართველოს სსრ პრეზიუმის კოლეგიაზე

გაიმართა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა 1972 წელს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაობის შედეგები და დასახა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები, რაც გამომდინარეობს სსრ ცენტრალური კომიტეტის 1972 წ. დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებიდან და სსრ ცენტრალური მდივნის ახ. ლ. ი. ბრეჯნევის მოხსენებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთვის შესახებ“.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ე. ტაყიძე.

1972 წელს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა, — აღნიშნა მან, — განახორციელეს გარკვეული ღონისძიებანი დანაშაულობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად და ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. გაუქმებეს ანალიტიკური მუშაობა. სისტემატურად მოწმედობდა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში დანაშაულთან ბრძოლის მდგომარეობა. კოლეგიების სხდომებსა და ოპერატიულ თათბირებზე უფრო ხშირად იხილებოდა დამნაშავეობის პროფილაქტიკის საკითხები. გაიზარდა მოთხოვნა საგამოძიებო ორგანოების აპარატის მუშაობისადმი. კანონიერების ყველა დარღვევაზე ხორციელდებოდა სათანადო რეაგირება.

არის მიღწევები დამნაშავეობისა და სხვა სახის სამართალდარღვევებთან ბრძოლის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში. მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ, პროკურატურის საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებენ იმ ვაზრდელ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებიდან.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ბევრგან არ მცირდება სამართალდარღვევათა რიცხვი, არის მეჭრთამეობის, სახალხო დოვლათისა და სახელმწიფო საკუთრების გატაცების, სპეკულაციის, ხულიგნობის, ლოტობის და სხვა დანაშაულთა შემთხვევები, რაც ხალხს სამართლიანად აღაშფოთებს. ყველაფერ ამაზე ყურადღება გამახვილებული იყო საქართველოს კენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

აუცილებელია ძირფესვიანად გადავხედოთ ჩვენს საქმიანობას, კრიტიკულად შევაფასოთ

იგი, პრინციპულად ვამხილოთ ნაკლოვანებები და დავსახოთ ქმედითი გზები მათი ლიკვიდაციისათვის.

უკანასკნელ წლებში, — განაგრძობს მომსახურებელი, — მნიშვნელოვნად გააქტიურა მუშაობა რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილებამ. მიუხედავად ამისა, საქმიანობის საერთო დონე ამ ხაზით არ არის დამაკმაყოფილებელი და ბევრად ჩამორჩება წაყენებულ მოთხოვნებს.


საერთო ზედამხედველობა ხორციელდება უსისტემოდ, შემთხვევიდან შემთხვევამდე, ფორმალურად, რის გამოც დროულად არ ვლინდება სოციალისტური საკუთრების გატაცების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სახელმწიფო ანგარიშგებაში მიწერებისა და წამატებების, ასევე კანონის სხვა უხეში დარღვევის ფაქტები.

ამის ნათელი მაგალითია გარდაბნის რაიონში არსებული მდგომარეობა, სადაც მეურნეობის დირექტორები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები დაადგენ მოტყუებისა და თვალისახვევის გზას, წლების მანძილზე მიმართავენ სახელმწიფო გეგმის შესრულების ანგარიშგებაში წამატებათა მაყენე და მანკიერ პრაქტიკას. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე ქარელის რაიონის, (პროკურორი პ. ციციშვილი) წულუკიძის (პროკურორი გ. ზურცილავა) და სხვა რაიონების პროკურატურებში.

ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ მოიკოვლებს ამ დარგში რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა პერიფერიისადმი, საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორები ღრმად არ ანალიზებენ ზონაში არსებულ მდგომარეობას, არ უწევენ კონკრეტულ პრაქტიკულ დახმარებას ქალაქისა და რაიონის პროკურორებს.

საპროკურორო ზედამხედველობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შეუფასებლობა არ შეიძლება. აუცილებელია ყველა პროკურორი მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების საჩივრიო და სხვა მასალების საფუძველზე ღრმად ერკვეოდეს, თუ როგორ იცავენ ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში კანონებს, უზრუნველყოფდნენ მათს გეგმაზომიერ და განუხრელ შესრულებას.

ამაღლა საბჭოთა კანონების პრობაგანდის დონე და ხარისხი. გაიზარდა ლექცია-საუბრებისა და მოხსენებების რიცხვი. სალექციო პრობაგანდას მეტ ყურადღებას უთმობენ აჭარის ასსრ-ის, თბილისის, ქუთაისის, წითელი წყაროს, ლაგოდეხის, მახარაძის, თელავის, ზუგდიდის რაიონის პროკურატურის მუშაკები.



სამწუხაროდ ახალქალაქის, გორის, წალკის, ბოლნისის, საგარეჯოს, ლანჩხუთისა და ზოგიერთი სხვა რაიონების პროკურატურებმა შეასუსტეს სამართლებრივი პროპაგანდა. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რესპუბლიკის პროკურატურის ზოგიერთ ოპერატიულ განყოფილებაშიც.

კერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სამართლებრივი პროპაგანდა უპასუხებდეს ახდენის მოთხოვნებს.

ბევრი პროკურორი და გამომძიებელი მთელი მსუსხისმგებლობით ეკიდება დანაშაულის გახსნის საქმეს, დროულად ატარებს გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანამშემე ი. ხელაია, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები ო. კონსტანტინიძე, ა. ბალუაშვილი და სხვ.

მაგრამ ასე ბოლო ასრულებს ყველა თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საგამოძიებო მუშაობა რესპუბლიკაში. გაუარესდა დანაშაულის გახსნის მდგომარეობა. ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ქ. გორში, თბილისში, რუსთავში, ახალქალაქის, ხაშურის, ზუგდიდის, წულუკიძის რაიონებში. ბევრი პროკურორი ადგილზე სწორად არ გვემავს პირველად საგამოძიებო მოქმედებებს, იშვიათად გადიან შემთხვევის ადგილზე, სუსტად იყენებენ კრიმინალისტურ ტექნიკას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ ქ. თბილისის კალინინის, 26 კომისარის, ლენინის, ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონების პროკურორებს.

გაუარესდა დანაშაულის შესახებ მიღებული განცხადებებისა და შეტყობინებების განხილვის 10 დღიანი ვადა. ასეთი დარღვევები გვხვდება ჩოხატაურის, დმანისის რაიონების, ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილებებში.

დანაშაულის დამალვის ფაქტებს ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის ლენინის რაიონის და ორჯონიკიძის რაიონებში, ქ. გორში.

არადამაკმაყოფილებელია საგამოძიებო ვადების დაცვის მდგომარეობა, როგორც პროკურატურებში, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით.

არასაკმაო ყურადღება ექცევა რეაქციური საგადასრულო სწავლების ცხოვრებაში გატარებას. მორხუსტებს ზედამხედველობა მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი. 23 ქალაქისა და რაიონის პროკურორს არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებზე არცერთი ინფორმაცია არ შეუტანია პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სოციალისტური საკუთრების გატაცების წინა-

აღმდეგ ბრძოლას, გაფლანგვა-მტაცებლობის ხელშემწყობი პირობების გამოვლინებას.

შარშან რესპუბლიკის პროკურატურამ შეისწავლა და განაზოგადა ამ საქმეში საგამოძიებო საქმიანობის და საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობა.

ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში შემცირდა გაფლანგვა-მტაცებლობის გამოვლინების შემთხვევათა რაოდენობა (ქ. ქუთაისი, აბაშის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის და სხვა რაიონები) ეს იმით აიხსნება, რომ პროკურორები არასაკმაოდ ამოწმებენ სარევიზიო აპარატებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა განყოფილებების ეფექტურობას.

უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა მექრთამეობასთან.

ამასთან ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ მაშინ როცა ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში ბევრია მექრთამეობის გამოვლინების ფაქტი (აბაშის, ახალციხის, ზუგდიდის, თელავის რაიონები, აფხაზეთის ასსრ) სხვაგან ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მოისუსტებს, რის გამოც კლებულობს მექრთამეობის გამოვლინების შემთხვევათა რიცხვი (ქ. ქუთაისი, ბოლნისის, დუშეთის, მარნეულის, მახარაძის და წითელწყაროს რაიონები).

ფაქტები მოწმობს, რომ აქა-იქ პროკურატურის ორგანოებშიც შემორჩენილი არიან უპატიოსნო ადამიანები, მექრთამეები. საჭიროა მეტი პრინციპულობა გამოვიჩინოთ ჩვენი რიგების სიწმინდისათვის, დაუყოვნებლივ ვამხილოთ არაკეთილსინდისიერების გამოვლინების ყოველი შემთხვევა და ამით დავიცვათ და განვაძლიეროთ პროკურატურის ღირსება და ავტორიტეტი.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებულ საქმიანობაზე.

რესპუბლიკის პროკურატურამ შეისწავლა სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის; მომხმარებელთა მოტყუების, სპეკულაციის, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების დარღვევებზე საქმეთა სასამართლო განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა. შესწავლამ ცხადყო, რომ კვლავ მაღალია პროკურორის მონაწილეობის დონე I ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში. გაიზარდა გამსვლელი სესიით განხილულ საქმეთა რაოდენობა.

მაგრამ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. იშვიათი როლია შემთხვევა, როცა პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე სასამართ-



ლო დამანაშავეს აშკარა შეუსაბამო, ლმობიერ სასჯელს უფარდებს.

შარშან ზედამხედველობის წესით შეტანილი პროტესტის საფუძველზე ლმობიერების მოტივით გაუქმდა განაჩენი 43 საქმეზე, ხოლო უსაფუძვლოდ გამოართლების მოტივით — 21 საქმეზე. მათ შორის ქ. თბილისი, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის, მცხეთის, ცხაკაიას, მიაკოცკის, დუშეთის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოების განაჩენები

გაძლიერდა საპროკურორო ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დაეკმაყოფილებოდა, რადგან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არ არის აღმოფხვრილი რეჟიმის და კანონიერების დარღვევები, არის სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები.

რესპუბლიკის პროკურატურა მკაცრ რეაგირებას ახდენდა საჩივრებისა და ვანცხადებების გაქონაწერებასა და უხარისხო ვადაწყვეტილებების ფაქტებზე, რისთვისაც ცენტრალური აპარატის და პერიფერიების ბევრ პროკურორს დაედო დისციპლინარული სასჯელი.

მუშაობაში წარმატებები არსებითად არის დამოკიდებული კადრებზე, მათს პროფესიულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, საქმისადმი ერთგულებასა და კეთილსინდისიერებაზე.

ბევრჯერ თქმულა და ახლაც უნდა ითქვას,

* * *

1973 წლის 28 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის სხდომა. მოხსენებით „რესპუბლიკაში დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე **ო. ა. ჯიბლაძე**.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია დანაშაულთა რიცხვი, რაც იმის შედეგია, რომ ადმინისტრაციული ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი პირობების გამოვლინებას და მისი აღმოფხვრისათვის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარებას. პროკურატურის ორგანოებს ადგილებზე ჯერ კიდევ არა აქვთ მჭიდრო კავშირი ფართო საზოგადოებრიობასთან, ვერ რასმავენ და სათანადოდ ვერ აფასებენ მათს როლს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სუსტია კონტაქტი რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს ორ-

განაგრძობს სსრ პროკურატურის კოლექტივი ძირითადად ჯანსაღია, დაკომპლექტებულია გამოცდილი, უნარიანე სპეციალისტებით.

მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი მუშაკებიც, რომლებიც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ეგუებიან ნაკლოვანებებს, არ იჩენენ მომთხოვნელობას, ვერ უზრუნველყოფენ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პარტია და მთავრობა აყენებს პროკურატურის ორგანოების წინაშე; მოისუსტებს შრომის დისციპლინა, ბევრი პროკურორი დაგვიანებით ცხადდება სამსახურში, ადრე მიდის სამუშაოდან, სამუშაო საათებში არ მუშაობს მთელი დატვირთვით, უაზრო და უსაქმურ ლაპარაკში ატარებს სამუშაო დროის დიდ ნაწილს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ასსრ პროკურორი **მ. არაგუნი**, აჭარის ასსრ პროკურორი **დ. ბაჭელიძე**, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი **ზ. ბასიშვილი**, ქ. თბილისის პროკურორი **შ. ლეჟავა**, ქ. ქუთაისის პროკურორი **ა. უდენტი**, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი **ა. შუშანაშვილი**, ქ. გორის პროკურორი **ვ. ხირსელი** და სხვ.

კოლეგიამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

თ. ბაპრაძე

განოებთან. იშვიათად ტარდება ერთობლივი ღონისძიებანი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

არსებული მდგომარეობის მიზეზია გაუსწნელ საქმეთა დიდი რიცხვი, რის გამო ბევრი დანაშავე დაუსჯელი რჩება და კვლავ აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას.

დანაშაულის განხნის საქმეში დიდი ნაკლოვანებები აქვთ ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. გორის, ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, აბაშის, მარნეულის, ასპინძის, ახალქალაქის, ზუგდიდის, გუდაუთის და სხვა რაიონების პროკურატურებს. ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მოკვლევის ორგანოები არ ატარებენ სათანადო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს დანაშაულთა გამოძიებისა და დამანაშავეთა გამოვლინებისათვის, ხოლო პროკურატურის ორგანოები ქმედით საპროკურორო ზედამხედველობას არ უწყევენ მათს საქმიანობას.

დანაშაულის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ადგილებზე გამოვლინებულ დანაშაულებზე არ ხდება დროული და მკაცრი რეაგო-



რება, დაბალია საქმეთა გამოძიების ხარისხი. ზოგჯერ სრულად მარტივი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება და სასამართლო განხილვა თვეობით და ზოგჯერ წლობითაც ქიანურდება.

საგამოძიებო ვადას არ იცავენ ქ. თბილისის, ქ. ფოთის, ქ. ქუთაისის, აბაშის, წალკის, ახალქალაქის, ბოლნისის, მარნეულის, მცხეთის რაიონების პროკურატურებში.

რესპუბლიკაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატი ჯერ კიდევ სათანადო პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწყევს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურატურებს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში; აპარატის მუშაკები იშვიათად მიდიან ადგილებზე პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად, ხოლო ის დახმარება, რასაც ისინი უწყვენ, ნაკლებად ეფექტურია და ყოველთვის სასურველ შედეგებს არ იძლევა.

პროკურორები სისტემატურად არ უქეთებენ ანალიზს მომხდარ დანაშაულს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში არ შედიან სათანადო

წინადადებებით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმას, რის გამოც დიდია დანაშაულთა განმეორებით ჩადენის ფაქტები.

კოლეგიაზე მოხსენებით — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წ. 24 მაისის ბრძანებულების „გეგმის შესრულებაზე, მიწერებისა და ანგარიშგების სხვა დამახინჯების პასუხისმგებლობის შესახებ“ განხორციელებაზე საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანამემწე **მ. ქურდაძე**.

რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსმა **ნ. მიქაძემ** ილაპარაკა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის შედეგებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წ. 28 დეკემბრის ბრძანებულების „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ შესრულების ზედამხედველობაზე.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ-ის ორგანოების პროკურატურის მდგომარეობის შესახებ სასწავლო-მეთოდური სემინარი

სსრ კავშირის პროკურატურის ინიციატივით 1973 წლის 15-16 მარტს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ პროკურატურის მუშაკთა სასწავლო-მეთოდური სემინარი, რომელიც მიეძღვნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის საკითხებს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე **გ. ა. ოდნოლენტიკოვი**, ამავე განყოფილების პროკურორი **ვ. ა. კამინი**, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე **გ. ს. ბიწაძე**, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეები **ო. ა. ჯიბლაძე**, **ვ. ა. ედიშერაშვილი**, სომხეთის სსრ პროკურორის პირველი მოადგილე **ნ. ა. ტორონიანი**, აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედა-

მხედველობის განყოფილების უფროსი **გ. გ. მირზოევი** და სხვ.

სემინარის მონაწილეთა ყურადღება გამახვილდა პროკურატურის ორგანოების მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომ გაძლიერებაზე.

მოხსენება „შრომა-გამასწორებელი კანონმდებლობისა და წინასწარი პატიმრობის კანონის დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომი ამოღების ამოცანების შესახებ“ გააკეთა **ა. მ. გ. ა. ოდნოლენტიკოვმა**.

კანონიერების დაცვის შემოწმების მეთოდუ-კას მიუძღვნა თავისი გამოსვლა **ა. მ. ვ. ა. კამინმა**.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი **ნ. გ. მიქაძე**, აფხაზეთის სსრ პროკურატურის განყოფილების



უფროსი **გ. გ. მირზოევი**, სომხეთის სსრ პროკურორის უფროსი თანამემწე **ა. ლ. გრიგორიანი**, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანამემწე **ბ. ფ. თორია**, სომხეთის სსრ ქ. რაზდანის პროკურორი **ო. გ. ხაჩატურიანი**.

საგარეჯოს რაიონის პროკურორის **გ. მ. ბახატურიძის** გამოსვლის თემა იყო შრომით-სამ-

კურნალო პროფილაქტიკურებში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის ორგანიზაცია.

ვრცელი მოხსენებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მუშაობის ორგანიზაციის შესახებ გამოვიდა **ა. მ. ნ. მ. ტორომონიანი**.

სემინარის მუშაობა შეაჯამა **გ. ა. ოღნოლეთი**ცოცმა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე აკ. პაიჭაძე

14 მარტს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ გაფართოებულ სხდომაზე განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 23 იანვრის დადგენილება „სსრ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1972 წლის) პლენუმის შედეგების ორგანიზაციულ და პრობანდისტულ ღონისძიებათა შესახებ“ და რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების ამოცანები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ვ. შაისურაძემ**.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე **აკ. პაიჭაძე**.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, — აღნიშნა მომხსენებელმა, — სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ იუსტიციის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები. შეამოწმეს და კოლეგიის სხდომაზე განიხილეს თუ როგორ იბრძვიან სახალხო სასამართლოები დანაშაულის წინააღმდეგ. სამინისტრომ შეისწავლა და განაზოგადა სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების, სპეკულაციის, მექრთამეობის, ხელივნობის, სავაჭრო წესების დარღვევის და სხვ. პრაქტიკა.

მეტი ყურადღება ექცევა დანაშაულის პროფილაქტიკას. 1972 წელს, შარშანდელთან შედარებით, რესპუბლიკის სასამართლოებმა 30 პროცენტით მეტი კერძო განჩინება გამოიტანეს. უფრო ხშირად ეწყობა გამსვლელი სესიები, მკიდრო კონტაქტია დამყარებული საზოგადოებრიობასთან. იუსტიციის ორგანოების მუშაობა აქტიურად თანამშრომლობენ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. გაუმჯობესდა სასამართლებრივ თემებზე წაითხული ლექციებისა და მოხსენებების ხარისხი. ქალაქებსა და რაიონებში ტარდება დეკადები საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სასამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მიზნობრივი შეხვედრები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობისა ფაბრი-

კა-ქარხნის მუშა-მოსამსახურებთან, სოფლის მშრომლებთან, სტუდენტებთან.

გაუმჯობესდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინების სტაბილობის მაჩვენებლები. უფრო ნაკლებად გვხვდება სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განჩინება შეცვლისა და გაუქმების ფაქტები.

მაგრამ ჩვენს საქმიანობაში ყველაფერი რიგზე არ არის. შეიმჩნევა ბევრი ნაკლი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სასამართლდარღვევის თავიდან აცილების ორგანიზაციაში.

ბევრი სასამართლოს საქმიანობის შემოწმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასჯითი პრაქტიკა არ არის დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით კი ისეთი საშიში დანაშაულის — სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების მიმართ. ზოგიერთი სახალხო სასამართლო ჯერ კიდევ არ მუშაობს დამაკმაყოფილებლად სახელმწიფოსათვის გატაცებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის. სასამართლოებს ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო დადგენილებები, არ არკვევენ სოციალისტური საკუთრების გატაცების ხელშემწყობ მიზეზებს.

კოლეგია ხშირად მსჯელობდა სახელმწიფოსათვის გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. აღწერილობითი სიდიდან ქონების თვითნებური ამორიცხვის შემთხვევები იყო ქ. თბილისის კალინინის, 26 კომისრის, ბორჯომის რაიონების სასამართლოებში. უმოქმედობისათვის სამსახურიდან გათავისუფლდნენ ვარდბანისა და თეთრი წყაროს რაიონის აღმასრულებლები.

ზოგიერთ სახალხო სასამართლოში მოისუსტეს ორგანიზაციული მუშაობა. სახალხო მოსამართლეები პრაქტიკულად პროცესების ჩასატარებლად, დანიშნულ დროს არ იწყებენ სხდომებს, სათანადო ორგანიზაციას არ უწყვენ მოწვევას გამოცხადებას და ა. შ. ყველაფერი ეს კი თავის მხრივ საქმეთა განხილვის გაკონკრეტებას იწვევს.

საქმეთა განხილვის ვადები დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. ყოველი მეათე საქმე ვადის დარღვევით განიხილება. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლოში ვადის დარღვევით განიხილება საქმეთა 23,1 პროცენტი, ქ. ზუგდიდის სახ. სასამართლოში — 27 პროცენტი, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოში — 20,4 პროცენტი. სამართალში მიცემული მამედოვის საქმის განხილვა, რომელსაც მკვლელობაში ედებოდა ბრალი, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში 3 წლისა და 6 თვის განმავლობაში ჭიანჭურდებოდა.

დაწესებულ ვადებში საქმეთა განხილვის მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ ქ. რუსთავის, ქ. თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

მოსამართლეები ხშირად უსაფუძვლოდ იცილებენ საქმეებს. ეს მცდარი პრაქტიკა კი საქმეთა განხილვის გაჭიანჭურების მიზეზი ხდება.

მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ განაწინებისა და გადაწყვეტილებების შეცვლისა და გაუქმების დროს. თუმცა ამ მხრივ მაჩვენებლები 1972 წელს არ გაუმჯობესებულა, მაგრამ მიღწეული მაინც საკმარისი არ არის.

მომხსენებელმა გააკრიტიკა სახალხო მოსამართლენი, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ საქმეთა განხილვისას. მაგალითად, სახალხო მოსამართლე რ. ჭოლოშვილმა ვინმე ბეკოევი დამანაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 108 მუხლით, სასჯელი კი შეუფარდა 108-ე მუხლის მეორე ნაწილით. ამავე საქმეში ლაზარტყავა დამანაშავედ არის ცნობილი 108-ე მუხლით, შემდეგ კი განაჩენში ნათქვამია — „მოესხნას 103-ე მუხლი“ (?!). ასევე დამანაშავედ ცნო კუხარევი, მაგრამ კოდექსის რომელი მუხლით, ეს არ მიუთითა. ამ დარღვევათა გამო განაჩენი მოცემულ საქმეზე გაუქმდა და მისი განხილვა 1971 წლის აპრილიდან დღემდე ჭიანჭურდება.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ საფუძვლიანად გააუქმა მცხეთის სახ. სასამართლოს მიერ (მოსამართლე აკ. ადანი) გამოტანილი განაჩენი სამართალში მიცემულ ა. ქავთარაძის მიმართ, რომელმაც მანქანის დაჯახების შემდეგ მოკლა მოქალაქე, არ აღმოუჩინა დახმარება და მიიშალა. მას ორწლიანი დახმარებით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კოლეჯიამ შეფარდებული სასჯელი ლმობიერად ჩათვალა. მოსამართლე ბიბილაშვილმა შეცდომა იმით გამოასწორა, რომ ქავთარაძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა...

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ წიკლაურს საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით პირობითი

სასჯელი შეუფარდა. მოსამართლე კვიციანი კერძო აზრზე დარჩა და განაჩენი ლმობიერად ჩათვალა. კოლეჯიამ გაიზიარა რა მოსამართლე კვიციანის კერძო აზრი განაჩენი გააუქმა. საქმის ხელახლა განხილვისას წიკლაურს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კოლეჯიაში საქმის განხილვისას ახლა განაჩენი უკვე მკაცრად მიიჩნეს და წიკლაურს კვლავ პირობითი სასჯელი შეუფარდეს.

ზოგჯერ უმაღლესი სასამართლოს კოლეჯიები ზუსტად არ იცავენ საქართველოს სსრ სსკ 355 მუხლის მოთხოვნებს და კანონის აშკარად დარღვევის არარსებობის მიუხედავად აუქმებენ განაჩენებს.

ჯერ კიდევ ირღვევა მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვადები, მათ არ ეძლევათ ამომწურავი პასუხები, რის გამოც მშრომელები იძულებულნი ხდებიან ხელმეორედ მიმართონ საჩივრით ზემდგომ ორგანოებს. ასე მაგალითად ქ. ფოთის სახალხო სასამართლოში კარგახანი ჭიანჭურდებოდა ლარინა-შევეჩენკოს საჩივარი ალიმენტის თანხის მიუღებლობაზე. ახლა ეს საჩივარი კონტროლზეა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დანაშაულის პროვილაქტიკისათვის დიდ მუშაობას ეწევიან ქ. თბილისის კიროვის, ლენინის, პირველი მაისის რაიონების, ქ. რუსთავისა და წალკის რაიონის სახალხო სასამართლოები. ჰდგომარეობა შედარებით გაუარესებულია ქ. თბილისის კალინინის და ბოლნისის რაიონების სახ. სასამართლოებში.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ გამსვლელ სხდომებზე საქმეთა მხოლოდ 11,5 პროცენტი განიხილა, ბოლნისის სახ. სასამართლომ — 1,5 პროცენტი, დმანისის სახ. სასამართლომ — 7,8 პროცენტი, თეთრი წყაროს სახალხო სასამართლომ — 5,8 პროცენტი.

ამხ. აკ. პაიჭაძე შეეხო გარდაბნის რაიონის სახ. სასამართლოს (თავმჯდომარე დ. იაშვილი) მუშაობას და ვრცლად ილაპარაკა ამ სასამართლოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

მომხსენების დასასრულს ამხ. ა. პაიჭაძე ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროს ამოცანაა, ღრმად შეისწავლოს ნაკლოვანებათა მიზეზები, გააანალიზოს ისინი, და დასახოს ღონისძიებები მათი დროული ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

მომხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. იობიძე, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრი შ. კოლოკუა, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი ს. მაკარაძე, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დ. იაშვილი, ქ. გორის სახალხო სასამართლოს თავ-

მჯდომარე **ნ. აშბოკაძე**, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ო. ისაკაძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი **მ. გიორგობიანი**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი**, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. კაჩიაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **თ. შავგულიძემ** ილაპარაკა სახალხო სასამართლოთა მიერ განაჩენისა და გადაწყვეტილებების გაუქმების მიზეზებზე. მან მცდარად მიიჩნია გამოსული ამხანაგების მოსაზრება, თითქოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიები ხელაღებით აუქმებენ სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განაჩენებს. სწორად შეცვლილი და გაუქმებული განაჩენი კარგი სკოლაა მოსამართლისათვის. ჩვენი კოლეგიები რომ უფრო კარგად მუშაობდნენ უფრო მეტი განაჩენი და გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო. უმაღლესი სასამართლო ვერ შეურიგდება შეცდომებს კვალიფიკაციაში. გაოცებას იწვევს ზოგიერთ მოსამართლეთა მიერ

დანაშაული კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა, მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების განაჩენების შინაარსი. ამხ. თ. შავგულიძე მაგალითისათვის ასახელებს დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის აკ. გათენაშვილს, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლის ს. მილორავეს, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახ. მოსამართლის ო. აღლაძისა და სხვათა განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე. სპირობა სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთთან, ჩვენი მიზანი ერთია — მართლმსაჯულებების სწორი განხორციელება.

კოლეგიაზე ვრცელი შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ვ. მაისურაძე**.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცკ ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე **ვ. ხინტბა**.

ლ. ისაკაძე

გოკლე ცნობები

კ. ჩაკაბერია — 60 წლისაა

საქართველოს სსრ პროკურორის უფროს თანაშემწეს, სამეურნეო-საფინანსო განყოფილების უფროსს კაპიტონ ბადრას-ძე ჩაკაბერიას 60 წელი შეუსრულდა.

კ. ჩაკაბერია აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი განყოფილების პარტიურის და საქართველოს სსრ პროკურატურის ადგილკომის წევრია, ავტორიტეტით სარგებლობს მშრომელთა შორის. მიღებული აქვს სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის მრავალჯერ მადლობა და მთავრობის ჯილდოები — 5 მედალი.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით მას იუსტიციის უფროსი მრჩევლის საკლასო ჩინი მიეკუთვნა.

დაბადების დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროკურატურის კოლექტივმა, კოლეგებმა მიულოცეს კ. ჩაკაბერიას იუბილედ.



მიზნობრივი უზენაესი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ, საქართველოს ალკ თბილისის კომიტეტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკ კომიტეტმა მოაწყვეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკების მიზნობრივი შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლებთან თემაზე:

„ახალგაზრდობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა“.

შესავალი სიტყვით შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. პაპიძემ.

მოსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსი ვ. ოდიშვილი („ახალგაზრდობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა“), საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. ედიშერაშვილი („გადაცდომა და დანაშაული“), საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა („ახალგაზრდობის უფლება-მოვალეობანი“).

მშახის ორგანიზაციის პრაქტიკა

1. თუ ბავშვის მშობლები არ არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის მონაცემების შეტანა იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როდის არის დაბადებული ბავშვი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და „მმაჩის“ ორგანიზაციის სამმართველოს შეკითხვით მიმართა მოქ. კ-ქმ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეიტანონ „მმაჩის“ ორგანიზებმა შვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის მონაცემები, თუ კი დედა ბავშვის მამასთან არ არის ქორწინების რეგისტრაციაში და მამა არ იძლევა ამის თანხმობას.

მოქ. კ-ქმს განემარტა, რომ მის შეკითხვას შეიძლება ორი პასუხი გაეცეს, იმის მიხედვით, თუ როდის არის დაბადებული ბავშვი.

თუ ბავშვი დაბადებულია 1968 წლის 1 ოქტომბრამდე, ე. ი. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სა-

მოქმედოდ შემოღებამდე, მამის მოქ. კ-ქმ განცხადებით უნდა მიმართოს მმაჩის ორგანიზაციას, რომ ის ბავშვის მამასთან არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და არც მამობა დადგენილი სათანადო წესით და ამის გამო ბავშვის დაბადების ჩანაწერში მამის მონაცემები შეტანილ უნდა იქნას ზემოაღნიშნული საფუძვლების მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ე. ი. მამის გვარად დაიწერება დედის გვარი, ხოლო მამისა და პაპის სახელები ჩაიწერება დედის მითითებით.

რაც შეეხება 1968 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ დაბადებულ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის მონაცემების შეტანას, ბავშვის დედას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მამობის ფაქტის დასადგენად.

2. თუ მშობლები განქორწინებულნი არიან, მშობელს, რომელთანაც ბავშვი იმყოფება აღსაზრდელად, ბავშვისავე ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვის გვარის გამოცვლის თაობაზე შეუძლია მიმართოს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და „მმაჩის“ ორგანიზაციის სამმართველოს მოქ. ბ-ქმ მიმართა განცხადებით, რომელშიც წერდა, რომ მეუღლესთან განქორწინებულია, ჰყავს არასრულწლოვანი ვაჟი, ბავშვი არც იცნობს მას, რომლის გვარზეც იწერება. განმცხადებელი მოითხოვდა ვინაიდან ბავშვი დედის ოჯახში იზრდება და მამის მზრუნველობას და ყურადღებას მოკლებულია, მამის გვარი ბავშვს დედის გვარით შეცვლოდა.

მოქ. ბ-ქმს განემარტა, რომ არასრულწლო-

ვანის გვარის გამოცვლა კანონით არ შეიძლება, ხოლო საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, თუ მეუღლენი განქორწინებულნი არიან, მშობლებს, რომელთაგანც იზრდება ბავშვი, ბავშვისავე ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია მიმართოს სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოებს შვილისათვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ შვილი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობა.

3. დაბადების დაკარგული ჩანაწერის აღდგენის დროს მოქალაქის ასაკი განისაზღვრება პირადობის საბუთების მიხედვით, ხოლო როცა წინააღმდეგობაა ამ საბუთებში, მამინ წლოვანება განისაზღვრება მოქალაქეთა ასაკის განმსაზღვრელი კომისიის მიერ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და „მმაჩის“ ორგანიზაციის სამმართველოს საჩივრით მიმართა მოქ. პ-მა იმის შესახებ, რომ დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენის დროს, „მმაჩის“ ბიურომ მას სწორად არ განუსაზღვრა წლოვანება.

მართალია, პირადობის დამადასტურებელ საბუთებში დაბადების თარიღად 1917 წელი უწერია, მაგრამ სინამდვილეში ის 1912 წელს არის დაბადებული. მმაჩის ბიურომ კი ასაკი საბუთების შესაბამისად განუსაზღვრა.

მოქ. პ-ს განემარტა, რომ „მმაჩის“ ბიუროს

მოქმედება სწორია. დაბადების დაკარგული ჩანაწერის აღდგენის დროს, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ასაკი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ პიროვნებას რა უწერია საბუთებში. თუ წარმოდგენილ საბუთებში წი-

ნაღმდევობაა, ანდა არ არსებობს საბუთი მოქალაქის ასაკის განსაზღვრისა, მაშინ, ასაკის განსაზღვრის საკითხი უნდა განიხილოს რაიონში შექმნილმა მოქალაქეთა წლოვანების განმსაზღვრელმა კომისიამ, რომლის დასკვნაც საფუძვლად დაედება მოქალაქის დაბადების ჩანაწერის აღდგენის დასკვნას.

4. მმაჩის ბიურომ უნდა მიიღოს განცხადება მოქალაქის სქესის შეცვლასთან დაკავშირებით სახელის შესწორების შესახებ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და „მმაჩის“ ორგანოების სამმართველოში შემოვიდა მოქ. ჩ-ის განცხადება იმის შესახებ, რომ, როდესაც ბავშვი შეეძინა, გოგონა იყო და მმაჩის ბიუროში დაბადების რეგისტრაციაში გაატარეს როგორც მდედრობითი სქესი — „მარინა“. დროთა განმავლობაში ბავშვმა გამოავლინა საწინააღმდეგო სქესის ნიშნები და ჯანმრთელობის ორგანოებმა დაასკვნეს, რომ იგი მამრობითი სქესისაა, რის გამოც ოჯახში მას „მალხაზი“ დაარქვეს. განმცხადებელმა სახელის „მარინას“ „მალხაზით“ და მდედრობითი სქესის მამრობითი სქესით შესაცვლელად განცხადებით მიმარ-

თა „მმაჩის“ ბიუროს, რომელმაც მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

მოქ. ჩ-ს განემარტა, რომ მმაჩის ბიუროს მოქმედება უსწოროა, რადგან ჩანაწერებს სქესის შეცვლასთან დაკავშირებით სახელის გამოცვლის გამო, შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 4 თებერვლის № 64 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ცვლილებებისა და აღდგენის წესების მე-4 პუნქტისა, ახდენენ „მმაჩის“ ბიუროები, რომელთაც დასკვნა გააქვთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დასამტკიცებლად.

5. გვარის გამოცვლისათვის უნდა არსებობდეს მკვეთრი საპატიო მიზეზი, რაც შეეხება ეროვნების გამოცვლას, კანონი არ ითვალისწინებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და „მმაჩის“ ორგანოების სამმართველოს განცხადებით მიმართა მოქ. რ-მა იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის „მმაჩის“ ბიურომ უარი უთხრა გვარის და ეროვნების გამოცვლის შესახებ შუამდგომლობის მიღებაზე. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გვარიც სომხისა აქვს და ეროვნებითაც სომეხია, მაგრამ საქართველოში, ქართულ ტრადიციებზეა აღზრდილი და სურს მიიღოს რომელიმე ქართული გვარი და ეროვნება სომეხი ქართველით შეეცვალოს.

მოქ. ს-ძეს განემარტა, რომ „მმაჩის“ ბიუროს მოქმედება სწორია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 20 აგვისტოს № 587 დადგენილებით დამტკიცებული „სსრ კავშირის მოქალაქეთა სახელის, მამის სახელის, გვარის

გამოცვლის შესახებ შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად მოქალაქის გვარის გამოცვლისათვის უნდა არსებობდეს მკვეთრი საპატიო მიზეზი — გვარი ძნელად უნდა გამოითქმებოდეს, ცუდად უნდა ყლერდეს, ანდა მოქალაქე უნდა იბრუნებდეს თავისი ქალიშვილობის გვარს, იღებდეს მამინაცვლის, დედინაცვლის გვარს და ა. შ.

რაც შეეხება ეროვნების გამოცვლას, ის კანონით არ არის გათვალისწინებული. პიროვნების ეროვნება განისაზღვრება მშობელთა ეროვნების მიხედვით, ხოლო თუ მშობლები სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან, მაშინ მიეცემა იმ მშობლის ეროვნება, რომელსაც თვით ის პირი აირჩევს, ვისაც უნდა განესაზღვროს ეროვნება.

ნეკროლოგი

გ. ს. ცირეკიძე



გარდაიცვალა ტყიბულის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი, 1941 წლიდან ხკპ წევრი, სამამულო ომის მონაწილე ტრიფონ სერგოს ძე ცირეკიძე.

ტ. ს. ცირეკიძე დაიბადა 1911 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ საწირეში, მუშის ოჯახ-

ში. 1941 წელს მან დაამთავრა ქ. თბილისის საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული სპეციალური ორწლიანი იურიდიული სასწავლებელი.

ტ. ს. ცირეკიძე 1948 წლიდან ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში უფროსი ინსპექტორი იყო, იმავე წელს გადაიყვანეს ტყიბულის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსის თანამდებობაზე, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

1941-48 წლებში დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის ტ. ცირეკიძე დაჯილდოებულია ოთხი მედლით და გამოცხადებული აქვს მაღლობები. იგი გამოირჩეოდა როგორც ენერგიული, საქმის მოყვარული და თავდადებული მუშაკი.

უანგარო, ღვაწლმოსილი მუშაკის ტ. ს. ცირეკიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი



საქართველოს
საქართველოს